



ლიბეხანი

№ 69 / 28 მარტი - 3 აპრილი / 2011

- უღდა ჩარეულიყო თუ არა გაერო ლიბიაში? **33. 06**
- ალ ჯაზირა - არაბ დიქტატორთა რისხვა **33. 12**
- როგორ დავიწყეთ რევოლუცია **33. 14**
- მადნეული: ჯანმრთელოვნების საშიში ოქრო **33. 20**
- ვის აწყობს სარეკლამო ფრონს ზრდა? **33. 28**
- ლაზორატორია ვირუსის წინააღმდეგ **33. 38**
- კარიკატურები ქართველ მწერლებზე **33. 51**
- 11/03 მსოფლიოს კოლექტიურ მესხიერებაში **33. 48**
- კიდევ ერთი თბილისური ისტორია **33. 55**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



# ხატობ ექსნიან თბილისს ღამაზ ქანაქს?

33. 43



მთავარი

თემა:

კავშირი

კავშირისთვის

33. 24



UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0


UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0



IB VB TBII TBI UTB





კვარციტის კარიერი, კაზრეთი

ფოტო: გარემოს დაცვის და უსაფრთხოების საინჟინერო არქივიდან

**ნომერში:**

- 02 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**  
უნდა ჩარეულიყო თუ არა გაერო ლიბიაში?  
*როზმერი რაითერი VS ტონი კარონი*  
**მსოფლიო**
- 08 ოდისესის ლიბიური განთიადი
- 12 **ახლო აღმოსავლეთი**  
ალ ჯაზირა – არაბ დიქტატორთა რისხვა
- 14 **რევოლუციები**  
როგორ დავინყოთ რევოლუცია
- 17 **ცენტრალური აზია**  
ოპერაცია „მემკვიდრის დასახელება“

- კონფლიქტები**
- 18 უპირობო ჩიხი
- ეკონომიკა**
- 20 ჯანმრთელობისთვის საშიში ოქრო
- მთავარი თემა**
- 24 კავშირი კავშირისთვის
- მედია**
- 28 ვის აწყობს სარეკლამო დროის ზრდა?
- 31 **გარიგება**  
„არაფინანსური“ გარიგება
- ჟურნალისტური გამოძიება**
- 32 ბუნდოვანი გარიგების მსხვერპლნი
- ჯანდაცვა**
- 35 სახიფათო ნარჩენები
- 38 ლაბორატორია ვირუსის წინააღმდეგ
- ადამიანის უფლებები**
- 40 უფროსი ძმა შენი მეგობარია

- ურბანიტიკა**
- 43 „მამ, რატომ ეძახიან თბილისს ლამაზ ქალაქს?“
- თვალსაზრისი**
- 46 ჯანდაცვა საქართველოში მარკ მალენი
- 48 11/03 მსოფლიოს კოლექტიურ მესხიერებაში გიორგი ცხადაია
- კულტურა**
- 50 ელიზაბეტი, ანუ კატა გავარვარებულ სახურავზე
- 51 კარიკატურები ქართველ მწერლებზე
- 52 **ტექნოლოგიები**
- სპორტი**
- 54 მოუხელთებელი ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 55 კიდევ ერთი თბილისური ისტორია

**გარეკანზე:**  
რატომ ეძახიან თბილისს ლამაზ ქალაქს?



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are their only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

„ჩვენ ღმერთი ბანკარისხმ“



მძიმე სურათია...

დავით ზურაბიშვილი

გასაოცარია, რომ ამ ვიდეოთი თუ ვიმსჯელებთ, ახალგაზრდები გაცილებით ჩამორჩენილები არიან, ვიდრე ასაკოვანი ადამიანები და როგორ ფიქრობთ, რატომ???

დემეტრე

სახეზეა უბნელესი და უნიგნური ახალი თაობა... სამარცხვინოდ უნიგნური... მომავალში, თუ ერი გაიხლიჩა და ერთმანეთს დაუპირისპირდა, ეს მხოლოდ ამ ბნელეთის მოციქულების დამსახურება იქნება... მისახედა ეს ხალხი, უკვე ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ... უკვე სამიში გახდა მათი ბნელი ფანტაზია და მათ მიერ ზომბირებული ხალხი...

lal

ისე, რა მაგრა გვჩვევია ქართველებს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის უკანა პლანზე გადატანა და იმაზე საუბარი – როგორ არის ჩატარებული ქუჩის გამოკითხვა – ნაუშნიკებით, თუ უნაუშნიკოთ და გამველები ნამდვილები არიან თუ ჩასმულები და საგანგებოდ ჩანერილები.

დემმმ

თეიზმის სიბნელესთან გაიგივება უფრო კრეტინობაა თუ ცუნამის გამომწვევ მიზეზად ცოდვების მოტანა? მგონი ერთი ჭირია.

სტუმარი

„ქურდებს სისოცხლე, ბოზებს სიკვდილი“



საკაპშვილს ნამდვილი ჩუმი ისტერიკა ეწერა სახეზე! ეტყობა მის წარსულში იყო რაღაც ძალიან სერიოზული, რამაც ასეთი მძიმე და წარუშლელი შიში დატოვა ამ ადამიანის ფსიქიკაში. ესლა აკლია, ისედაც შეშინებულ და საკმაოდ ნიჰილისტურ საზოგადოებას, რომ ხელოვანს (არა აქვს მნიშვნელობა მოგვწონს თუ არა) მისნაირმა ნეობოლშევიკმა პრეზიდენტმა მართლაც, რომ საბჭოთა ურო მოუღეროს! და კიდევ იტყვიან, რომ ამ ქვეყანაში არ არის ნეობოლშევიზმის ნიშნები?

გური

არანაირი ძველი ინტელიგენციის რეაბილიტაცია მიშას არ უცდია. ის გაბრაზდა ფრაზაზე: „ქურდებს სიცოცხლე!“. სიმღერა, „ასეთია ქურდი კაცის ბედიც“ კი ააკრძალინა რესტორნებში. გაბრაზდა, როგორ თუ გაბედეს ამ ფრაზის თავიდან სხენებაო.) მერე ეს ყველაფერი პოპულისტურად გაახვია, როგორც იცის ხოლმე, თორემ, ბურჭულაძეს სხვა ფორმა რომ მოეძებნა ქუთაისის ინტელიგენციის შეურაცხმყოფელი, მიშა არ გამოეხმაურებოდა ამ მოვლენას.

giorgi

მე, მამა და ტელეპარლიროზის მძევლები

კარგია, ძალიან კარგი, ბოლმის გარეშე, გადაჭარბების გარეშე, იცით, რა იქნება

საინტერესო? ერთი სტატია დაგეწერათ იმაზე, თუ რა საჭიროა კრიტიკა, „რა სარგებლობა მოაქვს“.

სოფო

ეს პუბლიკაციაც ისეთი ჭორაობაა, როგორც ყველა ეს გადაცემა.

სტუმარი

არ არის სავალდებულო ჟურნალისტს მაღალი გემოვნება ჰქონდეს, მაგრამ ის კი მოეკითხება იმიჯზე იზრუნოს. ამერიკაში არის ცნობილი ადამიანების ჩაცმის შეფასება – „ყველაზე უგემოვნო“ და აგრეთვე „ყველაზე გემოვნებიანი“ მომღერალი თუ მსახიობი... ქართული ფენომენია ის, რომ „მე ვიცი, როგორ ჩავიცვა, მე ვიცი, ჩემ სახლს როგორ დიზაინი შევუწერო“ და ა.შ.... ღმერთო ჩემო! ჩვენც გვინდა ჩვენი ტელე ჟურნალისტები ისე გამოიყურებოდნენ, როგორც ევროპელები და ეს სრულიად შესაძლებელია.

სტუმარი მარიშელ

ყველაფერი ძალიან მარტივად არის, თუ ადამიანი ვერ ხედება, რომ ასათიანი და ჟორჟოლიანი ორივე სასტიკი გომობაა, მაშინ გამოდის, რომ იმ ადამიანსაც ცუდად აქვს საქმე.

სტუმარი

შენსწორება  
ლიბერალის 68-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია „ეზიარე ტრამპს“ პირველად დაიბეჭდა საიტზე [eurasianet.org](http://eurasianet.org)

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი /ალმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე  
შპს რედაქცია: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაკიძე, ნათია გულიაშვილი  
კონტრაქტორები: მარკ მალენი, გიორგი ცხადია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარუელი, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე  
რედაქცია: ფოტორედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ღონღაძე  
ბამონტაჟი: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად მენგელია  
ბამონტაჟი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სხვა ბამონტაჟი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.  
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.  
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)



# დოსასდანიი ეზასაჟი და დიოიი ჰოჰიიიი

ნათია გულიაშვილის ბლოგი

შარშან, ერეკლე დეისადის „საიდუმლო სირობით“ გამონვეული მღელვარების დროს, ერთ-ერთ სიუჟეტში მწერალმა ზაზა ბურჭულაძემ ოდნავ ნაწყენი ტონით თქვა, ამ B კატეგორიის წიგნს, ყურადღებას არავინ მიაქცევდა, რომ არა რადიკალური დაჯგუფებების წყალობით „საიდუმლო სირობის“ სოციალურ მოვლენად ქცევაო. მაშინ ზოგიერთმა მისმა კოლეგამაც ოდნავ ირონიულად შენიშნა, ზაზას მგონი გული დასწყდა, რომ ახლად გამომცხვარმა ავტორმა მის ნაცად ეპატაჟს აჯობა და ხალხი მეტად აახმაურაო.

ბურჭულაძემ ირიბი შურისგება განზრახ თუ ქვეცნობიერად, დეისადის მშობლიურ ქალაქში სცადა. ოპერის თეატრში გამართულ საღამოზე, დარბაზის დუმილის დასარღვევად გადაგებულ ანკესზე (დამსწრე საზოგადოებისთვის მასაჟის შეთავაზება) წამოგებაც რომ უშედეგო აღმოჩნდა, ვფიქრობ (შეიძლება ვცდები), მწერალს სრულიად სპონტანურად საბჭოთა პერიოდში ჩასახული და მოგვიანებით, ქურდული რომანტიზმის ქუთაისში ფრთავაშლილი ფრაზა გაახსენდა: „ქურდებს სიცოცხლე, ბოზეებს სიკვდილი!“.

რომ არა ქუთაისის „ინტელიგენციის“ რეაქციული აღშფოთება, ცხადია, ბურჭულაძის ამ მცდელობას იმთავითვე წარუმატებელ ეპატაჟად მივიჩნევდით ან შესაძლოა, ეპატაჟიც არ გვეწოდებინა ამ პერფორმანსისთვის.

ყოველ შემთხვევაში, უცნაურია, როცა თანამედროვე მწერალი, რომელსაც ეს ჟანრი აქამდეც არაერთ სატელევიზიო გადაცემაში გამოუცდია, ასე აცდა ეპატაჟის წარმატებისთვის განსაზღვრულ თვისებას – დროსთან და სიტუაციასთან ადეკვატურობას.

მწერალი, რომელიც ახალგაზრდა კოლეგის დღეს არსებული ფუნდამენტალისტურ

რი ჯგუფების და ყალბი ინსტიტუციების სატირაზე აგებულ წიგნს, მეორეხარისხოვანს უწოდებს, რომელზეც საუბარი არც კი ღირს (სხვა საქმეა, რომ ის ამით ახლოს იყო „საიდუმლო სირობის“, როგორც ლიტერატურული პროდუქტის სწორ შეფასებასთან), თავად ეფექტის მიღწევას დღეისთვის ძალადაკარგული, არააქტუალური და არაპრობლემატური ჯგუფების და იდეოლოგიების გამონვევით ეცადა.

შარშან, ილიას უნივერსიტეტის წინ განვითარებული მოვლენების შემდეგ დაწერე, რომ დეისადის წიგნიც და თავად დეისაძეც, როგორც ამ ტიპის მწერალი-მოვლენა, იმ ფუნდამენტალისტური ჯგუფების ნაყოფი იყო, რომლებსაც „საიდუმლო სირობა“ მიუძღვნა.

დღეს იგივე პარალელი შეიძლება გავაწლოთ ბურჭულაძესა და საზოგადოებას შორის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ქუთაისის ინტელიგენციის“ სახით. მაგრამ საქმე ისაა, რომ ადამიანი, რომელსაც ეპატაჟისთვის ეპატაჟურობის გარდა, მწერლობის ამბიციაც აქვს, ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოების გამონვევას ნებისმიერ კულტურულ-სოციალურ-პოლიტიკურად მგრძობიარე თემაზე მასთან დისკუსიაში შესვლით, საკუთარი წიგნებით ცდილობდეს, ირჩევს ყველაზე იოლ და იაფ გზას, რომელიც შედეგად არაფერს მოგვცემს, გარდა რამდენიმე დღიანი ჩოჩქოლის და ისევე მიჩუმებისა. ვფიქრობ, ბურჭულაძემ-მწერალს, მეტი ინტელექტუალური რესურსი აქვს, რომ მეორე გზას არ ირჩევდეს.

მაგრამ, კიდევ უფრო საინტერესო მოვლენების შემდგომი განვითარებაა. ვიდუოჩანანერში, რომელსაც ქუთაისელი ჟურნალისტი იღებდა, აღშფოთებული „ინტელიგენციის“ კომენტარების შემდეგ, ბურჭულაძემ გაბედული რამ თქვა: „რეაქცია იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო, მე

ვთქვი, ქურდებს სიცოცხლე, ბოზეებს სიკვდილი, და ბოზებმა დატოვეს დარბაზი“.

ამის შემდეგ, შემოდის მთავარი პერსონაჟი, რომელსაც, მწერალზე კარგი ინტუიცია აღმოაჩნდა და ზუსტად განსაზღვრა შექმნილი სიტუაციის გამოყენების შესაძლებლობა. პრეზიდენტზე მაქვს საუბარი. უკვე ყველამ მოისმინა მისი მკაცრი მამა-შვილური დატუქსვა-გაფრთხილება, რომ მან საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო მწერლის ნათქვამი, რომ არავის აქვს უფლება საზოგადოებას ზემოდან უყუროს, და რომ ძველ დროში ჩარჩენილმა ადამიანებმა, რომლებიც ქუთაისის მენტალურ და ფასადურ განახლებას ვერ ამჩნევენ, თვალი უნდა გაახილონ.

ზოგადად, გამოხმაურების ფაქტით გაკვირვებას, ან ბრეჟნევიან პარალელებს თუ გვერდით გადავდებთ, მარტივი მისახვედრია, რომ პრეზიდენტს ბურჭულაძე სულაც არ ჰგონია კრიმინალური სამყაროს მოტრფიალე. ეს, უბრალოდ, საზოგადოებაზე გათვლილი ყველაზე მომგებიანი სიტყვა იყო.

გარემონტებულ-დამშვენებულ, წლების წინ კრიმინალური ავტორიტეტების ქალაქად წოდებულ ქუთაისში, სადაც, როგორც გუშინ ტვ იმედის სიუჟეტის დასასრულს ჟურნალისტმა გვამცნო, „საზოგადოების აზროვნება შეცვლილია და მათთვის წარსულის, თუნდაც ხუმრობით გახსენება, (თუ ეს ხუმრობა იყო), მიუღებელია!“ – ცხადია, ქალაქის მოსახლეობის უმეტესობის გული გუშინ პრეზიდენტმა მოიგო.

ამ ყველაფრის სევდიანი დაგვირგვინება კი, თავად ბურჭულაძის ახალი კომენტარი იყო, იმავე ტვ იმედთან საუბარში რომ განაცხადა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობა იყო და განთქმული ქუთაისური იუმორის წყალობით იმედი მქონდა, მას სწორად გაიგებდნენო, რითაც ბოლო ტოტიც მოიჭრა. ■



ფოტო ნოდარ ცხომიანი

დევნილების გამოსახლება ბაკეზიდან, თბილისი 2011

## სამთავრობო ხვიჩაული ჰაილაქებში

22 მარტს დაწყებული სამთავრობო კვირეული პარლამენტში 25 მარტს არსებულ იმპიჩმენტით დასრულდა. მმართველმა პარტიამ 79 ხმით 11-ის წინააღმდეგ ჩააგდო კობა სუბელიანის – იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის – თანამდებობრივი პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი. საპარლამენტო ოპოზიცია ასევე ითხოვდა სოფლის მეურნეობის მინისტრის – ბაკურ კვეზერელის გადადგომასაც, კენჭისყრის შედეგად კვეზერელის წინააღმდეგ – 10, მის სასარგებლოდ კი 70 ხმა დათვალეს. საპარლამენტო ოპოზიციამ ორივე მინისტრი, სამთავრობო კვირეულის ფარგლებში პარლამენტის წინაშე გამოსვლის შემდეგ, მკაცრად გააკრიტიკა. „ქრისტიან-დემოკრატების“ განცხადებით, სუბელიანის მხარდაჭერით საპარლამენტო უმრავლესობამ „იმ დანაშაულებებზე აიღო პასუხისმგებლობა, რომელიც სუბელიანმა დევნილების წინააღმდეგ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩაიდინა“. ოპოზიციამ „სასტიკი და დაუნდობელი“ უწოდა დევნილების გასახლების პროცესს. ოპოზიციის წარმომადგენლებმა მინისტრს ის ფაქტიც შეასხენეს, როდესაც გამოსახლების გამო ერთ-ერთმა დევნილმა პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა. გიორ-

გი ახვლედიანის განცხადებით, ამ ფაქტის შემდეგ სუბელიანი მინისტრობიდან უნდა გადადგარიყო. ოპოზიციის კრიტიკა არ გაიზიარა ადრესატმა, ოპონენტების ბრალდებებს მან „ცილისწამება და ტყუილი“ უწოდა. თავის გამოსვლაში მინისტრმა დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გამოყოფის სტატისტიკაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, მთლიანობაში 27 246 დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში ან კომპენსაციით დაკმაყოფილდა“. სუბელიანის პარლამენტში გამოსვლის პარალელურად, პარლამენტის შენობასთან დევნილთა საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა, საპროტესტო აქცია გაიმართა სამინისტროს შენობასთანაც, სადაც დევნილები ითხოვდნენ განმარტებას, თუ როგორ მიიღო 2010 წელს პრემიის და ხელფასის სახით 89 ათასი ლარი. აქციის მონაწილეებთან ჩასული სუბელიანისგან დევნილები თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვდნენ. მინისტრმა მათ კითხვითვე უპასუხა: „რა გინდათ, ჩემგან გაიგოთ? რა გინდათ, რომ გავაკეთო – გადავდგე, თუ დევნილთა პრობლემები ეტაპობრივად მოგვარდეს?“ – იკითხა სუბელიანმა.

### ჯონსონის ჰაილაქი სასწავლებელში

საქართველოს კონტროლის პალატამ უმაღლესი სასწავლებლების აუდიტის შედეგები გამოაქვეყნა. აუდიტის შედეგად, კონტროლის პალატამ ფინანსებისა და ქონების მართვაში სისტემური დარღვევები აღმოაჩინა. როგორც კონტროლის პალატის დასკვნაშია ნათქვამი, უნივერსიტეტები კანონდარღვევით აღრიცხავენ დიდი ოდენობის ფინანსურ დავალიანებებს, რითაც შემოსავლების მაჩვენებელიმცირ დეზობა, ხარჯების მაჩვენებლები კი იზრდებოდა. კონტროლის პალატა სათანადო რეკომენდაციებს წარუდგენს შემონგებულ დაწესებულებებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

### ჯანაშვილი ბიძი ოფისიანიხა ნაყაენა

უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს, ლეონიდ კუჩმას, ჟურნალისტ გიორგი ლონდაძის მკვლელობაში მონაწილეობისთვის ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილ პრეზიდენტს ბრალად ედება ძალაუფლების გადაწყვეტა, რასაც ჟურნალისტის მკვლელობა მოჰყვა. გამოძიება მტკიცებულებად ლეონიდ კუჩმას დაცვის ყოფილი წევრის, ნიკოლაი მელნიჩენკოს მიერ გაკეთებულ აუდიო-ჩანაწერებს იყენებს.



## პრეზიდენტმა საპარტიალო-საპარტიო დაჯილდოება



პრეზიდენტმა აჭარაში მომხდარ ტერორისტულ აქტზე დაწყებული საქმის გახსნის მონაწილე სამართალდამცველები დააჯილ-

დოვა. სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი, სამსახურებრივი მოვალეობის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის, მიენიჭა ტერაქტის დროს მოკლულ საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის აჭარის სამამულო მომზადებისა და რეაგირების სამსახურის უფროსს, დიომიდე კორძაძესაც. კორძაძე შარშან მაისში, ბათუმში დაიღუპა მისი ავტომანქანის აფეთქების შედეგად. შსს-ს ინფორმაციით, კორძაძე აფხაზი კრიმინალების დავალებით მოკლეს.

## მოსკოვში ვასო ყიფიანი დააჯილდოვდა

მოსკოვში ე.წ. კანონიერი ქურდი ვახტანგ (ვატო) ყიფიანი დააჯილდოვდა. ყიფიანს გამომძალველობა ედება ბრალად. რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსკოვის მილიციამ ყიფიანი საჩივრის საფუძველზე დააკავა. მომჩივანის მტკიცებით, ყიფიანმა მისი მეგობარი თანხის გამოძალვის მიზნით გაიტაცა. სააგენტო „როსბალტის“ ინფორმაციით, ყიფიანს გატაცებული პიროვნება სასტუმრო „მარიოტ გრანდ პოტელში“ ჰყავდა გა-

მომწყვდეული და მისგან 750 ათას რუბლს ითხოვდა. სააგენტოს ცნობით, გატაცებული „კანონიერი ქურდის“, ოთარ კვანტრიშვილის შვილი იყო. ყიფიანს ქართული პოლიცია ფულის გამოძალვისთვის ეძებდა. შსს-ს ინფორმაციით, ის უკრაინიდან უკავშირდებოდა დავით გაგნიძეს, გიორგი დემეტრაძეს და კახა მისირელს და მათი საშუალებით, ქურდული გარჩევებით ცდილობდა თანხის ამოღებას და ნაწილის ე.წ. „ქურდულ ობშიაკში“ გადარიცხვას.

## იაპონიაში სასაზღვრო საზღვარზე დაბრუნდა

იაპონიაში რადიაციის დონემ სასაზღვრო საზღვარზე დაბრუნდა. წყლის კრიზისი განსაკუთრებით მძიმედ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით იგრძნობა. ბოთლებში ჩამოსხმულ წყალზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, იაპონიის მინისტრთა კაბინეტის მდივანმა მენარმეებს პროცესის დაჩქარებისკენ და წყლის დროული მომარაგებისკენ მოუწოდა. ხუთშაბათის ცდებმა უჩვენა, რომ ტოკიოში წყალში რადიაციის დონემ იკლო, თუმცა სამ პრეფექტურაში წყალი კვლავ რა-

დიაციას შეიცავს. იაპონიაში მინისტრის და ცუნამის შედეგად დაღუპულებს საერთო სასაფლაოებზე მარხავენ. ოფიციალური მონაცემებით, სულ დაღუპულია 9 700 ადამიანი, ხოლო 16 000 დაკარგულად ითვლება.



### ჩისხვები

- 1** მილიონი დოლარი გადაურიცხა საქართველომ იაპონიას
- 8** ექიმი დააკავა სამხედრო პოლიციამ ცნობების გაყალბებისთვის
- 90** დღე გასტანს ლიბიაში ფრენის აკრძალვის მისია
- 20** მომიტინგე დაიღუპა სირიაში

## სიტყვები



**„როგორ გახდება საქართველო ნატოს წევრი? ის შეუერთდება ალიანსს, ჩვენი (ნატოს წევრი სახელმწიფოების) დარწმუნებით, რომ დიდია მისი წმინდა შენატონი ევრო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში“.**

აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ბასი საქართველოს ნატოში განწევრიანების პერსპექტივებზე

**„კონფლიქტის მოგვარებისკენ ვერ მივინვთ“**

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ჰანს იორგ ჰაბერი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე

**„პედაგოგების საშუალო ხელფასი 600 ლარამდე გაიზარდება“**

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სამთავრობო კვირეულზე

**„ჯუნგლები არის ცუდი, მაგრამ ამის სანაღმდეგო მოვლენა არ უნდა იყოს სკოლების ზონებად ჩამოყალიბება“.**

გიორგი თარგამაძე მანდატურებზე პარლამენტში დიმიტრი შაშკინის გამოსვლის შემდეგ



**მომხრე**  
**როზმერი რაითერი**  
ჟურნალი „ტაიმი“

ეგვიპტის მოვლენების შემდეგ პრეზიდენტმა ობამამ ვერ შეძლო ამერიკის დიდი ხნის მოკავშირის, ჰოსნი მუბარაკისთვის, გასასვლელი კარისკენ დროულად მიეთითებინა. ლიბიის შემთხვევაში მას უკვე მორალური პასუხისმგებლობა ჰქონდა, ჩარეულიყო და მშვიდობიანი მოქალაქეების სისხლისღვრა და მათ წინააღმდეგ სისასტიკე აერიდებინა თავიდან. ობამა მიხვდა, რომ მის მიერ გაჟღერებული საერთაშორისო პოლიტიკის პრინციპების გამოცდის დრო დადგა და ჩარევა გადანწყვიტა.

მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ გასროლილი პირველივე ტყვიის შემდეგ ცხადი იყო, რომ მუამარ კადაფი ამით არ გაჩერდებოდა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომის წარმოებას აპირებდა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1970-ე რეზოლუციამ კადაფის რეჟიმი კაცობრიობის წინაშე დამნაშავედ ცნო. მიუხედავად იმისა, რომ ტრიპოლიში ჟურნალისტებს მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ, დაჭრილთა და დახოცილთა შესახებ ინფორმაცია მაინც ვრცელდებოდა, დაჭრილ მომიტინგეებს ან საავადმყოფოდან იტაცებდნენ ან იქვე ხოცავდნენ. ათასობით მომიტინგე აწამეს, მათზე ნადირობა გამოცხადდა.

თუ კადაფის ხელი არავინ შეუშალა და ნებაზე მიუშვა, შედეგები გამანადგურებელი იქნება არა მხოლოდ ლიბიელებისთვის, არამედ სირიელებისთვის, ირანელებისთვის და ყველა იმ ხალხისთვის, ვისი მმართველებიც ჩათვლიან, რომ სისასტიკე არ ისჯება.

ისმის კითხვა, უნდა ჩავრეულიყავით თუ არა ლიბიაში? პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე გვაქვს არალეგიტიმურ მმართველთან, რომელმაც გაეროს რეზოლუცია დაარღვია. ის არ დაემორჩილა რეზოლუციის მეშვიდე თავს დაესრულებინა ძალადობა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და დაეკმაყოფილებინა მათი ლეგიტიმური მოთხოვნა.

გაეროს 2005 წელს მიღებულ დოქტრინა, რომელსაც „დაცვის პასუხისმგებლობა“ („the responsibility to protect“) ჰქვია, სვამს კითხვას, თუ როდის არის ძალადობა დასაშვები კრიმინალური რეჟიმის წინააღმდეგ. დოქტრინის თანახმად, გარე ძალებს ჩარევის უფლება მაშინ მიეცემათ, როცა ხალხს მათი სახელმწიფოს ძალადობისგან დაცვა სჭირდება.

ამ დოქტრინის მთავარი ღირებულება ადამიანია, რომელიც სახელმწიფო სუვერენიტეტზე მაღლა დგას. ჰობსის ცნობილი გამოთქმის მიხედვით – „ფეხსაცმელი ფეხისთვის შეიქმნა და არა – პირიქით“. ჰოდა, ახლა მოქმედების დროა და არა ლაპარაკის. **■**



## უნდა ჩახაუნო ბაეხო დ

**■ ისმის კითხვა, უნდა ჩავრეულიყავით თუ არა ლიბიაში? პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე გვაქვს არალეგიტიმურ მმართველთან, რომელმაც გაეროს რეზოლუცია დაარღვია. ის არ დაემორჩილა რეზოლუციის მეშვიდე თავს დაესრულებინა ძალადობა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და დაეკმაყოფილებინა მათი ლეგიტიმური მოთხოვნა.**





კოალიციური ჯარების საჰაერო დარტყმა მუამარ კადაფის მომხრეთა კოლონაზე, ლიბია, 20 მარტი 2011

ფოტო: შპანა ფრეზაციანი / REUTERS



**მონნალმდეგე  
ტონი კარონი**

ჟურნალი „ნიუსვიკი“

ჯერ კიდევ 2005 წელს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ“ მიიღო დოქტრინა სახელწოდებით „დაცვის პასუხისმგებლობა“, რომელიც წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს ქვეყნის საქმეებში იმ შემთხვევაში ჩაეროს, თუ ქვეყანას მოქალაქეების გენოციდისგან და მასობრივი სისასტიკისგან დაცვა არ ძალუძს. დოქტრინის მიხედვით, ძალადობის შესაჩერებლად ნებისმიერი, მათ შორის, სამხედრო საშუალების გამოყენებაა შესაძლებელი.

მართალია „გაეროს“ უსაფრთხოების საბჭომ ლიბიის წინააღმდეგ რეზოლუცია ძალიან სწრაფად მიიღო, ამ რეზოლუციით ლიბიის მოქალაქეების დაცვას წევრი ქვეყნები მაინც ვერ შეძლენ. „ნატოს“ მიერ ერაყის არასაფრენ ზონად გამოცხადებამ 1991 წელს ვერ შეაჩერა სადამ ჰუსეინის სისასტიკე შიიტი მოსახლეობის წინააღმდეგ. რეზოლუციას გავლენა არ მოუხდენია არც ჰუსეინის მმართველობაზე, მან ძალაუფლება მაინც შეინარჩუნა.

ძალაუფლებას შეინარჩუნებს კადაფიც, რომელსაც საკმარისი შეიარაღება აქვს იმისთვის, რომ ბრძოლა ხმელეთზე განაგრძოს, მით უფრო, რომ რეზოლუცია ხმელეთზე სამხედრო ჩარევას არ გულისხმობს და ის მხოლოდ საჰაერო იერიშს მოიცავს. პოლკოვნიკი კადაფი დამშვიდებას არ აპირებს, ძალაუფლებისთვის ბრძოლამ უკვე შეუქმნა საფრთხე ასობით და ათასობით ადამიანის სიცოცხლეს.

გარეშე ძალების სამხედრო ჩარევის საკითხის განხილვისას უნდა გვახსოვდეს, უნდათ თუ არა ლიბიელებს უცხო ძალების მათ შიდა საქმეებში ჩარევა. ზოგიერთები, „გაეროს“ დიპლომატების ჩათვლით, ამას მკაცრად მოითხოვდნენ, მაგრამ ბრძოლის წინა ხაზზე მყოფი ადამიანები გარეშე ჩარევების წინააღმდეგნი იყვნენ. „New York Times“ წერდა, რომ ოპოზიცია დიდხანს განიხილავდა გაეროს დახმარებისთვის მიემართა, თუმცა ამის მიუხედავად, ისინი რომელიმე გარეშე სამხედრო ძალის ტერიტორიაზე ყოფნას ეწინააღმდეგებოდნენ.

დასავლეთს კიდევ ერთი დიდი გამოწვევა ელის. მიუხედავად მისი სურვილისა, შეაჩეროს ძალადობა და კადაფის სასტიკ რეჟიმს ბოლო მოუდოს, ის შეიძლება ჩართული აღმოჩნდეს კონფლიქტში, საიდანაც გამოსვლა გაცილებით რთული იქნება, ვიდრე მასში ჩართვა. კიდევ ერთი რამ: ლიბიაში ბევრი იარაღია და ხშირ შემთხვევაში, ეს იარაღი სასონარკვეთილ ხალხს უპყრია ხელთ, რომელთა ინტერესები და მოტივები გარედან არცთუ ისე კარგად ჩანს. **■**

# როგორ თუ ახა ბრძოლაში?

**■ ძალაუფლებას შეინარჩუნებს კადაფიც, რომელსაც საკმარისი შეიარაღება აქვს იმისთვის, რომ ბრძოლა ხმელეთზე განაგრძოს, მით უფრო, რომ რეზოლუცია ხმელეთზე სამხედრო ჩარევას არ გულისხმობს.**

პოლკოვნიკი კადაფი დამშვიდებას არ აპირებს, ძალაუფლებისთვის ბრძოლამ უკვე შეუქმნა საფრთხე ასობით და ათასობით ადამიანის სიცოცხლეს.



ფრანგული საზღვაო ფლოტის საბრძოლო თვითმფინავებს ასაფრენად ამზადებენ, 23 მარტი 2011



ლიბია

# ოღისევის ლიბიის ბანტიადი

დასავლეთის პასუხისმგებლობა, დაიცვას ლიბიის მშვიდობიანი მოსახლეობა, სელექციური მორალის კიდევ ერთ მაგალითად ფასდება.

ლიანა ჩაჩუა

„ჩვენ არ დავთმობთ პოზიციებს. ჩვენ მათ ყველანაირი ხერხით დავამარცხებთ. იქნება ეს მოკლე თუ გრძელვადიანი ბრძოლა, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ. ეს არის ფაისისტების თავდასხმა. ისინი სიცოცხლეს ისტორიის სანაგვეზე დაასრულებენ,“ – ლიბიაში დასავლური კოალიციის მიერ საჰაერო თავდასხმების დანებების შემდეგ გაკეთებულ პირველ საჯარო განცხადებაში მუამარ კადაფის საბრძოლო ტონი არავის გაჰყვირებია. თუმცა, ამან კიდევ უფრო გაამყარა ეჭვები, რომ ლიბიის კრიზისი მოკლე ვადაში არ დასრულდება. კოალიციის სამხედრო ოპერაციის სახელწოდება – „ოღისევის განთიადი“ მითიური ოღისევის 10-წლიანი მოგზაურობის მსგავსად, ხანგრძლივი თავგადასავლების დასაწყისთან ასოცირდება.

17 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ ლიბია არასაფრენ ზონად გამოაცხადა და მსოფლიო თანამეგობრობას „მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ზომის“ გამოყენების უფლება დართო.

რამდენად სამართლიანია საერთაშორისო სამხედრო ინტერვენცია – ამ თემაზე დიდი ხნის წინ დაწყებული დებატები კვლავ განახლდა და ექსპერტების აზრი ორად გაყო.

ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია არალეგიტიმურია, რადგან ლიბიაში არასაფრენი ზონის შემოღება და საჰაერო დარტყმე-

ბი გაეროს ფუნდამენტურ პრინციპს – სახელმწიფოთა სუვერენიტეტის აღიარებას ეწინააღმდეგება.

სხვები გაეროს რეზოლუციას ლეგიტიმურად მიიჩნევენ და მის მთავარ ღირსებად ჰუმანიტარულ მიზნებს ასახელებენ – გაერომ სამხედრო სანქციები სისხლისღვრის აღსაკვეთად შემოიღო.

გაეროს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ძალის გამოყენებასა და ქვეყნების იურისდიქციაში ჩარევას ეწინააღმდეგება. თუმცა, არსებობს ორი გამონაკლისი, რა დროსაც ორგანიზაცია სამხედრო ძალის გამოყენებას ლეგალურ სტატუსს ანიჭებს: თავდაცვის აუცილებლობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მანდატის შესაბამისად.

გაეროს სამშვიდობო პოლიტიკასთან დაკავშირებით 2000 წლის ბრაჰიმის მოხსენებაში ნათქვამია: „გაერო არ აწარმოებს ომს ვინმეს წინააღმდეგ. იძულებითი ქმედების აუცილებლობის შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს მანდატის საფუძველზე პროცესს „ძლიერი ნების კოალიცია“ ახორციელებს“. კადაფის ძალების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას (რეზოლუცია № 1973) სწორედ „ძლიერი ნების კოალიციის“ არსებობით ხსნიან.

„ოღისევის განთიადი“ 19 მარტს დადგა. ერთი კვირის განმავლობაში კოალიციის მონაწილე ქვეყნები მორიგე-

ბით ახორციელებდნენ კადაფის ძალებზე საჰაერო დარტყმებს.

თავდაპირველად ოპერაციის მეთაური ქვეყანა აშშ იყო. ამერიკელების მზადყოფნა იმით აიხსნებოდა, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ არასაფრენი ზონის დროულად უზრუნველყოფა. თუმცა უკვე 22 მარტს აშშ-მ კოალიციის ლიდერი ნევრის სტატუსის დელეგირებაზე დაიწყო საუბარი. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ლიბიაში ინტერვენცია სხვადასხვა დასავლურ ძალებში თანაბრად უნდა გადანაწილებულიყო.

„ოღისევის განთიადის“ მეთაურის ძიებამ კოალიციაში თითქმის ერთკვირიანი კრიზისი შექმნა. სარკოზის მიერ ინიცირებული ფრანკო-ბრიტანული მეთაურობა აშშ-ს გეგმებში არ შედიოდა. ოფიციალური ვაშინგტონი ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის ლიდერობის მომხრე იყო, რასაც საფრანგეთის პრეზიდენტი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. სარკოზის განცხადებით, ნატო არაბულ სამყაროში აშშ-ს ძალაუფლების იარაღად აღიქმება და ამან, შესაძლოა, ოპერაციის მიმართ არაბული სამყაროს მხარდაჭერა კიდევ უფრო შეასუსტოს.

ბრიტანელები, თავის მხრივ, „ნატოს“ მონაწილეობას უჭერდნენ მხარს. ამით პრაქტიკულად ნერტილი დაესვა სარკოზის ფრანკო-ბრიტანული მეთაურობის ამბიციას.

„ოღისევის განთიადის“ კოორდინაცია იმანაც გაართულა, რომ აშშ-ს მეთაურო-

ბის მიუხედავად, საფრანგეთს მონ ვერდუნში საკუთარი საოპერაციო შტაბ-ბინა ჰქონდა, ბრიტანეთს – თავისი, იტალია კი, რომელიც ნატოს მონაწილეობის კიდევ ერთი მომხრე სახელმწიფო იყო, აშშ-ბრიტანეთი-საფრანგეთის მმართველ კოალიციას ანარქისტულს უწოდებდა.

ნატოს წევრი თურქეთის წინააღმდეგობამ პროცესი კიდევ უფრო განელა. თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აჰმედ დავუთოლლუმ განაცხადა, რომ კოალიციამ ლიბიის შესახებ გაეროს რეზოლუციის შესაბამისად უნდა იმოქმედოს და ეს რეზოლუცია მუამარ კადაფის რეჟიმის დამხობის საბაბად არ გამოიყენოს. დავუთოლლუს თქმით, ოპერაცია სამოქალაქო პირების დაცვით, შეიარაღების მიწოდებაზე ემბარგოს განხორციელებით და ფრენის აკრძალვით უნდა შემოიფარგლოს.

„საჰაერო კამპანიის მიზანი ლიბიელი ხალხის გათავისუფლება არ არის. ამ ყველაფრის უკან ფარული გეგმები და ინტერესები იმალება,“ – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულიმ.

25 მარტს ნატოს და კოალიციის წევრებმა „ოდისევსის განთიადის“ მეთაურობაზე ნაწილობრივ შეთანხმებას მიაღწიეს. ბრიტანული გამოცემა Guardian-ის ინფორმაციით, ლიბიის ოპერაციებში სრულყოფილებიან სარდლობას ნატო გადაიბარებს. თუმცა ოფიციალური განცხადებების თანახმად, ნატო მხოლოდ არასაფრენ ზონას და შეიარაღებაზე ემბარგოს უზრუნველყოფს, საჰაერო შეტევებზე და შესაძლო სამხედრო მოქმედებებზე შეთანხმება ჯერ არ მიღწეულა.

გადაწყვეტილების მიღების ბოლო

ვადა 29 მარტია. ამ დღეს ლონდონში კოალიციის წევრები კონფერენციის ფარგლებში შეიკრიბებიან. საფრანგეთის საინფორმაციო სააგენტოების თანახმად, შესვენებას ბენგაზიში დაფუძნებული ლიბიელი აჯანყებულების წარმომადგენლებიც დაესწრებიან. შეხვედრების პირველ ნაწილში მონაწილეობას ოპერაციის უშუალო მონაწილეები მიიღებენ. დღის მეორე ნახევარში კი დებატებს არაბული და აფრიკული ქვეყნები შეუერთდებიან.

ოპერაციის მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტი ისიც არის, რომ ამ ოპერაციას არაბული და აფრიკული სამყარო უჭერს მხარს. 17 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის ინიციატორი საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ლიბანიც იყო. ამას-

## მეჯვლედი და ჰაზინი: ციხის ოხი ისტორია



გაეროს უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან ლიბიის შესახებ რეზოლუციას მხარი მხოლოდ 10-მა წევრმა დაუჭირა, წინააღმდეგი არც ერთი ყოფილა, ხუთმა კი თავი შეიკავა, მათ შორის იყვნენ – რუსეთი, ჩინეთი, გერმანია, ინდოეთი და ბრაზილია.

21 მარტს ბალისტიკური რაკეტების საწარმოს მუშებთან შეხვედრისას პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვე-

ტილება ჯვაროსნული ომისაკენ მონოდებას შეადარა და რეზოლუციას „დეფექტური და ნაკლოვანი“ უწოდა.

მისი თქმით, აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ტენდენციად ჩამოყალიბდა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა, რაც იმაზე მანიშნებს, რომ რუსეთმა საკუთარი თავდაცვისუნარიანობა უნდა გააძლიეროს.

პუტინის კომენტარიდან რამდენიმე საათში პრეზიდენტმა

დმიტრი მედვედევმა ჟურნალისტები თავის აგარაკზე შეკრიბა. ტყავის ქურთუკში გამოწყობილმა პრეზიდენტმა (წარწერით – „რუსეთის მთავარსარდალი“) პრემიერ-მინისტრის მიერ ლიბიის დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას მიუღებელი უწოდა.

„მიუღებელია გამონათქვამები, რომლებიც ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებაზე მანიშნებს“, – აღნიშნა მედვედევმა.

პუტინისგან განსხვავებით, რუსეთის პრეზიდენტი გაეროს რეზოლუციას მართებულად მიიჩნევს. რუსეთი ლიბიაში ოპერაციებში მონაწილეობას არ აპირებს, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, მედვედევის განმარტებით, შუამავლის როლს შეასრულებს.

პრეზიდენტის განცხადებას პუტინის კიდევ ერთი გამოსვლა მოჰყვა: „რაც შეეხება ლიბიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ რუსეთის ხელისუფლების

წარმომადგენლების შეთანხმებას ან უთანხმოებას – ჩვენთან საგარეო პოლიტიკას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს და აქ არანაირი გაორება არ შეიძლება არსებობდეს“, – აღნიშნა პუტინმა. ამ განცხადებამდე პუტინის პრეს-მდივანმა პუტინის სიტყვებს პრემიერ-მინისტრის პირადი აზრი უწოდა.

ლიბიის მოვლენებს რუსეთის სატელევიზიო არხებზე ისტერიული გაშუქება მოჰყვა. 19 მარტს რუსეთის სატელევიზიო არხები „დასავლეთის ქვეყნების სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიას“ აშუქებდნენ. მედვედევის განცხადებიდან 24 საათში რუსეთის პირველი არხის ახალი ამბების გაშუქება 180 გრადუსით შეიცვალა. ახალ ვერსიაში ყველაფერში დამნაშავე მუამარ კადაფი იყო. კადრები კოალიციის თვითმფრინავების გამოჩენით ბედნიერ აჯანყებულებს აჩვენებდნენ.



თან, არასაფრენი ზონის უზრუნველსაყოფად ლიბიაში თვითმფრინავები არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ყატარმაც გაგზავნეს.

თუმცა, აშშ-ს შიდა პოლიტიკურ წრეებში ლიბიაში ინტერვენციის აუცილებლობის ასახსნელად ეს საკმარისი არგუმენტი არ აღმოჩნდა.

ობამას ადმინისტრაცია ეწინააღმდეგება ლიბიაში მიმდინარე მოვლენებისთვის „ომის“ წოდებას. ოპერაციის ოფიციალურ მოტივად თეთრი სახლი მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას და არა კადაფის გადაგდებას ასახელებს. ამიტომაც, ობამას ოპონენტებს გაუჩნდათ კითხვა – მამ რატომ არ ერევა პრეზიდენტი დარფურში ან ჩრდილოეთ კორეაში, სადაც მოსახლეობა ასევე რთულ მდგომარეობაშია?

არაბული ქვეყნების ლიგის ხელმძღ-

ვანელმა ამრ მოუსამ, რომელიც ლიბიის წინააღმდეგ გაეროს რეზოლუციის მომხრე იყო, საჰაერო შეტევების დაწყების შემდეგ მასშტაბური დაბომბვის საჭიროება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

„ის, რაც ახლა ხდება, არასაფრენ ზონად გამოცხადების მთავარ მიზნებს ეწინააღმდეგება. ჩვენ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა გვსურს და არა მათი დაბომბვა,“ – განუცხადა მუსამ ჟურნალისტებს კაიროში.

ლიბიის ირგვლივ შექმნილმა უთანხმოებამ ოპერაციის სტრატეგიულ გეგმაზეც მოახდინა გავლენა. როგორც ოპერაციის მონაწილეები ამბობენ, კოალიციის წევრებს რეალისტური სტრატეგიული ხედვა არ გააჩნიათ. ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც, სავარაუდოდ, ლონდონში განიხილავენ – საჰაერო შეტევების შეზღუდვები და

სახმელეთო ჩარევის აუცილებლობა იქნება.

უთანხმოება კადაფის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულ ლიბიელებშიც გაჩნდა. ნაწილი კოალიციის დახმარებას და მათთან ერთად შემდგომ მოქმედებებს უჭერს მხარს. დანარჩენები კი ფიქრობენ, რომ გაცილებით ეფექტიანი იქნება დროებით გაურკვეველი სიტუაციის შენარჩუნება, რომლის დროსაც ბენგაზიში დაფუძნებული აჯანყებულთა ეროვნული საბჭო თავს ხელისუფლებად გამოაცხადებს და ქვეყნის შიგნით დამატებითი სამხედრო ძალის გადმობირებაზე დაიწყებს მუშაობას.

აჯანყებულების მსგავსად, კოალიციაშიც ორი ბანაკია: ერთნი კრიზისის სწრაფი მოგვარების მომხრეები არიან, სხვები შედარებით გრძელვადიან ინტერვენციას ემხრობიან. პოზიციების შეჯერებამდე და ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებამდე ორივე ბანაკი რეჟიმის შიგნიდან გატეხვის იმედად არის.

ლიბიის კრიზისის გადანეჭვის შესაძლო ვარიანტებს შორის ყველაზე პოპულარული ქვეყნის დე-ფაქტო დანაწევრება და კადაფის ლიკვიდაციაა. თუმცა, ლეგიტიმურობის გათვალისწინებით, ყველაზე დამაკმაყოფილებელ შედეგად ლიბიის რეჟიმის მეთაურთა ჰააგის საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოსთვის გადაცემა განიხილება.

მოვლენების ამგვარად განვითარება მხოლოდ ორ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი: ან აჯანყებულები სრულფასოვნად ჩაუდგებიან პროცესს სათავეში, ან ნატო ლიბიაში სახმელეთო ჯარებს შეიყვანს. „რეზოლუცია 1973“ საოკუპაციო ძალების შეყვანას ეწინააღმდეგება, თუმცა როგორც ბრიტანული მხარე აცხადებს, სახმელეთო ძალები აუცილებლად საოკუპაციო ძალებს არ ნიშნავს.

ლიბიაში ნატოს მიერ სახმელეთო ძალების შეყვანა არასაფრენი ზონის გამოცხადების წარუმატებლობის აღიარებაც იქნება და ავღანეთის და ერაყის შემდეგ კიდევ ერთი ინტერვენციის მაგალითს შექმნის. ეს კი რეზოლუციის მონაწილეებგეთა აზრით, კოალიციას საერთაშორისო მხარდაჭერას გამოაცლის. ■

**■ ნაწილი მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭოს რეზოლუცია არალეგიტიმურია, რადგან ლიბიაში არასაფრენი ზონის შემოღება და საჰაერო დარტყმები გაეროს ფუნდამენტურ პრინციპს – სახელმწიფოთა სუვერენიტეტის აღიარებას ეწინააღმდეგება.**



ფოტო: შალაბა სალუბო / REUTERS

ახლო აღმოსავლეთი

# აღ ჯაზირა - ახაბ დოქტაბოროთა ხოსხვა

აღ ჯაზირას უყურებენ ყველგან – მუამარ კადაფის კარავსა და თეთრ სახლშიც.

## ვასო კუჭუხიძე

არაბულ სამყაროში არსებული საპროტესტო მუხტის გაღვივებაში სოციალურ ქსელებს განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ. ტუნისსა და ეგვიპტეში მომხდარ რეჟიმთა ცვლას „facebook-ის რევოლუციებსაც“ უწოდებენ და ამაში არც არაფერია გადაჭარბებული, სწორედ მათი საშუალებით ხდებოდა გამოსვლების კოორდინირება და დემონსტრანტების შეკრება. თუმცა, რატომღაც სათანადო ყურადღება არ ეთმობა ტრადიციული მედია საშუალების, ამ შემთხვევაში, ტელეკომპანია „აღ ჯაზირას“ როლს, რომელსაც მართლაც უდიდესი წვლილი მიუძღვის არაბ დიქტატორთა ჩამოგდებაში.

„აღ ჯაზირა“ 1996 წელს კატარში ამირა შეიხ ჰამად ბინ ხალიფა აღ-ტანის მიერ დაარსებული ტელეკომპანიაა. იგი CNN-ისა და BBC-ის მოდელების გათვალისწინებით შეიქმნა და მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის იყო.

ტელევიზია ორენოვანია – არაბულ და ინგლისურ ენებზე მაუწყებლობს და მას მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში 250 მილიონი ადამიანი უყურებს.

„აღ ჯაზირა“ გამოირჩევა იმით, რომ ისევე თამამად უთმობს ეთერს „აღ ქაიდას“ მიერ გავრცელებულ ვიდეომასალებს, როგორც თეთრ სახლში გაკეთებულ მოხსენებებს. თვალს არ ხუჭავს ებრაელი სამხედროების მიერ გამოვლენილ სისასტიკეზე ისევე, როგორც პალესტინელი და ლიბანელი ლიდერების კორუფციულ გარიგებებზე.

დაახლოებით თხუთმეტწლიანი მაუწყებლობის განმავლობაში ტელეკომპანია დემოკრატიული ღირებულებებისა და ობიექტურობის სიმბოლოდ

იქცა ახლო აღმოსავლეთში. პერიოდული კრიტიკის მიუხედავად, იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს დასავლეთშიც – აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ „აღ ჯაზირა“ არაბულ სამყაროში ყველაზე თავისუფალ ტელევიზიად არის მიჩნეული.

საკმაოდ გაბედული და კრიტიკული სიუჟეტების გამო, ტელეკომპანიას ბევრი მტერი ჰყავს და ხშირად თავდასხმის ობიექტიც ხდება. რამდენიმე არაბულმა ქვეყანამ ჯერ კიდევ 90-იან წლებშივე აკრძალა „აღ ჯაზირას“ მაუწყებლობა. ქაბულში ამ ტელეკომპანიის ოფისი ააფეთქეს, რამალაში შეიარაღებულმა პირებმა რამდენჯერმე დაარბიეს, ხოლო მის ყურნალისტებზე თავდასხმა იმდენად ხშირია, რომ უკვე განსაკუთრებულ მოვლენად აღარც აღიქმება.

ბოლო წლებში მოპოვებული საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ტელეკომპანიამ არაბული დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართა. როგორც 2010 წლის შემოდგომაზე „აღ ჯაზირას“ ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა წამყვანმა მუჰამედ კრიჩენმა განაცხადა: „ჩვენ უნდა ვიყოთ ყურადღებით, რათა მხედველობის არეალიდან არ გამოგვრჩეს ის სახალხო გამოსვლები, რომელთა განვითარებას შეიძლება, მჩაგვრელი რეჟიმების დამხობა და ხალხის კეთილდღეობა მოჰყვეს“.

ეს უბრალო სიტყვები არ ყოფილა. ეს ტელევიზიის სამოქმედო პოლიტიკის საჯაროდ გაცხადება იყო, რომელსაც საქმე მოჰყვა.

ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა „აღ ჯაზირას“ რაიმე ინფორმაცია ახლო აღმოსავლეთში მოსალოდნელი არეუ-



**მედია ანალიტიკოსების აზრით, სწორედ მაშინ გამოჩნდება „აღ ჯაზირას“ დემოკრატიულობა და ობიექტურობა, როცა საპროტესტო აქციები კატარშიც დაიწყება.**

ლობების შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მოვლენებს მომზადებული შეხვედა – საკუთარ პოლიტიკას არ უღალატა და ერთ-ერთი პირველი დადგა ტუნისელი ხალხის გვერდით. როგორც ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორმა მარკ ლინჩმა აღნიშნა: „მართალია, მათ არ გამოუწვევიათ ეს მოვლენები, მაგრამ შეუძლებელია ამ წარმატებული გამოსვლების წარმოდგენა „აღ ჯაზირას“ მონდომების გარეშე“.



2010 წლის დეკემბერში ტუნისში დაწყებული გამოსვლებისთვის დასავლურ მედია საშუალებებს განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ. საპირისპიროდ მოიქცა „ალ ჯაზირა“. გამოსვლების დაწყებიდან რამდენიმე დღეში ტუნისის მთავრობამ ქვეყანაში „ალ ჯაზირას“ ყველა ჟურნალისტი ქვეყნიდან გააძევა. თუმცა, ტელევიზიამ მაინც მოახერხა ფრილანსერი ჟურნალისტებისა და რიგითი ტუნისელების მიერ

ბით სწორედ „ალ ჯაზირას“ მეშვეობით მიეწოდებოდათ დემონსტრანტებს ინფორმაცია.

თუკი ტუნისსა და ეგვიპტეში „ალ ჯაზირას“ ჟურნალისტებსა და ფრილანსერებს შედარებით სტაბილურ გარემოში უწევდათ ინფორმაციის მოპოვება, ლიბიის შემთხვევაში ისინი სამოქალაქო ომის პირობებში მუშაობენ. „მწვანე ტირანმა“ – ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ „ალ ჯაზირას“ „გზაბანული

დაკვეთა შეასრულა.

„ალ ჯაზირას“ საქმიანობა იმდენად სახიფათო გახდა ახლო აღმოსავლეთში არსებული ავტორიტარული რეჟიმებისთვის, რომ „არაბული სამყაროს მტრად“ გამოცხადდა. უკვე უმაღლესი ეშელონების დონეზე ცდილობენ მის დახშობას. ცნობილია, რომ იემენისა და საუდის არაბეთის მმართველებმა პირადად დაურეკეს კატარის ამირს და „ალ ჯაზირასთვის“ „ლაგამის ამოღება“ სთხოვეს. ამ



„ალ ჯაზირას“ სტუდიები, 2011

მობილურებითა და სამოყვარულო კამერებით გადაღებული კადრების საშუალებით ქვეყნის შიგნით მოსახლეობის ინფორმირება და გამოსვლებისთვის საერთაშორისო ყურადღების მოზიდვა.

„ალ ჯაზირას“ როლი ტუნისის ლიდერის ბენ ალის ჩამოგდებაში სხვა არაბ დიქტატორებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. კაიროში საპროტესტო აქციების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი კატარში ჩავიდა. გავრცელებული ინფორმაციით, მუბარაქის ვიზიტი სწორედ „ალ ჯაზირას“ უკავშირდებოდა.

თუმცა, როგორც ჩანს, ეგვიპტის ლიდერმა ტელევიზიის მოქრთამვა ვერ მოახერხა, რადგან კაიროში გამოსვლების დაწყებისთანავე „ალ ჯაზირა“ ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა მუბარაქის რეჟიმის მხილვასა და მიმდინარე მოვლენების გაშუქებას. მუბარაქმა მალევე აკრძალა „ალ ჯაზირას“ მათემატიკა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თაჰრიის მოედანზე სხვადასხვა საშუალებე-

ბით სწორედ „ალ ჯაზირას“ მეშვეობით მიეწოდებოდათ დემონსტრანტებს ინფორმაცია.

ბოლოდროინდელი მოვლენები ადასტურებს, რომ „ალ ჯაზირა“ არაბულ სამყაროში მიმდინარე მოვლენების არა უბრალო გამშუქებელი, არამედ მათი უშუალო მონაწილე და მიმართულების მიმცემია. შესაბამისად, ის კატარის ხელისუფლების ხელში მრისხანე იარაღად იქცა, რომელსაც გარკვეულ შემთხვევაში კატარის მმართველი ელიტა პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებს და ამით ტელეკომპანიის ობიექტურობას ჩრდილს აყენებს. ეს კარგად გამოჩნდა ბაჰრეინის საპროტესტო აქციების დროს. ამ მოვლენებს „ალ ჯაზირა“ განსაკუთრებული სიმწვავეთი აშუქებდა და ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, დაძაბულობის ესკალაციასაც უწყობდა ხელს. მიზეზი კი კატარსა და ბაჰრეინს შორის არსებული ტერიტორიული დავაა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა ვარაუდი, რომ ბაჰრეინის შემთხვევაში ტელეკომპანიამ მფლობელის

თხოვნას, სავარაუდოდ, ოფიციალური დოკა გაგებით მოეკიდება და ტელეკომპანიას ზომიერების ფარგლებს დაუბრუნებს, რადგან აგორებული საპროტესტო ტალღა, შესაძლოა, ახლო მომავალში კატარსაც მიწვდეს.

მედია ანალიტიკოსები ამ დღეს მოუთმენლად ელიან. მათი აზრით, სწორედ მაშინ გამოჩნდება „ალ ჯაზირას“ დემოკრატიულობა და ობიექტურობა, როცა საპროტესტო აქციები კატარშიც დაიწყება.

„ალ ჯაზირას“ პოპულარობა სწრაფად იზრდება დასავლეთშიც. ბოლო 2 თვის განმავლობაში მარტო აშშ-ში მილიონზე მეტმა აბონენტმა მოითხოვა საკაბელო კომპანიებისაგან შექმნილ პაკეტში „ალ ჯაზირას“ ჩამატება. ხოლო Bloomberg-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენების შესახებ თეთრ სახლში პოლიტიკოსთა და მრჩეველთა შეხვედრები „ალ-ჯაზირასა“ და CNN-ზე ჩართული ტელეეკრანების წინ მიმდინარეობდა. □

რევოლუსიაში

# ხობოხ და ვინყოთ ხავოლუსია

ჯინ შარპი – კაცი, რომლის წიგნიც მსოფლიოს მშვიდობიანი რევოლუციების სახელმძღვანელოდ იქცა.

## დიანა ჩაჩუა

ბოსტონის მუშათა უბანში, თავის მოკრძალებულ სახლში ხანდაზმული მამაკაცი ორქიდეებს უვლის. ლაბრადორი სალი ამ დროს ოთახში მიმოფანტულ აკადემიურ ნაშრომებზე წევს და პატრონს აკვირდება.

რეჟისორი რუარიდ ეროუ მშვიდობიანი რევოლუციების წამყვან მკვლევარზე ჯინ შარპზე დოკუმენტურ ფილმს იღებს. თავისი გმირის სახლში ის ამ სცენას არაერთხელ შესწრება.

დოკუმენტურ ფილმში „როგორ დავინყოთ რევოლუცია“ რუარიდ ეროუ შეეცდება მსოფლიოს გააცნოს ადამიანი, რომლის წიგნებიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მშვიდობიანი რევოლუციების თეორიულ საფუძვლად იქცა.

მას შემდეგ, რაც 1993 წელს წიგნი „დიქტატურიდან დემოკრატიაში“ გამოიცა, შარპის სახლი დიქტატურის დამხობის მსურველი პილიგრიმების თავშეყრის ადგილად იქცა. რუარიდ ეროუ პირადად გახდა ჯინ შარპის სახლში რამდენიმე უცხოელი სტუმრის მიღების მომსწრე.

„ინტერვიუში ეს „პილიგრიმები“ მეუბნებოდნენ, რომ შარპს არასოდეს უთქვამს მათთვის კონკრეტულად როგორ უნდა ემოქმედათ. ის მათ მხოლოდ საჭირო მასალებით ამარაგებს. ამასთან, ურჩევს არაძალადობრივი კონფლიქტების თეორია შეისწავლონ და თავიდან აირიდონ გარეშე ძალების ჩარევა“, – ჰყვება „ლიბერალთან ინტერვიუში რეჟისორი ეროუ.

როდესაც თაპრიის მოედანზე არაბულად ნათარგმნი მშვიდობიანი წინააღმდეგობის სახელმძღვანელოები და ბროშურები იპოვეს, ჟურნალისტები ამ ტექსტების ავტორის ძიებას შეუდგნენ. კვალმა ისინი ბოსტონში – ჯინ შარპის სახლამდე მიიყვანა.



ეგვიპტის რევოლუციის შემდეგ, მასებისთვის ნაკლებად ცნობილი შარპი მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა.

მცირე კვლევის ჩატარების შემდეგ ჟურნალისტებმა იმ ქვეყნების რუკა შეადგინეს, სადაც შარპის მეთოდოლოგიის გამოყენებით მშვიდობიანი რევოლუციები ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ ამერიკელი მკვლევარის 93 გვერდიანი წიგნი „დიქტატურიდან დემოკრატიაში“ მსოფლიოს 30 ენაზეა ნათარგმნი და მგზნებარე რევოლუციონერების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელოა. ამ წიგნს იცნობენ სერბეთში, უკრაინაში, ბელარუსში, ირანში, ესტონეთში, მიანმარში, ბოსნიაში, ზიმბაბვეში, ტუნისსა და საქართველოშიც.

ინტერნეტიდან გადმოწერილი და შემდეგ ქართულად ნათარგმნი „დიქტატურიდან-დემოკრატიაში“ შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლების სამაგიდო წიგნი გახდა. სერ-

**■ მას შემდეგ, რაც 1993 წელს წიგნი „დიქტატურიდან დემოკრატიაში“ გამოიცა, შარპის სახლი დიქტატურის დამხობის მსურველი პილიგრიმების თავშეყრის ადგილად იქცა.**

ბიული „ოტპორის“ წევრები ქართული „კმარას“ აქტივისტებს სწორედ შარპის წიგნების მიხედვით წვრთნიდნენ.

2003 წლის 22 ნოემბერს თაბუკაშვილის ქუჩიდან პარლამენტისკენ მიმავალ სტუდენტებს „კმარას“ აქტივისტების სატვირთო მანქანა შეუერთდა, რომელზეც საბარგულზე შევარდნაძის ფიტული ჰქონდა დამაგრებული. მოგვიანებით ეს ფიტული პარლამენტის წინ დანვს.



თეატრალიზებული პროცესები, ერთ-ერთი აუცილებელი მეთოდი შარპის 198 მშვიდობიან მეთოდს შორის. დიქტატორებისა და ავტორიტარი მმართველების ფიტულები თითქმის ყველა მშვიდობიანი რევოლუციის დროს იწვება.

ამიტომაცაა, რომ ჯინ შარპის არსე-

ნის ხელისუფლებამ შარპის იდეების მიმდევრობისთვის რამდენიმე აქტივისტი დააკავა. როგორც Tehran Times-ი წერდა, დაკავებულებმა აღიარეს, რომ არჩევნების შემდეგ საპროტესტო აქციები წინასწარ იყო დაგეგმილი და ისინი შარპის 198 არაძალადობრივ მეთოდს ეფუძნებოდა.

მძღვანელობდნენ შარპის წიგნებით, არაძალადობრივი წინააღმდეგობის ლიტერატურით უკვე რუსული ახალგაზრდული მოძრაობის „ობორონას“ ლიდერი ოლეგ კოზლოვსკი დაინტერესდა.

„ბოლოს ინტერნეტში შარპის ეს წიგნი ვიპოვე. როცა წავეკითხე, მივხვდი, რომ ზუსტად ის იყო რასაც ვეძებდი“,



საპროტესტო მოძრაობა „ოტპორის“ საპროტესტო აქცია, სერბეთი



საპროტესტო მოძრაობა „პორას“ მიტინგი კიევიში



საპროტესტო მოძრაობა „ზუბრის“ აქტივისტების დაპატიმრება, მინსკი, 2005

ფოტო REUTERS

ბობის შესახებ მსოფლიოს ყველა დიქტატორმა იცის. ფართო მასებისთვის უცნობი მეცნიერი რამდენიმე ათეული წელია, ავტორიტარი მმართველების მოუდუნებელი ყურადღების ქვეშაა.

2008 წელს ირანის ხელისუფლებამ მოსახლეობას მოდელირებული ვიდეო აჩვენა. ამ ვიდეოში ნაჩვენებია იყო უცხო ძალის ინტერვენცია ირანში. ფილმის ერთ-ერთ გმირს, რომელიც ამერიკელი იყო ჯინ შარპი ერქვა.

ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ ირა-

2008 წელს პრეზიდენტმა უგო ჩავესმა შარპი საჯაროდ დაადანაშაულა ვენესუელაში არეულობების მოწყობაში. ჩავესმა შარპმა ღია წერილით უპასუხა: „თუ გადაყენების გეშინიათ, ჩემი სხვა წიგნი – „ანტი-გადატრიალება“ წაიკითხეთ“.

იმავე წელს ვიეტნამში დააკავეს აქტივისტები, რომლებიც შარპის წიგნს აცრელებდნენ.

უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ, სადაც ასევე ხელ-

– ამბობს კოზლოვსკი.

უცნაური დამთხვევაა, რომ 2005 წელს მოსკოვში წიგნის ის ორივე მალაზია დაიწვა, სადაც კოზლოვსკის მიერ რუსულად ნათარგმნი წიგნი „დიქტატორიდან დემოკრატიაამდე“ იყიდებოდა.

თუმცა დღეს რევოლუციონერთა სამაგიდო წიგნად მიჩნეული ჯინ შარპის ეს ნაშრომი კონკრეტულად მიახმარელებისთვის დაინერა და რევოლუციის სახელმძღვანელოდ ქცევის ამბიცია სულაც არ ჰქონია.

90-იანი წლების დასაწყისში მიანმარში ყოფნისას ჯინ შარპს ადგილობრივმა ოპოზიციურმა აქტივისტებმა არაძალადობრივი წინააღმდეგობების მეთოდებზე რჩევა ჰკითხეს. მათ პასუხად მკვლევარმა წიგნი დაწერა, რომელიც 1993 წელს პირველად ბირმულ ენაზე გამოიცა.

წიგნი ჩამოთვლილი არაძალადობრივი წინააღმდეგობის 198 მეთოდი ავტორმა სამ კატეგორიად დაჰყო.

თავდაპირველად შარპი რევოლუციონერებს „პროტესტის და დარწმუნების“ 54 ტაქტიკას სთავაზობს, რაც, მაგალითად, ფერადი ბანერების გამოყენებას გულისხმობს. შემდეგ 103 მეთოდს „უარი თანამშრომლობაზე“ ჰქვია და აქ ავტორი ბოიკოტებსა და გაფიცვებზე საუბრობს. წიგნში უფრო ორიგინალური იდეებიც გვხვდება, მაგალითად, სტრატეგია სახელწოდებით „ლისისტრატეს უმოქმედობა“ ძველი ბერძენი მწერლის არისტოფანეს კომედიას უკავშირდება. შარპის მეთოდი, არისტოფანეს ნაწარმოების ფაბულის მსგავსად, ქალებს ქმრებთან სექსუალურ ურთიერთობებზე უარის თქმისკენ მოუწოდებს, სანამ ეს უკანასკნელი პოლიტიკურ მრწამს არ შეიცვლიან.

ბოლოს შარპი „არაძალადობრივი ინტერვენციის“ 41 მეთოდს აყალიბებს. ავტორი დიქტატურის დასამხობად ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეთოდებს აღწერს.

2008 წელს ჟურნალ International Security-ში გამოქვეყნდა კვლევა, რომელშიც 1900 წლიდან მოყოლებული დემოკრატიის სახელით განხორციელებული წინააღმდეგობების 323 შემთხვევა იყო შესწავლილი. კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობრივი წინააღმდეგობა მხოლოდ 26 პროცენტის შემთხვევაში იყო წარმატებული, მაშინ როცა არაძალადობრივი კამპანიების წარმატების მაჩვენებელი 53 პროცენტი იყო.

„არაძალადობრივი ქმედება – ბრძნული მიდგომაა. ეს ის ბერკეტი, რომელიც დიქტატორებს არ გააჩნიათ. მათ არაძალადობრივი ქმედებების წინააღმდეგ ეფექტიანი იარაღი არ აქვთ,“ – ამბობს ჯინ შარპი.

შარპის აზრით, არაძალადობრივი რევოლუცია აუცილებლად უნდა ეფუძ-

ნებოდეს „ბრძნულ, სტრატეგიულ, წინასწარგათვლილ გეგმას“. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ბევრი წარმატებული ოპოზიციური მოძრაობა დაუფრგმავი და სპონტანური იყო, შარპი ამბობს, რომ იმპროვიზაციებზე დაყრდნობა მაინც ძალიან სარისკოა.

ლიბიაში მშვიდობიანი რევოლუციის წარუმატებლობას იმითაც ხსნიან, რომ ეგვიპტისგან განსხვავებით, აქ ოპოზიცია სპონტანურად მოქმედებდა და არა კონკრეტული სტრატეგიის შესაბამისად.

ეგვიპტელი მომიტინგეები, რომლებმაც აქციის პირველივე დღეს არმიის ქება და მისი გადმობირება დაიწყეს, შარპის ერთ-ერთი მთავარი მეთოდის მიხედვით მოქმედებდნენ. შარპი რევოლუციონე-

## ■ შარპი რევოლუციონერებს „პროტესტის და დარწმუნების“ 54 ტაქტიკას სთავაზობს, რაც, მაგალითად, ფერადი ბანერების გამოყენებას გულისხმობს. შემდეგ 103 მეთოდს „უარი თანამშრომლობაზე“ ჰქვია.

რებს ურჩევს მოქმედი რეჟიმის ძლიერი მხარეები კარგად შეისწავლონ და შემდეგ ამავე რეჟიმის წინააღმდეგ გამოეყენონ. არმია მუხარაქის ხელისუფლების ძლიერი მხარე ნამდვილად იყო.

„აღფრთოვანებული ვიყავი ეგვიპტელებით, რომლებმაც შიში გადალახეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია წარმატებისთვის. როგორც კი რეჟიმი კარგავს ბერკეტს დააშინოს მოქალაქეები, რეჟიმი საფრთხეშია“, – ამბობს შარპი.

ორგანიზაცია CANVAS-ი სერბიული „ოტპორის“ ლიდერების მიერაა დაფუძნებული. იგი ჯინ შარპის არაძალადობრივი წინააღმდეგობის მეთოდებს იყენებს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტრენინგებს უტარებს მათ, ვისაც დიქტატურასთან ბრძოლა აქვს გადაწყვეტილი.

CANVAS-ის ერთ-ერთმა ლიდერმა რეჟისორ რუარდ ეროუსთან საუბარში აღიარა, რომ მათი ორგანიზაცია ეგვიპ-

ტელებთანაც თანამშრომლობდა.

„ეგვიპტეში პირადად ვნახე როგორ ხელმძღვანელობდნენ თაჰრირის მოედანზე შარპის წიგნიდან ამოღებული მასალებით და არაძალადობრივი წინააღმდეგობის 198 მეთოდით“, – ამბობს ეროუ „ლიბერალთან“ საუბარში.

თაჰრირის მოედანზე შეკრებილების უმეტესობას წარმოდგენაც არ ჰქონდა ვინ იყო არაბულად ნათარგმნი არაძალადობრივი მეთოდების ავტორი. როდესაც დოკუმენტური ფილმის გადაღებების ფარგლებში რუარდმა აქციის მონაწილე მუჰამედს ჯინ შარპის შესახებ უამბო, ამ უკანასკნელმა სასტიკად უარყო ეგვიპტური რევოლუციის უკან ამერიკული კვალის არსებობა.

„ჩვენთვის ამერიკელებს არ უთქვამთ როგორ გვემოქმედა. ეს ეგვიპტური რევოლუცია!“ – ამბობდა მუჰამედი.

ამერიკელი მკვლევარი მომხდარ რევოლუციებში საკუთარ წვლილსა და დამსახურებაზე არასოდეს საუბრობს. შესაძლოა, სწორედ მუჰამედის მსგავსი რეაქციების თავიდან ასაცილებლად.

შარპმა ისიც კარგად იცის, რომ დიქტატორის გადაგდება ყოველთვის არ ნიშნავს რეჟიმის დამხობას. ხელისუფლების გადაყენების შემდგომ ეტაპს შარპი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ტრანზიციის პერიოდში დიდია საფრთხე ახალმა გუნდმა ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ადრინდელზე გაცილებით ავტორიტარული რეჟიმი ჩამოაყალიბოს.

83 წლის ჯინ შარპმა Oxford University Press-ს თავისი ახალი წიგნის ხელნაწერი ცოტა ხნის წინ ჩააბარა: „ძალაუფლების და ბრძოლის შარპის ლექსიკონი: კონფლიქტის დროს სამოქალაქო წინააღმდეგობის ტერმინოლოგია.“

„მაგრამ, მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ სათაური მე არ ამირჩევია. ზედმეტად კანდიდურად ჟღერს“, – ამბობს იგი.

ინტერნეტ-ტექნოლოგიები და სოციალური ქსელები შარპისთვის უცხოა. ელექტრონული ფოსტის გაგზავნისთვისაც კი ასისტენტის მიერ კომპიუტერზე მიკრული მინაწერით ხელმძღვანელობს: „ახალი წერილის დასაწერად დააჭირეთ ლილასს „ახალი“ ზედა მარცხენა კუთხეში.“



სენტრალური აზია

# ოჯეხასია "მეზხვიდის დანახედა"

ახალი საპრეზიდენტო ვადის ამონურვამდე ნაზარბაევს მოუწევს არჩევნის გაკეთება, თუ ვინ იქნება მისი მემკვიდრე – ქალიშვილი, სიძე თუ უახლოესი გარემოცვის წევრი.

ვასო კუჭუხიძე

2011 წლის 3 აპრილს ყაზახეთში საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნული. ოპოზიციამ არჩევნებს თავიდანვე ბოიკოტი გამოუცხადა, რადგანაც წურსულთან ნაზარბაევს გამარჯვება წინასწარვე გარანტირებული აქვს. შესაბამისად, არჩევნების პროცესი არავითარ ინტრიგას არ გულისხმობს. საინტერესოა მხოლოდ ის დიდი პოლიტიკური თამაში, რაც საპრეზიდენტო არჩევნებს წინ უძღოდა და ცვლილებები, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს.

ნაზარბაევი ყაზახეთს უკვე 20 წელია, ერთპიროვნულად მართავს. კომუნისტების დროინდელი ჩინოვნიკი 70 წელს გადასცდა და ვრცელდება ცნობები მის გაუარესებულ ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, ყაზახეთსა და მის საზღვრებს გარეთ უკვე სერიოზულად მსჯელობენ „ყაზახბაშის“ მემკვიდრეზე. მართალია, 20 წლის განმავლობაში ნაზარბაევმა ოპოზიცია იმდენად დაასუსტა, რომ მას სერიოზული კანდიდატის წამოყენებაც არ შეუძლია, მაგრამ თვით მმართველი კლანის წიაღში დიდი დაპირისპირება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გახდება პირველი პირველთა შორის.

მემკვიდრეობის პრეტენდენტთაგან ერთ-ერთია ნაზარბაევის უფროსი ქალიშვილი დარიდა, რომელიც თითქმის მთლიანად აკონტროლებს მედია სივრცეს და ასევე უზარმაზარი გავლენა აქვს საკანონმდებლო ორგანოში. ბოლო დროს იგი სულ უფრო ხშირად ჩნდება მამის გვერდით საზღვარგარეთულ შეხვედრებზე, რაც მის საერთაშორისო ცნობადობას ზრდის.

პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად ასევე ნაზარბაევის ოჯახის კიდევ ერთი წევრი – მეორე ქალიშვილის დინარას მეუღლე – თემურ კულიბაევი მოიაზრება. კულიბაევი ქვეყნის ბიზნესის დიდ ნაწილს აკონტროლებს და პოლიტიკაში პრემიერ კარიმ მასიმოვის სახით გავლენიანი მხარდამჭერი ჰყავს.

სერიოზულ ძალაუფლებას ფლობს ყოფილი ეკონომიკის მინისტრი და Samruk-Kazyna-ფონდის პრეზიდენტი კაირატ კელიმბეტოვი, რომელიც, როგორც ამბობენ, ქვეყნის ეკონომიკის 70 პროცენტს აკონტროლებს. კელიმბეტოვის მხარდამჭერებად ითვლებიან ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტი და სახელმწიფო უშიშროების საბჭო.

სწორედ ამ სამ ფიგურას შორის მიმდინარეობს ბრძოლა. ნაზარბაევი კი ერთადერთი ადამიანია ყაზახეთში, რომელსაც ამ სამიდან ნებისმიერი კანდიდატის აღზევება ან განადგურება შეუძლია. თუმცა, ჯერჯერობით იგი თავს იკავებს მემკვიდრის დასახელებისგან. პრეზიდენტის ავტორიტეტიდან გამომდინარე, ვერცერთი ძალა ვერ ბედავს ბრძოლის საამკარაოზე გამო-



ყაზახეთის პრეზიდენტი წურსულთან ნაზარბაევი

ტანას და თამაში რამდენიმე წელია მხოლოდ კულისებს მიღმა მიმდინარეობს.

ანალიტიკოსთა შეფასებით, დღეს ყველაზე დიდი შანსი თემურ კულიბაევს აქვს, თუმცა მისი გავლენა იკლებს. ნაზარბაევის უფროსი ქალიშვილის ძალაუფლება კი სწრაფად იზრდება, ამიტომაც დარიდას მომხრეები ცდილობენ, დრო მაქსიმალურად განელონ და კონკურენტების დასუსტებას დაელოდონ. სწორედ მათი ინიციატივა იყო რეფერენდუმის ჩატარება, რომელსაც ნაზარბაევისთვის პრეზიდენტობის უფლება 2020 წლამდე არჩევნების გარეშე უნდა გაეხანგრძლივებინა.

მართალია, რეფერენდუმის მომხრეებმა 5 მილიონი ხელმოწერის შეგროვება სულ რაღაც 3 კვირაში შეძლეს და მათ ინიციატივას მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტიც უჭერდა მხარს, მაგრამ იგი თავად პრეზიდენტმა უარყო რამდენიმე მიზეზის გამო. მათ შორისაა: დასავლეთის მხრიდან მწვავე კრიტიკის არიდება.

ყაზახეთში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდება მოსკოვი, რომელიც ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში გავლენის დაკარგვას ვერ დაუშვებს.

კრემლს ჯერ ვერ გაუკეთებია არჩევანი, თუ რომელ მემკვიდრეს დაუჭიროს მხარი. და ანალიტიკოსთა აზრით, სწორედ კრემლის სურვილი იყო ჯანმრთელობაგაუარესებული ნაზარბაევის კიდევ ერთი ვადით პრეზიდენტობა. 3 აპრილს წურსულთან ნაზარბაევს კიდევ ერთხელ არჩევნებს ყაზახეთის პრეზიდენტად. მისი პრეზიდენტობის მომავალი ხუთწლიანი სხვა არაფერი იქნება, თუ არა ოპერაცია „მემკვიდრის დასახელება“ **□**

თვალსაზრისი

# უპირობო ჩიხი

კრემლი გაგრას ითხოვს? – რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის დემარკაციის პროცესში სახიფათო ნაღმები იმალება.

ინალ ხაშიგი



ფოტო: რაიზ ბრუნსონი / REUTERS

კულუარული ინფორმაციით, რუსული მხარე სოხუმს 160 კვადრატული კილომეტრის – ანუ გაგრის რაიონის თითქმის მთელი ჩრდილო-დასავლეთის გადაცემას სთავაზობს. ნაფა თუ არა ამაზე ბლაფში?

კრემლი გაგრას ითხოვს? – რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის დემარკაციის პროცესში სახიფათო ნაღმები იმალება.

შესაძლოა, პრეზიდენტი სერგეი ბაღატიანი თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ყველაზე რთული გამოცდის წინაშე აღმოჩნდეს. მასთან შედარებით უმნიშვნელოდ მოჩანს ის

დრამატული მოვლენები, 2004 წელს ბლაფში ხელისუფლებაში მოსვლასთან რომ ახლდა.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დასრულდება რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის დემარკაციის პროცესი. ამჟამად ამ საკითხზე მოლაპარაკება დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს. მხარეები კომენტა-

რებისგან თავს იკავებენ, თუმცა, სავარაუდოდ, ეს პერიოდი დასასრულს უახლოვდება.

კულუარული ინფორმაციით, რუსული მხარე სოხუმს 160 კვადრატული კილომეტრის – ანუ გაგრის რაიონის თითქმის მთელი ჩრდილო-დასავლეთის გადაცემას სთავაზობს... თუ მოითხოვს (ვის როგორ ურჩევნია).



მსოფლიოში ტერიტორიით ყველაზე დიდ სახელმწიფოს, იაპონიასთან კურილიის კუნძულებთან დაკავშირებული დავის გამწვავების ფონზე, კიდევ ერთი ტერიტორიული ხასიათის ნაღმი რაში სჭირდება?

თავად რუსებისთვის ეს რიტორიკული კითხვაა, მაგრამ პატარა აფხაზეთისათვის ქვეყნის ტერიტორიის ასეთი დიდი ნაწილის დაკარგვა კატასტროფის ტოლფასია. ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის კვლევა აუცილებლობას არ წარმოადგენს — რატომ უნდა, ყველა ერთმნიშვნელოვნად წინააღმდეგია. სულ რაღაც უახლოეს წარსულში (1992-93 წლების საქართველო-აფხაზეთის ომის დროს) ამ მიწაზე სისხლი დაიღვარა. მასზე ასე მარტივად უარს არავინ იტყვის, თუნდაც აფხაზეთის ერთადერთი რეალური პარტნიორის სასარგებლოდ.

მოსკოვს ზუსტად ესმის, რა არაპოპულარულია აფხაზეთში ტერიტორიულ დათმობებზე საუბარი. მიუხედავად ამისა, ის ამ წინადადებას მაინც აყენებს. სავარაუდოდ, იმ იმედით, რომ აფხაზეთის ხელისუფლება ამ საკითხს გაგებით მოეკიდება. ოფიციალური სოხუმი ბევრად უფრო დამთმობი, ხათრიანი, და, რაც ყველაზე მთავარია, უფრო მაღლიერია, ვიდრე ისინი, ვისაც ეს ხელისუფლება უნდა წარმოადგენდეს — აფხაზი ხალხი. ამის შესახებ კრემლმაც იცის და ამიტომ სოხუმისათვის ტერიტორიული პრეტენზიების წაყენებით, რუსეთს ბალაფშის ხელისუფლებისგან სრული 160 კილომეტრის თუ არა, ამის ნახევრის მიღების იმედი მაინც აქვს. ტერიტორიული დათმობის მისაღწევად რუსეთს არგუმენტები საკმარისზე მეტი აქვს და დამოუკიდებლობის აღიარების შესვენება მათ შორის მთავარი სულაც არ არის.

სოხუმზე ზენოლის მთავარი ბერკეტი ფულია. ბოლო ორი წლის განმავლობაში აფხაზეთში მოსულმა ფინანსურმა წვიმამ, მართალია, აფხაზეთის ეკონომიკა ფეხზე ვერ დააყენა, მაგრამ ადგილობრივი ბიუროკრატია უხერხულობამდე გაამდიდრა.

მოსკოვი შესაშური სიმშვიდით აკვირდება, თუ როგორ ილექება რუსი გადასახადების გადამხდელის თანხები აფხაზი ჩინოვნიკების ჯიბეებში; რუსეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელი რუსული დახმარებიდან 347 მილიონი რუბლის გაქრობას ქურდობას კი არა, „გაძვირებას“ უწოდებს — ეს ყველაფერი მოსკოვის კეთილშობილებად ან, მით უმეტეს, სისუსტედ არ უნდა ჩავთვალოთ. წვრილმანებზე გამოკიდება კრემლის ტრადიციებში არ შედის. მეტიც, რუსული დახმარება კრემლის მდუმარე თანხმობით გაიფლანგა. ეს მოსკოვის წინასწარ გათვლილი და გაანგარიშებული სვლა იყო, რომელსაც „აფხა-

**■ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დასრულდება რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის დემარკაციის პროცესი. ამჟამად ამ საკითხზე მოლაპარაკება დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს. მხარეები კომენტარებისგან თავს იკავებენ.**

ზეთის ჩინოვნიკებში ინვესტირება“ ეწოდება.

უნდა ითქვას, ფრიად მომგებიანი ბიზნესია. დებ ერთ რუბლს — იღებ ასს. მაგალითად, გასულ წელს „აფხაზეთის ჩინოვნიკებში რუსულმა ინვესტირებამ“ გადასარევად იმუშავა: მთელი წელი ხელისუფლების მოსახლეობას „რუსეთის სიყვარულისკენ“

მოუწოდებდა. ამას აფხაზი ჩინოვნიკები ხალხის „სწორ რელსებზე“ დაყენებას ეძახიან.

თუმცა ამჯერად აფხაზეთის ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება. როცა ხელისუფლებამ რუსეთს სიმბოლურ ფასად სამი ელიტური აგარაკი — ხრუშჩოვის, გორბაჩოვის და ბერიას სახელმწიფო აგარაკები გადასცა, ან, ვთქვათ, რუსულ სახელმწიფო კორპორაცია „როსნეფტს“ აფხაზეთის შელფზე ნავთობის მოპოვების ექსკლუზიური უფლება მისცა, ბალაფშმა მოიფიქრა გარკვეული არგუმენტები საზოგადოების თვალში ამ ქმედებების გასამართლებლად. საინტერესოა, რას იტყვის იგი იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის მიწას რუსებს გადასცემს? ამ შემთხვევაში მას ვერანაირი არგუმენტი, თუნდაც ძალიან სუსტი, ვერ ექნება.

თუ კრემლისათვის ტერიტორიული პრეტენზიები მართლაც პრინციპული საკითხია, მაშინ სერგეი ბალაფშს ძალიან არ გაუმართლა. თუ იგი მიწის ერთ გოჯსაც არ დათმობს, მაშინ, სავარაუდოდ, აფხაზეთში რუსული ფინანსური დახმარების ნაკადი მნიშვნელოვნად შემცირდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის ბიუჯეტის 70 პროცენტი რუსეთის დოტაციაზე მოდის, ეს ქვეყანაში ვითარების მკვეთრ დესტაბილიზაციას გამოიწვევს, რაც, სავარაუდოდ, ხელისუფლების შეცვლით დაგვირგვინდება. თუ ბალაფში ერთ გოჯ მიწას მაინც დათმობს ეს კიდევ უფრო დიდ დესტაბილიზაციასა და ასევე ვადამდელ გადადგომას ნიშნავს. იმის იმედილა რჩება, რომ კრემლში ვიღაცა, უბრალოდ, ხუმრობის ხასიათზე იყო. **■**



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



ფოტო გარიამო, დავითი და ზაზაშვილი რაზარაძე, სამინისტროს არქივიდან

კვარციტის კარიერი, კაზრეთი

## გარიამოს დაცვა

# ჯანმრთელობისთვის საშიში ოქრო

სს „მადნეულმა“, რომელიც საქართველოში ერთადერთი ოქროს მომპოვებელი კომპანიაა, თავისი საქმიანობა გარიამოსთვის აბსოლუტურად უსაფრთხოდ გამოაცხადა. თუმცა, გარიამოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული ანალიზებიდან ირკვევა, რომ კომპანია გარიამოს დაბინძურების თაობაზე რეალურ ინფორმაციას მაღავეს.

## მანანა ვარდიაშვილი

მსოფლიო მასშტაბით ოქროს მოპოვება-რეალიზაციაში საქართველოს მოკრძალებული ნიშა უკავია. თუმცა, ქართულ ეკონომიკაში მის მიერ შეტანილი წვლილი მნიშვნელოვანია.

დაუმუშავებელი და ნახევრად დამუშავებული ოქრო საქართველოს ექსპორ-

ტის უმსხვილეს სასაქონლო პოზიციებში ბოლო წლების განმავლობაში წამყვან ადგილს იკავებს. თუ 2004 წელს საქართველოდან საექსპორტოდ 18 მლნ 830 ათასი აშშ დოლარის ოქრო გავიდა, 2010 წელს საზღვარგარეთ გაყიდული ოქროს ლირე-ბულება 85 მლნ 788 ათას აშშ დოლარს

აღწევს, რაც საქართველოს ექსპორტის 5,4 პროცენტია.

დღეს საქართველოში ოქროს მოპოვებას, გადამუშავებასა და წარმოებას ერთი ბიზნეს-ჯგუფი კურირებს. 2005 წლის ნოემბერში რუსული „პრომიშლენნიე ინვესტორის“ (ამ კომპანიის დამფუძნებელი





„STANTON EQUITIES CORPORATION“-ს შპს „სტრანს ჯორჯია რესორსიცი“ ერგო, რომელიც საყდრისის საბადოზე ნიალით სარგებლობის კომპლექსურ ლიცენზიას ფლობს. ამ საბადოზე დათვლილი 40 ტონაზე მეტი ოქრო, ორჯერ მეტი ვერცხლი და 100 000 ტონამდე სპილენძი რენტაბელურ ამოღებას ექვემდებარება.

2007 წლიდან სს „მადნეულის“ და სს „კვარციტის“ აქციები „პრომიშლენი ინვესტორის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სიმან პოვარიონკინს გადაეცა. გარიგების შედეგად, სს „მადნეულის“ და „კვარციტის“ მფლობელი კომპანია „GeoProMining“-ი გახდა.

დღეს სს „მადნეული“ ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და სხვა ლითონების მოპოვებაზე რამდენიმე ლიცენზიას ფლობს. ოქროს მოპოვება მეორადი კვარციტული მადნებიდან ხდება. წლის განმავლობაში კომპანია 100 ათას უნციამდე ოქროს მოიპოვებს და გადასამუშავებლად კანადურ ორგანიზაციაში – „ჯონსონს მათიუ“-ში აგზავნის.

სს „მადნეული“ ოქროს მოპოვებისთვის ე. წ. გროვული გამოტუტვის მეთოდს იყენებს. ეს მეთოდი დამატებითი ინფრასტრუქტურის მშენებლობას არ საჭიროებს და ოქროს ლარიბი საბადოების დამუშავების შემთხვევაშიც ეკონომიკურად მომგებიანია. გროვული გამოტუტვა შედარებით ნაკლები კაპიტალური დანახარჯების გამო მიმზიდველი მეთოდია, თუმცა ოქროს ამოკრეფის ეფექტიანობაც ნაკლებია — 60-75% (ოქროს 40-25 პროცენტი ისევე მადანში რჩება, მაგრამ მისი შემდგომი გადამამუშავება უკვე არარენტაბელურია).

გროვული გამოტუტვის მეთოდი ოქროს მოპოვების პროცესში კალიუმის ან ნატრიუმის ციანიდის გამოყენებას მოითხოვს. გარემოსდაცვით პრობლემებს სწორედ ციანიდი ქმნის: ციანიდი ოქროსშემცველი მადნის გადამამუშავების შემდეგ დარჩენილ ე.წ. კუდებში (ნარმოების ნარჩენი მასა) გროვდება, იქიდან ფერდობებზე ჟონავს და შემდეგ მდინარე კაზრეთულაში ხვდება. კაზრეთულა მდ. მაშავერას უერთდება და მასაც აბინძურებს. ორივე მდინარის წყალი დაბინძურებულია ისეთი მძიმე ლითონებით, როგორებიცაა: სპილენძი, თუ-

თია, რკინა, კადმიუმი და მანგანუმი. 2007 წელს ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს – „მდინარე მაშავერას ხეობაში ნიადაგებისა და სასოფლო-სამეურნეო ნათესების დაბინძურება მძიმე ლითონებით“. კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მდინარე მაშავერას ხეობის ნიადაგში სპილენძის რაოდენობა 49-ჯერ აღემატება გერმანიაში მოქმედ ზღვრულად დასაშვებ ნორმას, თუთიისა – 18-ჯერ, ხოლო კადმიუმისა 12-ჯერ.

გასულ წელს გერმანელმა და ქართველმა მეცნიერებმა ბოლნისის ტერიტორიაზე ერთობლივი კვლევა ისევ გააგრძელეს და დაადგინეს, რომ მძიმე ლითონები ნიადაგიდან საკვებ ჯაჭვში გადადის: ბოლნისის მოსახლეობა კაზრეთულას და მაშავერას წყალს სარწყავად იყენებს. მორწყვის შემდეგ მძიმე მეტალები მცენარეებში გროვდება. ასეთი საკვების ხანგრძლივ-

რუსეთის სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი სერგეი გენერალოვია) შვილობილმა ბრიტანულმა კომპანიამ „STANTON EQUITIES CORPORATION“-მა ტენდერში გაიმარჯვა და სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ 97,25 პროცენტი იყიდა. ბოლო დრომდე „მადნეულში“ სპილენძის კონცენტრატის წარმოების, რეალიზაციისა და მადნების კვლევა-ძიების გარდა, ბარიტს, სპილენძ-თუთიას, ბარიტ-პოლიმელიტს და კვარციტსაც მოიპოვებდნენ. ინვესტორმა, რომელმაც „მადნეული“ შეიძინა, ოქროს შემცველი მეორადი კვარციტების გადამამუშავებელი შპს „კვარციტის“ 51 პროცენტი და „საქართველოს სამთამადნო კომპანიის“ 100 პროცენტიც მიიღო. ეს უკანასკნელი ბოლნისის რაიონის 36 საბადოზე ნიალით სარგებლობის ლიცენზიას ფლობს. „მადნეულის“ რამდენიმე შვილობილი კომპანიის გარდა,

ქართული ოქროს ექსპორტი



- 2005** წელს ექსპორტზე გავიდა 34 მლნ 743 ათას აშშ დოლარის ღირებულების ოქრო.
- 2006** წელს ექსპორტზე გატანილი ოქროს ღირებულება 49 მლნ 371 ათას აშშ დოლარს აღწევს.
- 2008** წელს – 100 მლნ 111 ათასი აშშ დოლარი.
- 2009** წელს – 116 მლნ 189 ათასი აშშ დოლარი.
- 2010** წელს – 85 მლნ 788 ათასი აშშ დოლარი.

მა მოხმარებამ კი, შესაძლოა, ადამიანის ორგანიზმში მთელი რიგი პათოლოგიური ცვლილებები გამოიწვიოს: მედიკოსთა შეფასებით, ბოლნისის რაიონში დაავადებათა სტატისტიკის ზოგადი მაჩვენებლები საგანგაშოა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2000 წლიდან 2010 წლამდე სიმსივნების რაოდენობა საქართველოში ორნახევარჯერ გაიზარდა, ბოლნისში კი თითქმის 4-ჯერ. თუ 2000 წელს ბოლნისში ავთვისებიანი სიმსივნით 158 ადამიანი იყო დაავადებული, 2009 წელს მათი რაოდენობა 530-ს აღწევს.

ტენდერში გამარჯვებისას „STANTON EQUITIES CORPORATION“-ს სხვადასხვა ვალდებულებების პარალელურად გარემოს დაცვითი საკითხების შესრულებაც დაეკისრა. კონკურსის პირობების თანახმად, კომპანიას გარემოს დაცვის სამინისტროში გარემოს უსაფრთხოების პროგრამა უნდა წარედგინა. გარემოს დაცვის სამინისტროში „მადნეულმა“ პროგრამა 2006 წელს წარადგინა. აქ განერილია ყველა ის პრობლემა, რაც „მადნეულის“

მხრიდან გარემოზე მავნე ზემოქმედებას იწვევს. პროგრამის მიხედვით, „მადნეულს“ გარემოს დაბინძურების კერები უნდა აღმოეფხვრა.

ამ პროგრამის წარდგენიდან თითქმის 5 წლის შემდეგ ვითარება უცვლელია - დაბინძურებული წყალი მდინარეში ისევ ჩაედინება. კომპანია კი გარემოს დაბინძურების შესახებ ინფორმაციას ადგილობრივ მოსახლეობას და სახელმწიფო სტრუქტურებს უშემაღვს.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესაბამისად, სს „მადნეული“ ვალდებულია გარემოს დაცვის სამინისტროს მდ. მამავერაზე ჩატარებული ყოველდღიური თვითმონიტორინგის შედეგები გაუგზავნოს. „მადნეულის“ მიერ ჩატარებული თვითმონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2010 წლის განმავლობაში მდ. მამავერაში მძიმე მეტალების შემცველობამ ზღვრულ ნორმას მხოლოდ ერთხელ გადააჭარბა და ისიც, უმნიშვნელოდ.

მდ. მამავერას გვემიურ მონიტორინგს პარალელურად, გარემოს დაცვის ერო-

ვნული სააგენტოც ახორციელებს. სააგენტომ მამავერადან წყლის გეგმიური სინჯები 2010 წლის 13 მაისს და 21 ივნისს აიღო. ამას დაემატა არაგვემიური სინჯები, რომელიც გარემოს დაცვის ინსპექციის დაკვეთით, 2010 წლის 8 ივნისს აიღეს. შესაბამისად, არსებობს ერთი და იგივე დღეებში და ერთსა და იმავე ადგილზე აღებული სინჯების შედარების საშუალება.

როგორც ამ შედარებით ირკვევა, მდ. მამავერას დაბინძურების შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემები სამივე შემთხვევაში (13 მაისი, 8 ივნისი, 21 ივნისი) მნიშვნელოვნად აღემატება საწარმოს მიერ ხელისუფლებისთვის მიწოდებულ მონაცემებს.

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს გეგმიური მონიტორინგის მონაცემების თანახმად, 2010 წლის მეორე კვარტალში მდ. მამავერაში მძიმე მეტალების კონცენტრაცია კანონით დადგენილ ზღვრულ ნორმას 10-15-ჯერ, ზოგიერთ შემთხვევაში კი, 30-ჯერაც აჭარბებდა.

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ აღებული სინჯების ლაბორატორიული ანალიზის შედეგები გარემოს დაცვის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეგზავნა. სს „მადნეულის“ მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დადგენილი პირობების დარღვევის გამო გარემოს დაცვის ინსპექციის ქვემო ქართლის ბიურომ 2010 წლის 8 აგვისტოს და 15 სექტემბერს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები შეადგინა. ოქმები განსახილველად რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნა და სს „მადნეული“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ცნეს.

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემების ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ 2010 წელს მდინარეები მძიმე მეტალებით ინტენსიურად ბინძურდებოდა. მიუხედავად ამისა, გარემოს დაცვის თვალსაზრისით, სახელმწიფოს არანაირი კონკრეტული ღონისძიებისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავს. არ ვრცელდება ინფორმაცია სს „მადნეულისთვის“ დაკისრებული რაიმე სახის სანქციებსა თუ რეკომენდაციებზეც. მეტიც, სს „მადნეულის“ ყოფილი დირექტორი, პარლამენტა-

### ოქროს ეფეხი



ჯანმრთელობისთვის პოტენციურ საშიშროებას წარმოადგენს 12 მძიმე მეტალი – სპილენძი, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, კალა, ტყვია, ვანადიუმი, ქრომი, მოლიბდენი, მანგანუმი, ნიკელი და სტრონციუმი. განსაკუთრებით ტოქსიკურია კადმიუმი, ვერცხლისწყალი, ტყვია და სტრონციუმი. მათ ახასიათებთ მაღალი ტოქსიკურობა და ორგანიზმში დაგროვების უნარი. მძიმე მეტალები სხვადასხვა სახის დარღვევებს იწვევენ. კადმიუმით მოწამლევა ძვლების „დარბილებას“ და თირკმლების დაზიანებას იწვევს, ახასიათებს ძლიერი ტკივილები სახსრებსა და ზურგის არეში. კადმიუმი და რამდენიმე მისი ნაერთი ცნობილია, როგორც კანცეროგენი და მრავალი სახის სიმსივნის გამომწვევია. ამასთან, კადმიუმს ნახევრადგამოყოფის ხანგრძლივი დრო გააჩნია — 10-30 წელი. დაბინძურებულ წყალში დაჭერილი თევზის მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის მძიმე ინტოქსიკაცია (ეს არის ციტატა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ბროშურიდან „ოქროს მოპოვების ზემოქმედების ქვეშე მყოფი მოსახლეობისთვის“ – სახელმძღვანელო).



რი კობა ნაყოფია საქართველოს პრეზიდენტმა „პატრიოტიზმისთვის და ბიზნესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის“ 2010 წლის 26 მაისს ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

გარემოსდაცვითი პრობლემის აღმოსაფხვრელად ბევრი რომ არაფერი გაკეთებულა, ამას გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, შალვა ჯავახაძეც ადასტურებს: „მაშვერაზე გეგმიურ მონიტორინგს მუდმივად ვანარმოებთ. წლევანდელი შედეგები გასულის წლის მონაცემებით კატასტროფული არ არის, მაგრამ მდინარეებში მძიმე მეტალების შემცველობა კანონით დასაშვებ ნორმას ისევ აჭარბებს“.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების 2010 წლის ანგარიშის გარემოსდაცვით ნაწილში „მადნეულის“ საქმიანობას ცალკე თავი აქვს მიძღვნილი. ანგარიშში აღნიშნულია: „გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ 2010 წელს მდინარეები მძიმე მეტალებით ინტენსიურად ბინძურდებოდა; „მადნეულის“ მიერ სახელმწიფოსთვის მიწოდებული ინფორმაცია თვითმონიტორინგის შესახებ სანდო არ არის; გარემოს დაცვის სამინისტრო ადეკვატურად არ რეაგირებს დაბინძურებაზე; ადგილობრივ მოსახლეობას მიწოდება არასწორი ინფორმაცია დაბინძურების პრობლემის მოგვარებაზე, რაც კიდევ უფრო ზრდის მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკებს“.

„კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის“ (CENN) პროექტების კოორდინატორი რეზო გეთიაშვილი, რომელიც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ანგარიშზე მუშაობს, ამბობს, რომ „მადნეულის“ საქმიანობა მოსახლეობას სერიოზულ ზიანს აყენებს: „ბოლნისელებს, რომლებიც დაბინძურებულ გარემოში ცხოვრობენ, ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით აქვთ უფლება, ჰქონდეთ ინფორმაცია საკუთარი საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. მათ უნდა იცოდნენ, რა საფრთხეებია მათ საცხოვრებელ გარემოში, რომ მათი აცილება შეეძლოს“.

რატომ არ ითხოვს სახელმწიფო სს



მადნის გადამუშავების პროცესი

**■ გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემების ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ 2010 წელს მდინარეები მძიმე მეტალებით ინტენსიურად ბინძურდებოდა. მიუხედავად ამისა, არ ვრცელდება ინფორმაცია სს „მადნეულისთვის“ დაკისრებული რაიმე სახის სანქციებსა თუ რეკომენდაციებზეც. მეტიც, სს „მადნეულის“ ყოფილი დირექტორი, პარლამენტარი კობა ნაყოფია საქართველოს პრეზიდენტმა „პატრიოტიზმისთვის და ბიზნესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის“ 2010 წლის 26 მაისს ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.**

„მადნეულისგან“ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებას? ამ კითხვას ერთადერთი პასუხი აქვს: „მადნეული“ ხელისუფლების მხარდამჭერი კომპანიაა და მის საარჩევნო კამპანიას და ბევრ სახელისუფლებო პროგრამას თუ ლონისძიებას აფინანსებს: „მადნეულმა“ დააფინანსა 2008 წლის სექტემბერში რიყზე გამართული ბრაიან ადამსის კონცერტი, „ჯორჯიან ფეშენიკი“ და თბილისის მე-12 საერთაშორისო ჯაზფესტივალი. „გოლდინვესტმა“ დააფინანსა რენი ჰარლინის მიერ საქართველო-რუსეთის ომზე გადაღებული ფილმი-ტრილერი, რომლის ბიუჯეტიც 32 მლნ დოლარია. „გოლდინ-

ვესტის“ 100-პროცენტისი წილის მფლობელი კი კობა ნაყოფიაა. როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა მის ერთ-ერთ მთავარ სპონსორს შეღავათს უკეთებს და გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებისგან ათავისუფლებს. ამ შეღავათს კი სანაცვლოდ, მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს სწირავს. აშკარაა, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებთან თანხვედრის მიუხედავად (ბუნებრივი რესურსები, ენერგეტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა), გარემოს დაცვა საქართველოში მაინც ვერ გახდა ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან სათანადო ყურადღების ღირსი. **□**



ალაიანის უფლებები

# ხავშიი ხავშიისთვის

საქართველოში პროფესიული კავშირები არსებობს, მაგრამ მათი გავლენა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ პროცესებზე იმდენად შეუმჩნეველია, რომ ამის შესახებ თითქმის არავინ იცის.

ნინო რობაქიძე



ილუსტრაცია: ნინო რობაქიძე

22 მარტს პარლამენტის შენობის შესასვლელთან ასამდე ადამიანი შეიკრიბა. „დაგვიბრუნეთ მაუდ-კამეოლის ქარხანა!“ წერია ტრანსპარანტებზე, რომლებიც მათ საკანონმდებლო ორგანოსთან მიიტანეს.

ხმის გამამძლიერებელი „კონსერვატიული პარტიის“ წევრს ლაშა ჩხარტიშვილს უჭირავს და მის უკან მდგარი ხალხის სახელით ხმამაღლა ჰყვირის – „ჩვენ არ შევარჩენთ ამ მთავრობას!“

აქციას მაუდ-კამეოლის ქარხნის ყოფილი თანამშრომლები მართავენ. მიუხედავად იმისა, რომ მიკროფონთან პოლიტიკოსია, აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ პოლიტიკური ლოზუნგები არ აქვთ და მხოლოდ საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობენ. „ქარხანა გაყიდეს და თანამშრომლები გამოგვყარეს“, – ამბობს აქციის ერთ-ერთი მონაწილე და განმარტავს, რომ ქარხნის თანამშრომლებმა სამსახურთან ერთად ქარხნის აქციების კუთვნილი წილიც დაკარგეს.

მაუდ-კამეოლის ქარხანა რომელიმე დასავლურ ქვეყანაში რომ ყოფილიყო, პარლამენტის წინ გამართულ აქციას სათავეში ლაშა ჩხარტიშვილის ნაცვლად პროფკავშირები ჩაუდგებოდნენ.

პროფესიული კავშირები საქართველოშიც არსებობს, თუმცა მაუდ-კამეოლის ქარხნის თანამშრომლების უმრავლესობამ მათ შესახებ არაფერი იცის.

„რა პროფკავშირი? კიდევ არის ეგეთი ორგანიზაცია? ეგენი ადრე იყვნენ, კომუნისტების დროს“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში აქციის ერთ-ერთი მონაწილე. შედარებით ინფორმირებულებმა იციან, რომ პროფკავშირი დღესაც არსებობს, მაგრამ ამ ორგანიზაციას არ ენდობან; ამბობენ, რომ ბოლოს პროფკავშირი მათი ქარხნის ყოფილი მეპატრონის – ბადრი პატარკაციშვილის ინტერესებს იცავდა და არა ქარხნის თანამშრომლების: „ამიტომაც მაშინ ბევრი გამოვიდა პროფკავშირიდან, ახლა არც ვიცით, თუ არის სადმე რამე ორგანიზაცია, რომელსაც მივმართავთ და ჩვენი უფლებების დაცვაში დაგვეხმარება“, – აცხადებს აქციის მონაწილე მანანა მახათაძე.

ორგანიზაცია, რომელსაც მაუდ-კამეოლის მუშები ეძებენ, თბილისის ცენტრში, ვაჟა-ფშაველას 43-ში მდებარეობს. სა-

ქართველოში ყველაზე მსხვილი პროფკავშირის – „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების“ ეზოში ბეტონის კედელზე დიდი ასოებით წერია – „იქნება სოლიდარობა, ყველაფერი გამოვა!“

ეზოს შესასვლელში დაცვა დგას, ბოძებზე საქართველოს და ევროკავშირის დროშები ჰკიდია. ეს უკანასკნელი – ორგანიზაციის დასავლური ლირებულებების ხაზგასასმელად.

სამსართულიანი შენობის დერეფნები ახლად გარემონტებულია. ყველა ოთახის კართან ოქროსფერი აბრები ჰკიდია, სადაც სხვადასხვა თანამდებობები და სახელები და გვარები მითითებული.

გაერთიანების თავმჯდომარის კაბინეტი მისი მისაღებიდან ორი მაღალი, მასიური ხის კარით არის გამოყოფილი. მისაღებში კედლებზე რამდენიმე პოსტერია გაკრული. ერთ-ერთიდან ვიგებ, რომ საქართველო 2009 წელს მონაწილეობდა საერთაშორისო პროფკავშირების კონფედერაციის მიერ მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებულ კამპანიაში „ღირსეული შრომის მსოფლიო დღე“.

ორგანიზაციის მუშაობის სირთულეებზე საუბრისას, პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი ამბობს, რომ „საქართველოში სუსტი სამოქალაქო საზოგადოებაა, რომელსაც სოლიდარობის განცდა არ აქვს“:

„ჩვენთან ღირსეული სამუშაო გარემოს არსებობას უბრალოდ წარმოუდგენელს ხდის ეს სიმძინჯე, რასაც დღეს საქართველოს შრომის კანონმდებლობა ჰქვია. პროფკავშირების 7–8 ათასი წარმომადგენელი ამ კანონის მიღებას მიტინგებით ვაპროტესტებდით, მაგრამ მთავრობა ნიშნისმოგებით გვეუბნებოდა – მართლა რომ ცუდი იყოს ჩვენი კანონი, 50 ათასი კაცი მაინც გამოვიდოდა ქუჩაში და მართალიც არის!“

ორგანიზაცია, რომელსაც პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს, საქართველოში პროფესიული კავშირების ყველაზე დიდი გაერთიანებაა. მასში 22 პროფესიული კავშირია გაერთიანებული. თითოეული კავშირი საკუთარი ბიუჯეტის 5 პროცენტს გაერთიანებას ურიცხავს. პეტრიაშვილი ამბობს, რომ გაერთიანების ბიუჯეტი სანერო გადასახადებით ივსება და, მა-

გალითად, 2010 წელს დაახლოებით 300 ათასი ლარი იყო.

საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას ორი გავლენიანი პარტნიორი ჰყავს – შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და საერთაშორისო პროფკავშირების კონფედერაცია. დონორი ორგანიზაციებიდან კავშირი ფრიდრის ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობასთან თანამშრომლობს. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე პერიოდულად საქართველოში პარტნიორი ორგანიზაციების დელეგაციებსაც მასპინძლობს და როგორც თავად ამბობს, ამერიკის ელჩთანაც სადილობს ხოლმე.

რაც შეეხება დასაქმებულებს, რომლებთან კომუნიკაციაც პროფკავშირებს პირველ რიგში ევალებათ, გაერთიანების თავმჯდომარე აღიარებს, რომ პროფესიულ კავშირებსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობის პრობლემა სერიოზულად დგას.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის 2010 წლის კვლევის მონაცემებით, საქართველოში პროფესიული კავშირების მუშაობას დადებითად 22 პროცენტი აფასებს, 43 – უარყოფითად და 35-ს კი საერთოდ არ გააჩნია საკუთარი დამოკიდებულება ამ ინსტიტუტის მიმართ. ამავე კვლევის თანახმად, სხვადასხვა ინსტიტუციას შორის მოსახლეობის ნდობის თვალსაზრისით, პროფკავშირები ბოლო ადგილზეა.

„ფინანსური რესურსი გადამწყვეტია. მეტი ფული მეტ გადამზადებულ და ინფორმირებულ დასაქმებულს ნიშნავს, რომელიც თავისი შრომითი უფლებებისთვის იბრძობებს. ჩვენ კი ძალიან ცოტა ფული გვაქვს“, – აცხადებს პეტრიაშვილი. იგი ამბობს, რომ ორგანიზაციის მწირი ფინანსური სახსრების უდიდესი ნაწილი სწორედ მშრომელების გადამზადებისთვის იხარჯება: „რეგიონებში დავდივართ, ვხედებით დასაქმებულებს და მათ თავიანთ უფლებებს ვაცნობთ. თუ მოგვმართავენ დახმარებისთვის, უფასო იურიდიულ მომსახურებას უზრუნველვყოფთ“.

თუმცა, ამ ყველაფრის შესახებ დასაქმებულთაგან ძალიან ცოტამ თუ იცის.

პროფკავშირების არსებობა, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ ხდება აქტიულოური ახალი ამბავი, თუ პროფკავშირის არჩევნებზე კანდიდატები შედეგებზე ვერ შეთანხმდებიან და თანამდებობებს ვერ იყოფენ. მაგალითად, ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დიდი პროფესიული კავშირის – მასწავლებლების პროფკავშირის თავმჯდომარეს საქმე დღესაც სასამართლოში აქვს – მას კონკურენტი არჩევნების შედეგებს არ უთმობს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს პროფკავშირები ისეთივე მნიშვნელობის სამთავრობო სტრუქტურა იყო, როგორც, მაგალითად, რაიონული კომიტეტი. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სადმე მუშაობდა, ავტომატურად პროფკავშირის წევრიც იყო და ხელფასიდან ერთ პროცენტს პროფკავშირის ბიუჯეტში იხდიდა. პროფკავშირის ბიუჯეტიც ფრიად შთამბეჭდავი იყო და მის მიერ მშრომლებისათვის შეთავაზებული ბენეფიტებიც, რომლებითაც, ყველა მშრომელი ერთნაირად არ სარგებლობდა – საგზურები საკავშირო კურორტებზე, შუშუნა ღვინოები ყუთებით დღესასწაულებზე, სადღესასწაულო საღამოები მაშინ ასე იშვიათ რესტორნებში, ბინებში და აგარაკებში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პროფკავშირებმა ბიუროკრატიული ორგანიზაციის იმიჯი, იდეოლოგია და, გარკვეულწილად, ქონება და წევრებიც კი შეინარჩუნეს.

„მე მეგონა, თუ ვმუშაობ, ავტომატურად პროფკავშირის წევრიც უნდა ვიყო, როგორც ადრე, კომუნისტების დროს,“ – ამბობს პედაგოგი ცისანა ფურცვანიძე, რომელიც წლებია საჯარო სკოლაში მუშაობს და ხელფასის ერთ პროცენტს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს დღესაც უხდის. იგი ამბობს, რომ სამსახურში პრობლემი ჰქონია, მაგრამ არც კომუნისტების დროს და არც მერე პროფესიული კავშირისთვის დახმარების მისაღებად არ მიუმართავს. ქალბატონი ცისანასთვის, ბევრი სხვა მასწავლებლის მსგავსად, პროფკავშირების წარმომადგენლებსაც არ მიუმართავთ, არც რაიმე ინფორმაცია მიუწოდებიათ კავშირის საქმიანობის შესახებ.

– „ადგილობრივი პროფკავშირების ინიციატივით, 70 ათასამდე ადამიანი გამოვიდა ვისკონსინში საბიუჯეტო ხარჯების შემცირების წინააღმდეგ“.

– „ბრიტანული პროფკავშირები სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა პენსიების შემცირების წინააღმდეგ გამოვიდნენ“.

– „ქვეყნის აეროპორტებში 19-დღიან გაფიცვას გეგმავენ ესპანური პროფკავშირები. ისინი ავიანავიგაციის ესპანური ოპერატორის პრივატიზაციას გააპროტესტებენ“.

– „საფრანგეთის პროფკავშირებმა მორიგი საერთაშორისო გაფიცვა მოაწყვეს პრეზიდენტ სარკოზის მიერ ინიცირებული საპენსიო რეფორმის წინააღმდეგ“.

ეს საერთაშორისო სააგენტოებიდან ამოწერილი უკანასკნელი ორი თვის ინფორმაციაა. ამ შინაარსის ახალ ამბებს საერთაშორისო სააგენტოებში ლამის ყოველ მეორე კვირას წააწყდებით. განვითარებულ ქვეყნებში პროფკავშირები დასაქმებულთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ავტორიტეტული ინსტიტუტია.

ევროპაში პროფესიული კავშირებისა და გაერთიანებების წარმოშობა მე-18 საუკუნიდან დაიწყო. ერთ-ერთი პირველი პროფესიული კავშირი საწარმოებში მუშების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად დიდ ბრიტანეთში შეიქმნა.

დღეს მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში ყველა მსხვილ საწარმოს აქვს პროფესიული კავშირი, რომელიც მუშების უფლებებს მკაცრად აკონტროლებს.

პროფკავშირები უპირისპირდებიან უმსხვილესი კორპორაციების, ბიზნეს მაგნატების და ხელისუფლების წარმომადგენელთა ინიციატივებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც დასაქმებულთა უფლებებს ზღუდავენ.

2009 წელს დიდ ბრიტანეთში ლინკოლნ-შირის რაიონში „ლინდსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მუშები გაიფიცნენ. ქარხანაში იტალიელი ინვესტორი შემოვიდა, რომელმაც ახალ პროექტზე საკუთარი ინჟინრების დასაქმება გადაწყვიტა და ადგილობრივი კადრები სა-

მსახურიდან დაითხოვა. ბრიტანეთის პროფესიული კავშირების საქმეში ჩართვის შემდეგ ამ გადაწყვეტილებამ არამარტო ამ ქარხნის, არამედ სხვადასხვა ელექტროსადგურებსა და სამშენებლო დაწესებულებებში ათასობით მუშახელის პროტესტი გამოიწვია მთელი ქვეყნის მასშტაბით. იტალიურმა კომპანიამ გადაწყვეტილება მალე შეცვალა და ბრიტანელი მუშები სამსახურს დაუბრუნდნენ. პროფესიული კავშირის წევრმა ფილ ვაითჰარსთამ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ აღფრთოვანებულმა განაცხადა: „ჩვენ მივალნიეთ მიზანს და მივიღეთ სამუშაო ადგილები. მაგრამ ბრძოლა აქ არ შეწყდება. ბრძოლა გაგრძელდება ყველგან, სადაც უსამართლობა მოხდება. არასდროს დავუშვებთ ბრიტანელი მუშახელის დისკრიმინაციას“. ეს ერთი რიგითი მაგალითია პროფკავშირების აქტიურობის, რომლის მსგავსი ევროპაში უამრავია.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი „ლიბერალთან“ საუბარში რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ მისი გაერთიანება პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანიზაციაა.

ამ გაერთიანების ვებგვერდზე განთავსებულ ნებისმიერ ინფორმაციას ასევე აუცილებლად თან ახლავს ფრაზა, რომელიც პროფკავშირების მოთხოვნების თუ სხვა აქტივობის აპოლიტიკური ხასიათის ხაზგასმას ცდილობს. მაგალითად, 8 მარტს სამედიცინო პროფკავშირების მიერ ორგანიზებული აქციის შესახებ ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ „პროფკავშირების პრეზიდენტის, ჯონი ჯანაშიას განცხადებით, ექიმების ქუჩაში გამოსვლა პოლიტიკასთან არანაირ კავშირში არ არის“.

ამ გადამეტებულ სიფრთხილეს დასაქმებულთა უფლებების მთავარი დამცველი ასე ხსნის: „როცა შენი ქვეყნის 22 პროცენტი ოკუპირებულია, როცა პერევის საკითხია, როცა ცხინვალს ბომბავენ, როცა ვიღაც რუსი გენერალი გამოდის და ამბობს, რომ საქართველოს პრევენციული დარტყმები უნდა მივაყენოთ და როცა სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებასთან არის თემები და გარე საფრთხეები ასე ცხადად დგას შენი სახელმწიფოს წინაშე, როცა





■ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის 2010 წლის კვლევის მონაცემებით, საქართველოში პროფესიული კავშირების მუშაობას დადებითად 22 პროცენტი აფასებს, 43 – უარყოფითად და 35-ს კი საერთოდ არ გააჩნია საკუთარი დამოკიდებულება ამ ინსტიტუტის მიმართ.

საუბარია ქვეყნის ფიზიკურ გადარჩენაზე, ძნელია დაინყო ხელისუფლებასთან ოპონირება რალაც ბევრად უმნიშვნელო ამბებზე. კი, ჩვენ გვბლოკავენ ყველგან – არ ჩაგვრთეს საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვაში, უარი გვითხრეს საზოგადოებრივი მათემატიკის ბორდში ჩვენი წარმომადგენლის მუშაობაზე, მაგრამ ოპოზიცია ხომ ვერაფერს გააკეთებს დასაქმებულებისთვის? რეალურად ცვლილებების ბერკეტები ხელისუფლების ხელშია“, – აცხადებს პეტრიაშვილი.

მისი თქმით, ორგანიზაციის საქმიანობა ნელა, მაგრამ დასაქმებულების შრომითი უფლებების დაცვისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს.

საქართველოში პროფკავშირების წარმატებებზე საუბრისას პეტრიაშვილი ტყიბულის მაღაროების მუშებისთვის კოლექტიური ხელშეკრულების გაფორ-

მებას ასახელებს. „ტყიბულის მაღაროში თებერვალში მომხდარი აფეთქების შემდეგ, რომლის დროსაც ორი მაღაროელი დაიღუპა, პროფესიული კავშირების გაერთიანებამ მაღაროს მუშებისთვის ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნისათვის საჭირო პირობები ჩამოაყალიბა და მუშებთან შეთანხმებით დამსაქმებელს წაუყენა. „საქნახშირის“ ხელმძღვანელობა მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას დათანხმდა“, – აღნიშნავს პეტრიაშვილი. მისი თქმით, ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შრომის პირობების უსაფრთხოება, ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება, ხელფასების მატება.

„ეს მთლიანად პროფკავშირებისა და მაღაროში დასაქმებულების სოლიდარული მოქმედების შედეგია“, – ამბობს იგი.

თუმცა, ამ ისტორიაში არის ერთი დეტალი, რომელიც პროფკავშირებისა და

მუშების წარმატების ვერსიას ეჭვქვეშ აყენებს. მაღაროში მომხდარი აფეთქების შემდეგ რამდენიმე საათში, საგანგებო განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა. მან მაღაროს ხელმძღვანელობას უსაფრთხოების ზომების დაუყოვნებლივ გამკაცრება მოსთხოვა.

შრომის კანონმდებლობა, დასაქმებულთა უფლებები და შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა ნებისმიერი დასაქმებულისთვის თუ პოტენციური მშრომელისთვის დაკარგულ ტერიტორიებზე არანაკლებად აქტუალური საკითხებია.

შემცირებები და სამსახურიდან უკომპენსაციოდ, ყველა სტანდარტის დარღვევით თანამშრომლების გათავისუფლება, რაც თითქმის ყველა ოჯახისთვის ცნობილი შემთხვევაა, დეკრეტული შვებულებების არარსებობა, არანორმირებული სამუშაო დღე – პროფესიულ კავშირებს თავიანთი საქმიანობისთვის ფართო ასპარეზს აძლევს.

24 თებერვალს, როცა თბილისში ვიზიტით აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯეიმს სტინბერგი იმყოფებოდა, მასთან შეხვედრაზე სამოქალაქო სექტორში არსებულ პრობლემებზე სასაუბროდ სულ ხუთი ადამიანი დაპატიჟეს. ის ფაქტი, რომ ამ მაღალი დონის შეხვედრაზე მონაწილეებს შორის პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენელიც იყო, მონაწილეობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ორგანიზაციას სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით.

თუმცა ამ ასპარეზის დასაქმებულთა საკეთილდღეოდ გამოყენებას თვისებრივად ახალი, გაბედული პროფკავშირული მოძრაობა სჭირდება, რომელიც საბჭოთა ბიუროკრატიულ ორგანოსთან ყველანაირ მსგავსებას დაკარგავს.

ამგვარი პროფკავშირების ნიშა საქართველოში აშკარად თავისუფალია. შედეგად, ქუჩაში საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად გამოსულ მოქალაქეებს პოლიტიკოსები უერთდებიან, რომლებიც დასაქმებულთა სამართლიან პროტესტს პოლიტიკურ შოუდ აქცევენ. ამდენად, სწორედ პროფკავშირების „აპოლიტიკურობა“ ხდება სამართლიანი აქციების პოლიტიკის მიზეზი. ■

ფული და მედია

# ვის აწყობს სახეხანაო დროის ზხდა?

გაზრდილი სარეკლამო დროით მხოლოდ ისინი იხეირებენ, ვისაც რეკლამა მანამდეც  
ჭარბად ჰქონდა.

ნანა საჯავია



„კანონში მაუწყებლობის შესახებ“ ცვლილებები იგეგმება:

თუ, აქამდე 30 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების რეკლამით განწყვეტა იკრძალებოდა, ახალ ინიციატივას ეს დრო 15-წუთამდე დაჰყავს. ამასთან, 2,5-ჯერ იზრდება რეკლამის ხანგრძლივობა და დღეს დაშვებული 120 წამის ნაცვლად, რეკლამა უკვე 300 წამს გაგრძელდება.

ასევე, თუკი აქამდე 45 წუთზე მცირე ხანგრძლივობის მხატვრული ფილმის რეკლამით შეწყვეტა დაუშვებელი იყო, ახალი ინიციატივით, ინტერვალი 30 წუთამდე მცირდება.

ამ ცვლილებებით ყველაზე მეტ სარგებელს ნაციონალური არხები მიიღებენ, რომლებიც უკვე კარგა ხანია, არღვევენ აქამდე კანონით დაწესებულ სარეკლამო რეგლამენტს. მაყურებელი კი, ჭარბი სარეკლამო ჭრების მსხვერპლი გახდება, რაც საერთაშორისო სტანდარტების დარღვევაა.

პარლამენტში ამ ცვლილებების ინიცირებას წინ უძღოდა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სტუდია „მონიტორის“ მიერ შეტანილი საჩივარი.

„მონიტორი“ საქართველოს ტელე-სარეკლამო ბაზრის მთავარ მოთამაშეებს – „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ სწორედ სარეკლამო ლიმიტის გადაჭარბებაში ადანაშაულებს. „მონიტორმა“ დაითვალა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა „კურიერის“ ორ საინფორმაციო გამოშვებაში 613 წამით მეტი რეკლამა განათავსა, საბავშვო გადაცემა „საბავშვო ამბებში“ – 513 წამით მეტი. ტელეკომპანია „იმედის“ სამ საინფორმაციო გამოშვებაში გასული რეკლამა კი კანონით დადგენილ ნორმას 1365 წამით აღემატებოდა.

„მონიტორი“ უკვე მეორედ უჩივის ტელეკომპანიებს მსგავსი დარღვევებისთვის. პირველად კომისიამ ტელეკომპანიებს გამაფრთხილებელი სანქციები დაუწესა. ამის შემდგომ სანქცირებული ტელეკომპანიები თავადვე უნდა შეემონებინა, თუმცა, ახალი დარღვევების შესახებ ისევ „მონიტორისგან“ შეიგყო.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „მონიტორის“ საჩივარი წარმოებაში მიიღო და თუ მტკიცებულებები დადასტურდა, ტელეკომპანიებს ფულადი ჯარიმა დაეკისრებათ. კომისია ტელეკომპანიებს შემოსავლის 0,5 პროცენტით დააჯარიმებს.

ტელეკომპანიებისთვის, რომლებიც რეკლამას გადაჭარბებით ათავსებენ, ამ თანხის გადახდა, შესაძლოა, პრობლემა არ იყოს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დარღვევები გაგრძელდება, კანონის თანახმად, შემდეგი ნაბიჯი ამ ტელეკომპანიებისთვის ლიცენზიის შეჩერება იქნება.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი თამარ კორძაია, რომელიც მედიის სამართლებრივი დაცვის საკითხებზე მუშაობს, ამბობს, რომ საკანონმდებლო ცვლილებები დროში საეჭვოდ დაემთხვა სტუდია „მონიტორის“ საჩივარს: „ეს არხები ერთხელ გააფრთხილეს, მეორე სანქცია უკვე ჯარიმას ითვალისწინებს. შემდგომი დარღვევები კი მათ სალიცენზიო პირობებსა და მომავალ ლიცენზირებაზე უარყოფითად აისახება“.

გარდა ამისა, ტელეკომპანიების შემოსავლის 0,5 პროცენტით დაჯარიმებით მათი წლიური შემოსავალი გახდება ცნობილი, რაც დღეს მკაცრად გასაიდუმლოებულია.

„რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ გარდა ყველა სხვა ტელევიზია ასრულებს ვალდებულებას, ყოველწლიური ფინანსური ანგარიში წარუდგინოს კომისიას. ამ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ერთ-ერთი შედეგი სწორედ ის იქნება, რომ მათ შემოსავალს გავიგებთ. ჯარიმა წლიური შემოსავლის ნახევარი პროცენტით განისაზღვრება, ჯარიმის თანხას 200-ჯერ გავამრავლებთ და შემოსავალიც გვეცოდინება“, – ამბობს სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტი გიორგი მგელაძე, რომელიც ერთი წელია მუშაობდა ფილმზე „რეკლამა კანონს მიღმა“.

„მაუწყებლობის შესახებ კანონში“ შესატანი ცვლილებების ავტორები ამბობენ, რომ ინიციატივის მიზანია კანონმდებლობა ევროკავშირის დირექტივებს

■ **ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა „კურიერის“ ორ საინფორმაციო გამოშვებაში 613 წამით მეტი რეკლამა განათავსა, საბავშვო გადაცემა „საბავშვო ამბებში“ – 513 წამით მეტი.**

ტელეკომპანია „იმედის“ სამ საინფორმაციო გამოშვებაში გასული რეკლამა კი კანონით დადგენილ ნორმას 1365 წამით აღემატებოდა.

**სახეჯანმო საბუნებრივი ფაქტორები:**

„ჯენერალ მედია“ 2010 წლის დეკემბერში შეიქმნა, 100 პროცენტის წილის მფლობელი მერაბ წულუკიანი, კომპანიის დირექტორი კი ირაკლი ბურძღალა.

„მედია ჰაუსი“, 2007 წელს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ, ირაკლი ჩიქოვანმა და გიორგი ჯაბადარმა თანაბარი, 50 პროცენტის წილის ფლობით დააარსეს. 2010 წლის ოქტომბრიდან კომპანიის 100 პროცენტის წილის მფლობელი, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე – კახაბერ დამენიაა.

„თაჩ მედია“ 2008 წლის სექტემბერში დარეგისტრირდა, კომპანიის 100 პროცენტის წილს შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ ფლობს.

თავად „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ 10 პროცენტი ჯოზეფ ქეისი, 90 პროცენტი კი პანამაში დარეგისტრირებულ უცხოურ საწარმო „რაქ ჯორჯია ჰოლდინგს“ ეკუთვნის. სამეწარმეო რეესტრის 2010 წლის მონაცემებით, კომპანიის ერთპიროვნული ხელმძღვანელი გიორგი არველაძეა.





**სპეციალური  
შეთავაზება**



გამოიწერეთ  
ჟურნალი „ლიბერალი“  
თითქმის ნახევარ ფასად!

**წლიური ხელმოწერა  
მხოლოდ 55 ლარი!**

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,  
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“  
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი  
ყოველ ორშაბათს  
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად  
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
**(899) 48 62 41**

ან მოგვანოდეთ თქვენი  
საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: [subscribe@liberali.ge](mailto:subscribe@liberali.ge)

შეუსაბამონ, ტელევიზიებს კი მეტი ფინანსების მოპოვების შესაძლებლობა მისცენ.

„ვფიქრობ აღნიშნული ცვლილება მეტი ფინანსური წყაროს მოზიდვის შესაძლებლობას და მეტ სარედაქციო დამოუკიდებლობას მოუტანს ტელევიზიებს. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია სარეკლამო ბაზარზე ფასების კორექცია მოხდეს. თუკი, ტელევიზიებში მეტი რეკლამის განთავსება კანონით იქნება შესაძლებელი, არ არის გამორიცხული, ამ პროცესმა ზეგავლენა მოახდინოს სატელევიზიო რეკლამის ფასების შემცირებაზეც“, – ამბობს საკანონმდებლო ცვლილების ერთ-ერთი ავტორი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ანდრო ალავეცი.

სარეკლამო დროის ლეგალური ზრდა „მეტი ფინანსური წყაროს მოზიდვის შესაძლებლობას“ ყველაზე მეტად იმ არხებს მისცემს, რომლებსაც პრაიმ ტაიმში ისედაც აქვთ ჭარბი რეკლამა, ანუ „რუსთავი 2-ს“ და „იმედს“.

„კავკასია“ ამ დროსაც ვერ ავსებს, რაც რეკლამისთვის აქვს განსაზღვრული და ლიმიტის გაზრდა როგორ დაეხმარება? „მაესტროს“ დირექტორი მამუკა ლლონტი ამბობდა, რომ რეკლამას სიმბოლურ ფასად – ერთ ლარადაც ვერ ჰყიდდა. გამოდის, რომ „მაესტროს“, „კავკასიას“ და სხვა პატარა ტელევიზიებს სარეკლამო დროის გაზრდა არაფერში სჭირდებათ. ეს სჭირდება მათ, ვისთანაც რეკლამა მიდის“, – ამბობს მგელაძე.

„მაესტროს“ ყოფილი გენერალური დირექტორი კახა ბექაური გაზრდილ სარეკლამო დროს პატარა ტელეკომპანიებისა და სხვა მედია საშუალებებისთვის საზიანოდ მიიჩნევს.

„კანონით გაზრდილი ლიმიტი ნაციონალურ ტელევიზიებს საშუალებას მისცემს რეკლამის დამკვეთებს მათთვის ისეთი მიმზიდველი ფასი შესთავაზონ, რომ ისინი სხვა მედია სუბიექტებისკენ აღარც გაიხედავენ“, – ამბობს ბექაური.

გარდა ამისა, როგორც იურისტი თამარ კორძაია ამბობს, კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები ტელემაყურებელთა ინტერესების სრული

იგნორირებაა:

„ეს ცვლილებები არათუ არ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს, არამედ ეწინააღმდეგება კიდევ მათ. მაყურებელს ევროკავშირის დირექტივა ანიჭებს სრულ უფლებას, მთლიანობაში აღიქვას ტელეგადაცემა. ეს ცვლილებები კი ტელეაუდიტორიის ამ უფლებას უხეშად არღვევს“.

სატელევიზიო მონიტორინგის კომპანიის „TVMR საქართველოს“ დირექტორი ნინო გოგოლაძე სარეკლამო ბაზარზე მომხდარ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებაზე ამახვილებს ყურადღებას. გოგოლაძის თქმით, სარეკლამო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს დღეს ერთი კომპანია – „ჯენერალ მედია“ აკონტროლებს, რომელიც ორი დიდი სააგენტოს – „მედია ჰაუსი“-სა და „თარ მედია“-ს გაერთიანებით შეიქმნა. 2011 წლის პირველი იანვრიდან ეს კომპანია ექვსი ქართული არხის: „რუსთავი 2-ის“, „იმედის“, „საქართველოს“, „მზის“, „პირველი სტერეოს“, და „რეალ ტვ-ის“ მთელ სარეკლამო დროს ექსკლუზიურად ჰყიდის. ნაციონალურ ტელეარხებთან ერთად, სწორედ სარეკლამო ბაზრის ერთადერთი მონოპოლისტი – „ჯენერალ მედია“ იქნება ის კომპანია, რომელიც სარეკლამო დროის გაზრდით ყველაზე მეტად იხიერებს. **□**

**სტატიაზე მუშაობდა მაია ნიკლაური.**

TVMR-ის მიხედვით 2010 წლის ჩაჩანის მონისოჩინის შედეგები:

ტელევიზია	მომხმარებელი (საათი, წუთი, წამი)
იმედი	840:48:40
პირველი სტერეო	807:36:51
რუსთავი2	723:00:08
Music Box	565:59:51
Real TV	561:01:34
პირველი არხი	488:20:46
მზე	415:24:14
საქართველო	389:17:17
მაესტრო	278:07:33
კავკასია	203:08:34

გარიგება

# "ახაფინანსუხი" ბაზიზება

„მაესტროზე“ უცნობი ბრუნდება.

## მაია ნიკლაური

ტელეკომპანია „მაესტროს“ აპრილიდან ახალი მფლობელი ეყოლება. გია გაჩეჩილაძე, იგივე „უცნობი“ „მაესტროს“ 10 დამფუძნებლისგან ტელეკომპანიის 50 პროცენტს მიიღებს. სანაცვლოდ გაჩეჩილაძე „მაესტროს“ მფლობელებს რადიო „ნაცნობს“ გადასცემს. ამ გარიგების შესახებ განცხადება ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ილია კიკაბიძემ 23 მარტს გაავრცელა.

„50 პროცენტს გიას სიმბოლურ ფასად გადავცემთ. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ეს ფასი, მგონი 400 ლარია. დეტალების გადამონმების საშუალება აპრილში საჯარო რეესტრში გექნებათ, როცა ოფიციალურად გავაფორმებთ ხელშეკრულებას. ეს არ არის ფინანსური გარიგება“, – განაცხადა „ლიბერალთან“ საუბრისას ილია კიკაბიძემ.

მისი თქმით, ეს პარტნიორული შეთანხმება „მაესტროსა“ და გია გაჩეჩილაძეს შორის ჯერ კიდევ 2006 წელს შედგა. ზეპირი გარიგების თანახმად, ტელეკომპანია „მაესტრო“ და გაჩეჩილაძის რადიო „უცნობი“ პარტნიორები გახდნენ და წილების გადანაწილებაზე ჯერ კიდევ მაშინ შეთანხმდნენ.

გია გაჩეჩილაძე ამ თემაზე ყურნა-ლისტებთან არ საუბრობს. „მაესტროში“ ამბობენ, რომ ახალი თანამფლობელი ტელეკომპანიის მუშაობაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას არ აპირებს.

„მაესტროს“ 3 სართულიან შენობაში ამჟამად რემონტი მიმდინარეობს. ტელეკომპანია ტოკ-შოუების ახალი ფორმატით გასაშვებად ემზადება. ახალ სტუდიებში განახლებული ტოკ-შოუები უკვე აუდიტორიასთან ერთად გავა.

ილია კიკაბიძე ამბობს, რომ „მაესტროს“ ახალი თანამფლობელი არხის საინფორმაციო პოლიტიკაში არ ჩაერევა. „ყველა გადაწყვეტილებას კონსენ-

სუსის გზით უნდა მივალნიოთ. რაზეც ვერ შევთანხმდებით, ის საკითხი საერთოდ მოიხსნება დღის წესრიგიდან“, – აღნიშნა კიკაბიძემ.

გია გაჩეჩილაძეს „მაესტროსთან“ თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვს. მისი რეალური შოუ „საკანი №5“, რომელიც ამ არხზე 2009 წელს რამდენიმე თვის მანძილზე გადიოდა, „მაესტროს“ ისტორიაში ყველაზე რეიტინგული გადაცემა იყო.



გიორგი გაჩეჩილაძე „საკან №5-ში“

ფოტო: ლევან ხარაშვილი

„მაესტროში“ არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, გია გაჩეჩილაძე „მაესტროში“ ახალი შოუთი დაბრუნდეს. ქართულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „უცნობის“ ახალი რეალითი შოუ, საკანის ნაცვლად, ტყეში განვითარდება და მომღერალი ახლა უკვე ტყიდან გააკეთებს ხელისუფლების შეცვლის მონოდეტებს.

კიკაბიძე ამბობს, რომ უცნობთან ამ თემაზე ჯერჯერობით არანაირი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს. „გია რაც საკანიდან გავიდა, მას შემდეგ ფიქრობს

ახალ პროექტზე. ეს ჩვენ ყველამ ვიცით, უბრალოდ, ამ პროექტის განხორციელებას კონკრეტულად ჯერ არ განვიხილავთ. თუ რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებთ, ამას აუცილებლად ვიტყვით საჯაროდ“.

მუსიკალურ-გასართობი რადიო „ნაცნობის“ ბაზაზე „მაესტროს“ მფლობელები საინფორმაციო არხის შექმნას გეგმავენ. მას რადიო „მაესტრო“ ერქმევა და მის გენერალურ დირექტორად მამუკა ლლონტი დაინიშნება. როგორც ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებლები ამბობენ, რადიო „ნაცნობი“ საერთო მაუწყებლობის სიხშირეს ფლობს და, ამდენად, მისი ლიცენზია საინფორმაციო ფორმატით გასვლის საშუალებას იძლევა.

ტელეკომპანია „მაესტროს“ ფინანსურად დღეს კვლავ „რუსთავის მედიის მართვის კომპანია“ უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ წლის დასაწყისში „მაესტროს“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა კობა ბექაურმა „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ დამფუძნებელი ეროსი კინმარიშვილი ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაზე ზენოლაში დაადანაშაულა, ეს კომპანია „მაესტროს“ მართვაში ისევ დარჩა.

„ჯერჯერობით „მაესტრო“ ნაკლებად მომგებიანია. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ გამოსწორდება სიტუაცია და რეკლამები მოიმატებს. არხთან ჩვენ 3-წლიანი კონტრაქტი გვაქვს. თავიდან იყო გათვლა, რომ ერთი წლის შემდეგ კომპანია მოგებაზე უნდა გასულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა. მიუხედავად არაკომერციულობისა, ჩვენი მთავარი მიზანი თავისუფალი სიტყვის მხარდაჭერაა“, – ამბობს პაატა პაჭკორია, „რუსთავის მართვის კომპანიის“ დირექტორი. **□**

# ბუნდოვანი ბაზიზების მსხვერპლი

აფერა, რომლის სამიზნეც უცხოეთში სასწავლებლად წასვლის მსურველი სტუდენტია.

მარიამ ჯაჭვაცხე, თამარ მშენიერაძე, სოფო მაგალობლიშვილი



ილუსტაცია სოფო მშენიერაძე / შიდაში



„უნივერსიტეტში სტუდენტური ორგანიზაცია „აისეკ საქართველოს“ პრეზენტაციას დავესწარი. იქ თქვეს, რომ „აისეკი“ საზღვარგარეთ, გაცვლითი პროგრამების შერჩევაში დაგვეხმარებოდა. კონკურსში მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე“, – ყვება თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი მარი გოგლიძე.

„აისეკთან“ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე მარი გოგლიძემ, ბოლო ტურში გამარჯვებიდან 10 დღეში, ორგანიზაციის განვითარების ფონდის ანგარიშზე 200 ლარი შეიტანა. კიდევ 400 ლარი მას პროექტის შერჩევის შემდეგ უნდა გადაეხადა. პროექტის შერჩევის ვადად კონტრაქტში 1 ოქტომბერი გაფორმდა.

1 ოქტომბრამდე მარი ვერც საზღვარგარეთ წავიდა და მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერც „აისეკის“ წარმომადგენლებთან დაკავშირება შეძლო. წინასწარ გადახდილი 200 ლარიც დღემდე არ დაბრუნებია. არადა, კონტრაქტში, სადაც „აისეკის“ როლი და პასუხისმგებლობებია განსაზღვრული, წერია: „პროექტის მოცემულ ვადაში ვერ მოძებნის შემთხვევაში, სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად, აისეკი ვალდებულია დაუბრუნოს სტუდენტს მონაწილეობის ერთჯერადი გადასახადი სრულად.“

„აისეკის“ 2009-2010 წლის ბაზაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ორგანიზაციამ მხოლოდ ამ პერიოდის განმავლობაში, თავისი ვალდებულება მინიმუმ 161 სტუდენტის მისამართით დაარღვია. „აისეკმა“ საერთო ჯამში პროგრამაში მონაწილეების კუთვნილი 32 200 ლარი მიითვისა.

„ლიბერალის“ მიერ გამოკითხული „აისეკის“ პროგრამაში მონაწილე 100-ზე მეტი სტუდენტი ერთსა და იმავე ისტორიას ყვება – რომ 200 ლარი გადაიხადა, საზღვარგარეთ ვერ წავიდა და ორგანიზაცია ფულს უკან არ უბრუნებს.

ჩვენს მცდელობას, ორგანიზაციისგან მიგველო პასუხი კითხვაზე, თუ რატომ დაარღვია 161 სტუდენტის მიმართ დადებული ხელშეკრულება „აისეკ საქართველომ“ და რატომ არ უბრუნებს მათ თანხას, შემდეგი შინაარსის წერილი მოყვა:

„ჩემთვის ცნობილი გახდა თქვენი და თქვენი მეგობრების ბოლოდროინდელი მცდელობის შესახებ – შესაძლოა იმაზე მეტი, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. როგორც ცილისწამება, ასევე ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ქონისას მიღებული არასაჯარო ინფორმაციის გამოყენება ორგანიზაციის ინტერესების საწინააღმდეგოდ, უკანონო ქმედებას წარმოადგენს და მასზე შესაბამისი პასუხისმგებლობა არსებობს. გირჩევთ, ამას ყურადღება მიაქციოთ.“

ირაკლი.“

ირაკლი ქობალია „აისეკ საქართველო“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. შეხვედრაზე უარი გვითხრა „აისეკ საქართველოს“ თავმჯდომარემ ლევან სუმბაძემაც. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ კითხვებზე ლევან სუმბაძემ ლაკონურად გვიპასუხა:

„თქვენი ინფორმაცია და კითხვების შინაარსი არ ასახავს სინამდვილეს, შესაბამისად, მათზე სათითაო პასუხის გაცემას აზრი არ აქვს.“

ინტერვიოზე უარი თქვა გიორგი დოლიძემაც, რომელიც 2009–2010 წლებში „აისეკ საქართველოს“ ფინანსებს განაგებდა: „ჩვენ მედიასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში ვთანამშრომლობთ, თუ ჩვენ მოვინვეთ მათ. გაურკვეველი ხალხი გაურკვეველი მიზნებით – ეს თავის ტკივილია, გენაცვალე“.

მათ შორის, ვინც ფულის უკან დაბრუნებას ითხოვს, სტუდენტი ჟანა სირბილაძეცაა: „ფულის დაბრუნების ნაცვლად შემომთავაზეს ზაფხულში წავსულიყავი საზღვარგარეთ რომელიმე პროექტით, მე ამ ეტაპზე თანხის დაბრუნება ვარჩიე, რადგან ზაფხულში სხვა გეგმები მაქვს. თანხის ჩარიცხვას შემპირდნენ და მეც, მეზუთე თვეა, ჩემი ფულის დაბრუნებას ველოდები“.

ჟანა სირბილაძემ 200 ლარი „აისეკის განვითარების ფონდის“ ანგარიშზე შეიტანა. ფონდი „აისეკ საქართველოსგან“ დამოუკიდებლად არსებობდა. ის 2009 წელს დაარსდა და მას შემდეგ „აისეკ საქართველოს“ შემოსავალი მის ანგარიშზე ირიცხებოდა. განვითარების ფონდი „აისეკ საქართველოს“ დამფუ-



ძნებელმა ირაკლი ქობალიამ და „აისეკ საქართველოს“ ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი დოლიძემ ჩამოაყალიბეს. ამ ფონდის მეშვეობით ორგანიზაციის ფინანსების მართვა უშუალოდ ამ ორი ადამიანის ხელში იყო.

„აისეკ საქართველოს“ ყოფილი წევრები ფიქრობენ, რომ ორგანიზაციის ფინანსებით დაინტერესებასა და გარკვევის მცდელობას შეეწირა „აისეკ საქართველოს“ იმჟამინდელი თავმჯდომარე ეთერ მუნჯიშვილი. ამ თემაზე ღიად საუბარს ის თავს არიდებს. „აისეკთან არანაირი კავშირი აღარ მაქვს, ამიტომ კითხვებზე პასუხს ვერ გაცემთ“.

ორგანიზაციის ყოფილი წევრებისთვის დღემდე გაუგებარია, რატომ გაათავისუფლეს იგი დაკავებული თანამდებობიდან.

„შეხვედრაზე, რომელიც თავისუფალ უნივერსიტეტში გაიმართა, უნდა გვემსჯელა ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებსა და ცვლილებებზე. ირაკლი ქობალიას ჩვენთვის უნდა განემარტა, რატომ აღარ იქნებოდა ეთერ მუნჯიშვილი „აისეკ საქართველოს“ თავმჯდომარე და რატომ დაგვიმალეს „აისეკ განვითარების ფონდის“ არსებობა. პასუხად როგორც ირაკლი ქობალიამ, ისე გიორგი დოლიძემ ეთუნას მიმართ ნდობის დაკარგვა დაასახელეს. რას ეფუძნებოდა მათი უნდობლობა, ეს ამ შეხვედრაზე არცერთს აღარ უთქვამს“, – ამბობა შაკო თავაძე, „აისეკ საქართველოს“ ყოფილი წევრი.

„შეხვედრას მეც ვესწრებოდი. ირაკლი ქობალია გამიზნულად ცდილობდა, თავი აერიდებინა და არ ეპასუხა მთავარ შეკითხვაზე – რატომ შეუწყვიტეს ეთერ მუნჯიშვილს პრეზიდენტობის ვადა. ან რატომ არ იყო ორგანიზაციის ფინანსები წევრებისთვის გამჭვირვალე. პასუხი დღემდე არ ვიცი“. – თათული ბერაია, „აისეკ საქართველოს“ ყოფილი წევრი.

„აისეკის განვითარების ფონდის“ არსებობა ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ისევე, როგორც სხვა წევრებმა, დაარსებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაიგეს. ფონდი რეესტრში ოფიციალურად 2009 წლის 3 ივნისს არის დარეგისტრირებული. ინფორმაცია მის შესახებ წევრებისთვის 2010 წლის ივნისში, ეთერ

მუნჯიშვილის თავმჯდომარეობიდან გადაყენების შემდეგ გახდა ცნობილი. იმავე თვეს, ორგანიზაციის წევრებისთვის გამართულ შეხვედრაზე, ირაკლი ქობალიამ, „აისეკ საქართველოს“ პრეზიდენტთან ლევან სუმბაძესთან ერთად თქვა, რომ ფონდი გაუქმდებოდა და ორგანიზაციის შემოსავალი მხოლოდ ერთ – „აისეკ საქართველოს“ ანგარიშზე ჩაირიცხებოდა.

რეესტრის ვებგვერდზე ვნახულობთ, რომ „აისეკის განვითარების ფონდი“ ისევე არსებობს.

„აისეკ საქართველო“ პროგრამაში მონაწილეობის გადასახადს პერიოდულად ცვლიდა. 2009 წელს სტუდენტები 300 ევროს იხდიდნენ; მოგვიანებით 600 ლარს, რომელსაც ეტაპობრივად

## ■ „აისეკის“ 2009-2010 წლის ბაზაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ორგანიზაციამ მხოლოდ ამ პერიოდის განმავლობაში, თავისი ვალდებულება მინიმუმ 161 სტუდენტის მისამართით დაარღვია. „აისეკმა“ საერთო ჯამში პროგრამაში მონაწილეების კუთვნილი 32 200 ლარი მიითვისა.

ფარავდნენ. 2010 წლის შემოდგომიდან კი სტუდენტი ვალდებულია პირველადი შენატანი 100 ლარი გადაიხადოს, რომელიც მას არცერთ შემთხვევაში უკან აღარ უბრუნდება.

„აისეკ საქართველო“ ამბობს, რომ სტუდენტის გადახდილი თანხა, მოსამზადებელ ეტაპსა და ბაზაში მათი ინფორმაციის ატვირთვაში იხარჯება.

„აისეკ საქართველო“ არ არის „აისეკ საერთაშორისოს“ სრული წევრი, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არანაირ გადასახა-

დს არ იხდის, მათ შორის, არც სტუდენტების ბაზაში დასარეგისტრირებლად.

„აისეკ საქართველო“ არც ერთ თავის წევრს, რომელიც სტუდენტის მოსამზადებელ პროცედურაშია ჩართული, ხელფასს არ უხდის.

„არც წევრობის დროს და არც თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, ხელფასს არ ვიღებდი. საერთოდ, „აისეკში“ ყველა ენთუზიასტზე ვემუშაობდით“, – ამბობს ეთერ მუნჯიშვილი.

ნინო მესხი „აისეკ საქართველოს“ ყოფილი წევრია. ის ორგანიზაციაში გაცვლით პროგრამებზე მუშაობდა.

„საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში ვატარებდი პრეზენტაციებს და დაინტერესებულ პირებს ორგანიზაციის შესახებ ვუყვებოდი. მევალეობდა გაცვლით პროგრამაში მონაწილეთა შერჩევა, შესაფერისი პროექტის მოძებნა, მათი დოკუმენტების მონესრიგება. არც მე და ორგანიზაციის არც სხვა წევრები ამაში ხელფასს არ ვიღებდით“.

„აისეკ საქართველოს“ ოფისი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტშია. უნივერსიტეტის კანცლერმა გიორგი მელაძემ, ჩვენთან სატელეფონო საუბარში დაადასტურა, რომ ორგანიზაცია ოფისის ქირას არ იხდის.

რატომ იხდის გაცვლით პროგრამაში გამარჯვებული სტუდენტი 600 ლარს? რას ხმარდება ეს თანხა თუ ორგანიზაცია არც თანამშრომელთა ხელფასებში, არც პროგრამების შერჩევასა და არც ოფისის ფართში ფულს არ იხდის?

საზღვარგარეთ არნასვლის შემთხვევაში, რატომ არ უბრუნდება სტუდენტებს გადახდილი ერთჯერადი გადასახადი?

რატომ გაათავისუფლდა ეთერ მუნჯიშვილი თავმჯდომარეობიდან დროზე ადრე და ვინ მიიღო ეს გადანყვეტილება?

რისთვის შეიქმნა „აისეკის განვითარების ფონდი“, რომელსაც მხოლოდ ორი ადამიანი განაგებს?

რატომ არ ამხელს ორგანიზაცია გაცვლით პროგრამაში მონაწილეთა სტატისტიკას?

ეს და სხვა კითხვები ღიად რჩება, რადგან ორგანიზაციის წარმომადგენლები მათზე პასუხის გაცემას თავს არიდებენ. ■





სამედიცინო ნარჩენების კლინიკის ეზოში გადაყრისთვის სამედიცინო დანახვებზე შვიძლება 1000-დან 2000 ლარამდე დაჯარიმდეს

ფოტო: მანუჩარე ჟორჯიაძე

სამედიცინო დანახვებზე

# სახიფათო ნახრენები

ნაგვის ჩვეულებრივ კონტეინერებში გადაყრილი შპრიცები, ტამპონები და წვეთოვანები ჰეპატიტითა და შიდსით ადამიანების დაინფიცირების რისკს ზრდის. როგორ იცავენ თბილისის მთავარი საავადმყოფოები ჰიგიენურ-სანიტარულ ნორმებს?

## ეკა ჭითანავა

ეზოში მდგარი სამი დიდი რკინის სანაგვე ყუთი სისხლით გაჟღენთილი წვეთოვანებით, გამოყენებული შპრიცებით, ნემსებითა და რეზინის ერთჯერადი ხელთათმანებითაა სავსე. ირგვლივ, დაახლოებით 20 კვადრატული მეტრის რადიუსში, მიწა ასეთივე ნაგვითაა მოფენილი. საიდანაც გამომძვრალი შავი კატა, ერთ-ერთ ყუთთან დაყრილ ჭუჭყიან ბამბებს ყნოსავს და ჩვენს მიახლოებაზე გარბის.

დაჟანგული რკინის ცხაურებიანი ფანჯრიდან თეთრხალათიანი ექიმი იყურება.

ზუსტად მისი ფანჯრის ქვეშ, პირდაპირ მიწაზე შპრიცები და ხელთათმანები ყრია.

– ეს ხომ სამედიცინო ნარჩენებია, აქ და ასე უნდა ეყაროს? – ვეკითხებით ექიმს.

– ეს ძველია. ნარჩენები ქარს მოაქვს ხოლმე და აქეთ-იქით ფანტავს, – გვპასუხობს ექიმი. მერე თვითონვე

ამატებს – ისე, აქ ისეთი არეულობაა, სულაც არ მიკვირს. ირგვლივ რას არ იპოვით. თანაც ხანდახან ექიმებიც ვცოდავთ ხოლმე, და რალაცებს ფანჯრიდან ვყრით.

ეს სპონტანური დიალოგი ექიმთან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის უკანა ეზოში გაიმართა.

საავადმყოფოს, რომელსაც ბევრი დღესაც „რესპუბლიკურს“ უწოდებს, წინა მხარეს თანამედროვე არქიტე-

ქტურული ნიმუში ამშვენებს – მთლიანად ლურჯ შუშაში ჩასმული ფასადით, უკან კი, საბჭოთა დროს აგებული და, სავარაუდოდ, მას შემდეგ გაურემონტებელი კორპუსი დგას. ამ შენობაში ერთის გარდა, ყველა სართული დაცარიელებულია. პირველ სართულზე დიალიზისა და დეტოქსიკაციის განყოფილებაა.

თუმცა კლინიკის სანაგვე ყუთებში ნაგავი, სავარაუდოდ, მხოლოდ ამ ერთი განყოფილებიდან არ უნდა გროვდებოდეს.

გვერდით შენობაში „პროფილაქტიკის“ მუშები გვეუბნებიან, რომ სანაგვე ყუთები სწრაფად ივსება საავადმყოფოდან გამოტანილი ნარჩენებით, ყოველ საღამოს კი მერიის დასუფთავების სამსახურის მანქანა მოდის და ნაგავი გააქვს.

ის ფაქტი, რომ სამედიცინო დაწესებულებებში დაგროვებული ნაგავი დასუფთავების სამსახურის მანქანას სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან – „კოკა-კოლას“ ბოთლებთან, ხელსაწმენდებთან, კარტოფილის ნაფტყვენებთან ერთად – გააქვს, მეორე დარღვევაა. პირველი დარღვევა კი მაშინ ხდება, როცა ნაგავს ხშირად პირდაპირ ეზოში ყრიან.

ნემსები, შპრიცები, ტამპონები – ყველაფერი ის, რაც სამედიცინო საქმიანობის შემდეგ რჩება, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ნაგავსგან იმით განსხვავდება, რომ მათთან შეხება, განსაკუთრებულად სახიფათოა. ხშირად სისხლითა და პლაზმით დაბინძურებული სამედიცინო ინსტრუმენტები, არასწორად მართვის შემთხვევაში, საავადმყოფოს პერსონალისა და მოსახლეობის შიდსითა და C და B ჰეპატიტებით ინფიცირების საფრთხესაც კი ქმნის.

„აბა, ასე როგორ შეიძლება, თავზე მაინც დაახურონ, მერე კატები მოდიან სუნზე და ნარჩენებს ჭამენ. სულ ამაზე ვჩხუბობთ ხოლმე“, – ამბობენ სამედიცინო უნივერსიტეტის თეთრხალათიანი სტუდენტები, რომლებიც სანაგვე ყუთებთან დღეში რამდენჯერმე გადიან.

რესპუბლიკურის გარდა, ნაგვის ძიებაში, კიდევ სამი სხვა მსხვილი საავადმყოფო დავათვალიერეთ. ტერიტორია, სადაც საავადმყოფოდან გამოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად ყუთები დგას, ყველგან დაბინძურებული დაგვხვდა – პოლიეთილენის პარკები, პლასტმასის ბოთლები და ზოგან დახეული ლეიბიც კი ვნახეთ, თუმცა, მათ შორის არ იყო სამედიცინო ნარჩენები. თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოს გადაუდებელი ნე-

დააკმაყოფილოს და ნაგვისგან თავისუფალი, სუფთა გარემო შექმნას.

„სამედიცინო დაწესებულების შენობა და მიმდებარე ტერიტორია თავისუფალი უნდა იყოს ნარჩენებისგან“, – განმარტავს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფროსი გია თვალავაძეც.

ჯანდაცვის სამინისტროში კონტროლის სამსახურის უფროსის მოადგილე ლადო კეპულაძე კი ამბობს, რომ რეგულირების სააგენტო წელიწადში



ვროლოგიის კლინიკა „ნევროლოგში“ კი ისიც გვითხრეს, რომ უკვე ექვსი წელია, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ნარჩენებს ცალ-ცალკე ყუთებში აგროვებენ. ნემსები, შპრიცები, ნვეთოვანები და სხვა სამედიცინო ნარჩენი სპეციალურად გამოყოფილ ყვითელ კონტეინერებში გროვდება, შემდეგ კი გააქვს კომპანიას და ნარჩენებს უუნებელყოფს.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებამ ნეპარტვის მოსაპოვებლად, სხვა აუცილებელ პირობებთან ერთად, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებიც უნდა

ერთხელ ყველა სამედიცინო დაწესებულებას გეგმიურად ამოწმებს და თუკი, რომელიმე მათგანში დარღვევა აღმოჩნდა, ამ დაწესებულებას 1000–2000 ლარით აჯარიმებენ.

„რესპუბლიკური“ საავადმყოფო ყოველგვარი ნორმების გარეშე გადაყრილი სამედიცინო ნარჩენების გამო არასდროს დაჯარიმებულა. კითხვაზე, თუ რატომ არ ჯარიმდებიან კლინიკები, როცა მათი მიმდებარე ტერიტორია ნაგავს მიაქვს, ჯანდაცვის სამინისტროში ასე გვპასუხობენ:

„საქართველოს კანონში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ცვლილებებიდან გამომდინარე, 2011 წელს

არც ერთი კლინიკა შეგვიმონებია, კლინიკებს წლის ბოლომდე აქვთ ვადა, რომ სტაციონარული საქმიანობის ნებართვა გადაცვალონ, ანუ ახალი ტიპის ნებართვა აიღონ. ამიტომ სამედიცინო დაწესებულებების შემომნების პროცესი ჯერჯერობით შეჩერებულია“.

თუმცა, ჩნდება კითხვა, კლინიკები რომც დააჯარიმონ, არის თუ არა მხოლოდ ჯარიმა იმ ხიფათთან გამკლავების ეფექტიანი საშუალება, რაც დაუდევრად და დაუხარისხებლად

**■ საქართველოს  
ჯანმრთელობის დაცვის  
შესახებ კანონის  
თანახმად, სამედიცინო  
დაწესებულებამ ნებართვის  
მოსაპოვებლად, სხვა  
აუცილებელ პირობებთან  
ერთად, სანიტარულ-  
ჰიგიენური ნორმებიც  
უნდა დააკმაყოფილოს და  
ნაგვისგან თავისუფალი,  
სუფთა გარემო შექმნას.**

გადაყრილმა სამედიცინო ნარჩენებმა შეიძლება გამოიწვიოს?

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მთავარი სპეციალისტი დავით წერეთელი მიიჩნევს, რომ მდგომარეობის გამოსწორებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა, „სამედიცინო დაწესებულებებში ნარჩენების მართვის ჯგუფი შეიქმნას და დაინერგოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე გაიღლაინები“.

ამ გაიღლაინების არარსებობა შესაძლოა, იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სახიფათო სამედიცინო ნარჩენებს თბილისის სახელმწიფო სამედი-

ცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკის გარდა, სხვა კლინიკებიც წესების დარღვევით ყრიან.

საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ 2010 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევის მიხედვით, 107 სამედიცინო დაწესებულებიდან, ცხრაში სამედიცინო ნარჩენებს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნაგვის კონტეინერებში ყრიან. 9–დან სამი „წესების დამრღვევი“ სამედიცინო დაწესებულება კი თბილისშია. მათ შორის ორი საავადმყოფო და ერთი სტომატოლოგიური კლინიკაა.

კვლევის ავტორები ამბობენ, რომ ნარჩენებს ხშირად პირდაპირ საავადმყოფოს ტერიტორიაზე წვავენ – ლიად, მინის ზედაპირზევე, ანდა ორმოში. ზოგან კი საყოფაცხოვრებო ნაგვის კონტეინერში ყრიან, საიდანაც ჩვეულებრივ ნაგავსაყრელზე ხვდება და საფრთხეს უქმნის მოსახლეობასაც და გარემოსაც.

კომპანია „ექსპრეს დიაგნოსტიკაში“ რომელიც ექვსი წელია, სამედიცინო დაწესებულებებიდან ნარჩენების გატანაზე მუშაობს, ამბობენ რომ თბილისში 386 დაწესებულებას ემსახურებიან და იქ დაგროვებულ სამედიცინო ნარჩენებს მხოლოდ სრული გაუწეველყოფის შემდეგ გზავნიან ჩვეულებრივ ნაგვის პოლიგონზე. თუმცა კომპანიის კლიენტებს შორის ბევრია ისეთი კლინიკა, რომლებსაც ხუთ თანამშრომელზე მეტი არ ჰყავს, დიდი საავადმყოფოებიდან კი მხოლოდ თხუთმეტს ემსახურებიან.

„მაგალითად, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან სამი წელია, კონტრაქტი გაეწყვიტეთ, რვა ათასამდე ლარის დავალიანება ჰქონდათ და არ იხდიდნენ“, – ამბობს „ექსპრეს დიაგნოსტიკის“ დირექტორი ლია ბოჭორიშვილი.

თუმცა სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემები ნაგავსაყრელამდე გაცილებით ადრე – ჯერ კიდევ შენობაში, პირველი ნემსის ჩხვლეტისას იწყება.

საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მედპერსონალის ნახევარზე მეტი დაუბანელი, ან დაუმუშავებელი

ხელით ატარებს ინტრავენურ ინექციებს; ინექციის შემდეგ კი საავადმყოფოებში ხუთიდან მხოლოდ ორი ადამიანი იბანს ხელს, სამშობიაროში კი – ოთხიდან მხოლოდ ერთი.

„თანაც ასეთი შედეგები მივიღეთ მაშინ, როცა პერსონალმა იცოდა, რომ მათ აკვირდებოდნენ, წარმოიდგინეთ, რომ არ სცოდნოდათ, შეიძლება ეს რიცხვი უფრო მაღალიც ყოფილიყო“, – ამბობს „კურაციოს“ პროექტის მენეჯერი, ქეთი გოგუაძე.

ამავე კვლევის მიხედვით, რაიონების სამედიცინო დაწესებულებების თითქმის მეოთხედში, იმ არეალში სადაც ინექციები ტარდება, არ არის გამდინარე წყალი და საპონი. სამედიცინო დაწესებულებების თითქმის ნახევარში კი სამედიცინო ინსტრუმენტების სტერილიზაცია წესების დარღვევით ტარდება.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რის გამოც სტერილიზაციის ნორმები ირღვევა, არის ის, რომ სამედიცინო დაწესებულებების უმრავლესობაში არსებულ გაიღლაინებს არ იცნობენ.

კვლევის მიხედვით, როცა ეს წესები სამედიცინო პერსონალისთვის ხელმისაწვდომი არაა, 6,5 ჯერ მაღალია იმის ალბათობა, რომ დაწესებულებაში სტერილიზაციის ნორმები დაირღვევა.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ამბობენ, მაისში უნდა დამტკიცდეს ახალი ნორმატიული ბრძანება სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ. ამ ბრძანების მიხედვით, კლინიკები ვალდებული იქნებიან, დააკმაყოფილონ ნარჩენების უსაფრთხო განთავსების ნორმები. თუმცა, წლის ბოლომდე – სანამ ახალი ტიპის ნებართვას არ აიღებენ – კლინიკებს არავინ შეამოწმებს. ანუ, გამოდის, რომ ბევრ საავადმყოფოს, მათ შორის, თბილისის წამყვან კლინიკებსაც, კიდევ „აქვთ დრო“, ქუჩაში გადაყრილი შპრიციებითა და სხვა სამედიცინო ნარჩენებით მოსახლეობის ინფიცირების საფრთხე შექმნან. **■**



ფოტო: ლაბა ჯანდაცვის ცენტრის



საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია, თბილისი 2011



# ღაბოხაბოხი ჰიხუსის ნინალბეა

ახალი ლაბორატორია ბაქტერიების სრულყოფილი კვლევის მთავარი ცენტრი გახდება. აქ შესაძლებელი იქნება ბაქტერიოლოგიური, იმუნოფერმენტული და მოლეკულური ბიოლოგიის ყველაზე თანამედროვე კვლევების განხორციელება.

## ქეთი მახარობლიშვილი

2009 წლის აპრილში მექსიკის 20-მილიონიანი დედაქალაქი მოჩვენების ქალაქს დაემსგავსა. დაიკეტა სკოლები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები, გაუქმდა საკვირაო წირვები, რომელთაც, როგორც წესი, მილიონობით მექსიკელი ესწრება ხოლმე. ყველას, ვინც ქუჩაში გასვლას ბედავდა, ქირურგის ლურჯი ნიღაბი ეკეთა. ვისაც ნიღაბი არ ჰქონდა, მთავარ გამზირებზე სახელდახელოდ მონყობილ სამხედრო საგუმბაგოებზე ჯარისკაცები ურიგებდნენ.

მექსიკის ჯანდაცვის მინისტრის თქმით, 2009 წლის მარტ-აპრილში, ლორის გრიპის ახალი ფორმით მექსიკაში 16 ადამიანი გარდაიცვალა, 900-მდე მექსიკელი კი დაინფიცირდა. უკვე აპრილის ბოლოსთვის შტატების ოცმა ლაბორატორიამაც დაადასტურა, რომ ნიუ-იორკში, კალიფორნიაში, ტეხასში, კანზასსა და ოჰაიოში ადამიანები არა რიგითი გრიპით, არამედ მექსიკიდან წამოსული ლორის A/H1N1 ვირუსით იყვნენ ავად.

დღეს ამერიკელი მეცნიერები ამბობენ, რომ მექსიკაში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიული ქსელი რომ ჰქონოდათ, შესაძლოა, ლორის გრიპის მსოფლიო ეპიდემია დროულად ჩაეკროთ.

18 მარტს თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერით, სწორედ ასეთი სუპერთანამედროვე ლაბორატორია გაიხსნა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია ბიოუსაფრთხოების მეორე და მესამე დონის პათოგენებთან მუშაობის შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ლაბორატორია მსოფლიოში სულ რამდენიმეა, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი, ჯერჯერობით – ერთადერთი.


„ამ ლაბორატორიით დაავადებათა ინტეგრირებული ზედამხედველობის სისტემა შეიქმნა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სახიფათო დაავადებების შესახებ სრული სურათის შესაქმნელად. სწორი დიაგნოზის სწრაფად დასმა და დაუყოვნებელი რეაგირება აფეთქების შემთხვევაში – ეს ის ფაქტორებია, რაც დაავადებათა ზედამხედველობის პროცესს გაცილებით გააუმჯობესებს“, – აცხადებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი, ნატა ავალიანი.

2006 წლის ოქტომბერში კასპის რაიონში ტულარემიის ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. მომდევნო ორი თვის მანძილზე კი ინ-

ფექციური დაავადება, რომელიც ადამიანს ცხოველისგან გადაედება და 2-3 კვირის განმავლობაში მაღალი ტემპერატურით, პერიფერიული ლიმფური კვანძების გადიდებათა და უმადობით მიმდინარეობს, კიდევ უფრო გავრცელდა. მალე სოფელ ზემო რენეში ტულარემიის ნიშნები 26 ადამიანს აღმოაჩნდა. ზუსტი დიაგნოზი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიაში დასვეს.

დღეს ამ ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ლელა ბაქანიძე ამბობს, რომ 2007 წელს გამოვლენილი ტულარემიის ჯგუფური შემთხვევების დროს ლაბორატორიამ შეძლებისდაგვარად სწრაფად გამოიკვლია ინფექცია, თუმცა დასძენს, რომ ასეთი ახალი ლაბორატორია, უკეთესი და უფრო დროული შედეგების მიღების საშუალებას გვაძლევს.

„ლაბორატორიის ამოქმედების შემდეგ, შემცირდება ისეთი ინფექციების რიცხვი, რომელთა კლინიკური შემთხვევები სხვა ქვეყნებში არც კი ხვდებათ, ჩვენთან კი პრობლემას პერიოდულად მუდმივად ქმნის. ასეთია ციმბირის წყლულიც, რომლის ბუბონის სანახავად ამერიკელები საქართვე-



ლოში ჩამოდიან და სურათებს უღებენ“, – აცხადებს ინფექციონისტი ფატი გაბუნია.

ქალაქის ცენტრისგან მოშორებით მდებარე ლაბორატორია ამ ბაქტერიების სრულყოფილი კვლევის მთავარი ადგილი გახდება. აქ შესაძლებელი იქნება ბაქტერიოლოგიური, იმუნოფერმენტული და მოლეკულური ბიოლოგიის ყველაზე თანამედროვე კვლევების განხორციელება.

– დააკვირდით იატაკს, ამ შემაერთებული ნაწილის საშუალებით, მინისძვრის შემთხვევაში რყევების ძალა მკვეთრად შემცირდება, – გვისხნის ლაბორატორიის ბიოუსაფრთხოების ოფიცერი თეა ბაქრაძე.

– ეს კომპლექსური გაყვანილობა მთელ ლაბორატორიას წყლითა და დენით ამარაგებს. დენის ორი ქვესადგურიც გვაქვს. თუ ერთი მწყობრიდან გამოვა, მეორე ჩაენაცვლება, თუ ორივე შეწყვეტს ფუნქციონირებას, გვაქვს დენის გენერატორიც, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ლაბორატორია და საშიში პათოგენების საცავები მწყობრიდან არც ამ შემთხვევაში გამოვა. მინისძვრის დროს შენობას ავტომატურად შეუწყდება ბუნებრივი აირის მიწოდება, რაც მკვეთრად შეამცირებს ხანძრის საშიშროებას, – გვეუბნება ლაბორატორიის წარმოების მენეჯერი, ვლადიმერ ჯიქია.

აქ მასალისა და ნიმუშების გადასაადგილებლად სპეციალური დერეფნებია გამოყოფილი. კვლევების შემდეგ დარჩენილ ბიოლოგიურად საშიშ ნარჩენებს კი უახლესი მეთოდებით გააუვნებელყოფენ.

უსაფრთხოების უკიდურესად მკაცრი ზომები მსგავსი ტიპის ლაბორატორიის გამართულად მუშაობისთვის გადაწყვეტილი ფაქტორია. ლელა ბაქანიძე ისწენებს პოსტ-

-საბჭოთა პერიოდის პირველ წლებს, როცა საშიშ პათოგენებზე კვლევების ჩატარებასა და უსაფრთხოების ზომების დაცვაში ხელს არასტაბილური ელექტრომომარაგებაც უშლიდათ. ახლა კი საშიში პათოგენების მთელ კოლექციას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან ახალ ლაბორატორიაში გადაიტანენ.

ლაბორატორიის შექმნის შესახებ ხელშეკრულებას ქართულ-ამერიკულმა მხარეებმა ხელი ჯერ კიდევ 2006 წელს მოაწერეს. მაშინ პროექტის ერთ-ერთი ამერიკელი ინიციატორი, სენატორი ლუგარი და ქართველი მაღალჩინოსნები ამბობდნენ, რომ ლაბორატორიის მთავარი მიზანი იმ საფრთხის შემცირება იქნებოდა, რასაც მსოფლიოში ბიოტერორიზმი იწვევდა.

„გავიხსენოთ, როგორ გზავნიდნენ ტერორისტები 11 სექტემბრის შემდეგ ჯილუხიან კონვერტებს. ამ დროს მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ პათოგენების გენეტიკური თვისებები. თუ გვაქვს სეკვენირებული გენომი, მის მიხედვით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ, სად იყო ბიოტერორიზმის აგენტის წყარო. მაშინ, ჯილუხიანი კონვერტების შემთხვევაში, აღმოაჩინეს, რომ ბაქტერიები ტერორისტებმა ამერიკული ლაბორატორიიდან მოიპოვეს და არა მსოფლიოს რომელიმე სხვა ადგილიდან“, – ამბობს ლელა ბაქანიძე.

საქართველოში აშშ-ს ელჩის, ჯონ ბასისთვის ეს ორი კომპონენტი – ბიოტერორიზმის აღკვეთა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა – ერთმანეთს მხოლოდ აესებს. „ლაბორატორიის მიზანია, მეცნიერებს კვლევების ჩატარების საშუალება მისცეს იმ საშიშ ორგანიზმებზე, რომელთაც დაავადების გავრცელების პოტენციალი

აქვთ. ამ დაავადებების ნაწილს ლეტალური შედეგები მოაქვს და მოსახლეობაშიც სწრაფად ვრცელდება. ამიტომ სწორედ საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვისაა მნიშვნელოვანი, გავიგოთ, როგორ მოქმედებენ ეს ორგანიზმები, რათა ხელი შევუშალოთ მათ დაავადებად გარდაქმნას. ეს ასეა ორივე შემთხვევაში – მაშინაც, როცა დაავადების გავრცელებას ბუნებრივი მიზეზები აქვს და მაშინაც, როცა ის ტერორისტების ქმედების შედეგად ღვივდება. ასე რომ, ჩვენი მიზანია ამ საშიში ორგანიზმებისგან მოსახლეობის დაცვა იმისგან დამოუკიდებლად, ბაქტერია თავისით გავრცელდა, თუ ტერორისტების იარაღად იქცა“, – აცხადებს ჯონ ბასი.

საშიში პათოგენების ლაბორატორიაში გადატანა ნიშნავს იმას, რომ კვლევები მათზე საქართველოში ახლა იქ ჩატარდება. თუმცა, ჯერ ტრენინგები უნდა დასრულდეს. 20-მდე ექიმი, ამერიკელი ინსტრუქტორებისგან მიღებულ ცოდნას თავიანთ კოლეგებს თბილისისა და რეგიონების მასშტაბით გადასცემს. ფატი გაბუნია ამბობს: „ჩვენთან გავრცელებული საშიში ინფექციების უმრავლესობა – მაგალითად, ციმბირის წყლული, ბრუცელოზი, ტულარემია – რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაში უფრო ხშირად გვხვდება. ანუ, რეგიონში მომუშავე ექიმს უფრო ხშირად აქვს შეხება ასეთ ავადმყოფებთან. ამიტომ მათ მკაფიოდ უნდა იცოდნენ, როგორია ავადმყოფობის დიაგნოსტიკისა თუ მასალის სადიაგნოსტიკოდ გაგზავნის საფეხურები“.

გამოდის, რომ ლაბორატორია საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ზრუნვის მნიშვნელოვანი, თუმცა, მხოლოდ ერთი რგოლია. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, პირველი რგოლია ექიმი-კლინიცისტი, რომელსაც ინფექციურ დაავადებაზე მიაქვს ეჭვი. შემდეგ ის მასალას გზავნის ახალ ლაბორატორიაში, სადაც დიაგნოზი დასტურდება. „დიაგნოზი სწორია? ესე იგი, სწორია მკურნალობაც“, – დასძენს ფატი გაბუნია.

8 ათას კვ.მ.-ზე გადაჭიმული კვლევითი კომპლექსი სრული მასშტაბით მხოლოდ შემონების ყველა აუცილებელი პროცედურის გავლის შემდეგ ამოქმედდება. ლაბორატორია, რომელშიც 150-მდე მეცნიერ-მუშაკი დასაქმდება, ამერიკელების ვარაუდით, რეგიონულ მნიშვნელობას შეიძენს. ■

არასრულწლოვანთა უფლებები

## უფროსი ძმა შენი მებობახია

ექსპერიმენტი, რომლის მიხედვითაც ცამეტმა წარმატებულმა, მოხალისემ ამდენივე მოზარდის ცხოვრება უკეთესობისკენ უნდა შეცვალოს, უკვე დაიწყო.

მარია ქოჩიაშვილი



ფოტო: მარია ქოჩიაშვილი

– მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი. მე აჩიკო ვარ, 28 წლის, მყავს ცოლი და 2 წლის ელე. პატარაობიდან ვშრომობ – ჩემი ოჯახი ღარიბი იყო და მუშაობა მიწევდა, ინსტიტუტში სწავლა რომ გამეგრძელებინა. ბევრჯერ ხურდაც არ მდებია ჯიბეში... – ღიმილით ეცნობა მის წინ მჯდარ პატარა ბიჭს USAID/MSI-ს დემოკრატიული განვითარების პროგრამის თანამშრომელი, არჩილ თალაკვაძე.

– მე ლუკა ვარ. 15 წლის. ჭიდაობაზე დავდივარ. კითხვა ამ ბოლო დროს შემეყვარდასავეთ, მას მერე, რაც „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ წავიკითხე. ახლა დედაჩემთან და და-ძმასთან ერთად თავშესაფარში ვცხოვრობ, – ხმადაბლა და გაუბედავად პასუხობს ლუკა.

– მეც მასე ვარ, საკუთარი სახლი არც მე მაქვს ჯერ, – ელიმება აჩიკოს.

ამ მომენტიდან დიალოგი ახლად გაცნობილებს შორის უშუალო ხდება. საუბარი, რომელსაც თვალ-ყურს ხუთი სხვა ადამიანი ადევნებს, სულ 40

წუთს გრძელდება. გაცნობის რიტუალის დასრულების შემდეგ კი არჩილ თალაკვაძე და პატარა ბიჭი თავშესაფრიდან ოფიციალურად ცხადდებიან „მეგობრებად“. ამ დღის შემდეგ მათ სრული ერთი წელი უნდა იმეგობრონ. ამ ხნის განმავლობაში „უფროსმა მეგობარმა“ არჩილ თალაკვაძემ 15 წლის ლუკას „სწორ გზაზე დაყენებასა“ და „გაკეთილშობილებაზე“ უნდა იზრუნოს.

ამ ორი უცნობი ადამიანის „დამეგობრება“, რომელთაც სხვადასხვა ასაკი, სოციალური წარმომავლობა და წარსული აქვთ, იუსტიციის სამინისტროს მიერ დაგეგმილი საცდელი პროგრამის ფარგლებში მოხდა. ამ პროგრამის იდეა ასეთია:

12-დან 17 წლამდე ახალგაზრდებს, რომლებიც ნასამართლენი ან ძალადობის მსხვერპლი არიან, აქვთ კრიმინალისა და ნარკოტიკისკენ მიდრეკილება, არ ჰყავთ მშობლები, ანდა თანატოლებთან ურთიერთობის დამყარება უჭირთ, სოციალურ პასუხისმგე-

■ **Big Brothers Big Sisters** (უფროსი ძმები, უფროსი დები) – ეს ორგანიზაცია ამერიკაში უკვე საუკუნეზე მეტია, არსებობს და მხოლოდ შტატებში წელიწადში 250 ათასამდე ბავშვის ცხოვრების შეცვლას ცდილობს.

ბლობას და ცხოვრებაში ადაპტირების უნარ-ჩვევებს სპეციალურად მათთვის „დანიშნული“ უფროსი მეგობრები“ ასწავლიან. ეს ადამიანები საკუთარ ცოდნას და შეხედულებებს გაუზიარებენ ბავშვებს, რომელთაც ადამიანებისადმი ნდობის აღდგენისა თუ არჩეული გზის რადიკალურად შეცვლისთვის



სხვისი „წარმატებული მაგალითი“ სჭირდებათ.

პროგრამა, რომელიც პირველ ეტაპზე მხოლოდ თბილისში დაიწყო და 13 წყვილი დაამეგობრა, ამერიკული პროექტის ანალოგია. **Big Brothers Big Sisters** (უფროსი ძმები, უფროსი დები) – ეს ორგანიზაცია ამერიკაში უკვე საუკუნეზე მეტია, არსებობს და მხოლოდ შტატებში წელიწადში 250 ათასამდე ბავშვის ცხოვრების შეცვლას ცდილობს. ამ პროგრამის შემქმნელებსაც და მოხალისე „უფროს ძმებსაც“ სჯერათ, რომ წარმატების მიღწევისა და სიცოცხლისთვის ბრძოლის უნარი თითოეულ ბავშვს თანდაყოლილი აქვს. თუმცა, ხანდახან მათ პოტენციალს წახალისება და „გარეთ გამოტანა“ სჭირდება.

აჩიკო და ლუკა დამეგობრების პირველივე დღეს ბლოკნოტის და ნიგუნის საყიდლად წავიდნენ. ბლოკნოტში მომავალი გეგმები უნდა ჩანერონ და პლუსები დასვან: Facebook-ზე ლუკას გვერდის შექმნა, შაბათ-კვირას ერთმანეთის ოჯახების გაცნობა, 10 აპრილს კი „ოფროუდის“ საყურებლად კახეთში წასვლა – ეს ახლო მომავლის გეგმებია, თუმცა, წინ კიდევ ერთი წელია.

- რაზე ოცნებობ?
- „იფქლის“ ბიზნესი მინდა.
- რა გჭირდება ამისთვის?
- ალბათ სწავლა, ფული...
- მეგობრები და ნებისყოფა?
- ეგენიც.

აჩიკოსთან მეგობრობის ერთი წლის თავზე ლუკას თავი უფრო საქმიანი წარმოუდგენია – ბლოკნოტი და კალამი უკვე აქვს.

„არ მეგონა, რომ ასეთი ხალისიანი იქნებოდა ეს შეხვედრა. უფროს მეგობარს უფრო მკაცრს და სერიოზულს ველოდი. მეგონა, სულ იქნებოდა ჭკუის დარიგება და რაღაც ეგეთები. უფროსი მეგობრები კი მყავს, მაგრამ ერთმანეთის ოჯახები გავიცნოთო, არავის შემოუთავაზებია“, – ამბობს ლუკა.

რა სჭირდებათ ლუკას მსგავს ბავშვებს უფროსი ადამიანებისგან? ბავშვთა ფსიქოლოგ მაია ცირამუას თქმით, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია

ალიარება, პატივისცემა და მხარდაჭერა. უფროსი მეგობარი კი, რომელმაც არასრულწლოვანების ასაკი ცოტა ხნის წინ გამოიარა, ამის საშუალებას მისცემს მათ. „ის არ შეეცდება, თავს მოგახვიოს კლასიკური მუსიკა, როცა შესანიშნავად იცის, რომ რეპი უფრო გიზიდავს, ის წარმატებულია, განწონასწორებულია, უკვე დაძლია ბრაზის მართვის პრობლემები და შეუძლია, ეს ყველაფერი შენც „თითების ქნევის“ გარეშე გასწავლოს“, – ამბობს მაია ცირამუა.

პროგრამის კიდევ ერთი პლუსი, რასაც ფსიქოლოგი გამოყოფს, ქართული კულტურული კლიშეების მსხვრევაა. „ჩვენს კულტურაში უფროსი ადამიანი მენტორია, მთელი „ძალაუფლება“ მის ხელშია და ნაკლებად ინტერესებს, რას განიცდის და ფიქრობს „უმცროსი“. მას შეუძლია, აკრიტიკოს და დასაჯოს ის, რადგან უფროსი ყოველთვის „მართალია. ასეთი დამოკიდებულება ჩვენს საზოგადოებაში ქმნის უნიკალურ ფორმულას – უფროსი მუდამ ცდილობს, „ძალით“ დაამყაროს წესრიგი, ხოლო უმცროსი „ძალითვე“ არღვევს წესებს – სახლში, სკოლაში, ქუჩაში, სამსახურში. ეს უკვე ანტი-სოციალური, ნეგატიური „კულტურაა“, რომელშიც უცხოა სხვა ადამიანის ალიარება, მხარდაჭერა, მისი ინტერესების გათვალისწინება“, – აცხადებს მაია ცირამუა და ფიქრობს, რომ პროგრამა „ჩემი უფროსი მეგობარი“ სწორედ ამ კულტურას დაუპირისპირდება.

ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ პროგრამისთვის შერჩეულმა 13-მა უფროსმა მეგობარმა, პირველ რიგში, საკუთარ თავში შეძლოს ამ კულტურული სტერეოტიპების გადალახვა და უმცროსებთან ურთიერთობისას იხელმძღვანელოს ასეთი ფორმულით:

„მე კარგი ვარ, წარმატებული ვარ, მორალური ვარ, მაქვს პასუხისმგებლობა, მე ვიცი. და შენც კარგი ხარ, შენც შეგიძლია, იყო წარმატებული, შენც მორალური ხარ, გაქვს პასუხისმგებლობა და შენც იცი!“

პროგრამის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ ყველანაირი რისკი, მი-

## ჩა ბავჯინა უქს მოზახიზა უფროს მეგობარის



ილუსტრაცია სოფო კობახიძე / შირაღმა

ამერიკაში 1995 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ზრდასრულებსა და მოზარდებს შორის მეგობრობას ბავშვის ცხოვრებაზე პირდაპირი და გაზომვადი ეფექტი აქვს. ამერიკულ პროგრამა **Big Brothers Big Sisters**-ში ჩართული პატარები სასკოლო ცხოვრებაში უფრო თავდაჯერებულად ჩაერთვნენ, გამოასწორეს ოჯახის წევრებთან არეული ურთიერთობაც. გამოკითხული 10-16 წლის მოზარდების 81 პროცენტი აცხადებს, რომ უფროსებმა შეუცვალეს მომავლის ხედვა და მისცეს იმედი. 83 პროცენტი ამბობს, რომ „უფროსმა ძმამ“ ჩაუნერგა ის პრინციპები, რაც სწორი გზის პოვნაში დაეხმარა. 67-მა პროცენტმა კი აღნიშნა, რომ კოლეჯში სწავლის გაგრძელება სწორედ უფროსი მეგობრის გავლენით გადაწყვიტა. კვლევით დადასტურდა, რომ „უფროსი ძმის“ პროგრამაში ჩართული პატარები 18 თვის შემდეგ თავიანთ თანატოლებზე უკეთეს შედეგებს აჩვენებენ. ეს მოზარდები დანარჩენ პატარებთან შედარებით 52 პროცენტით ნაკლები ალბათობით აცდნენ სკოლას. 46 პროცენტით ნაკლები ალბათობით იწყებენ ნარკოტიკის მოხმარებას, 27 პროცენტით ნაკლები ალბათობით კი – ალკოჰოლის მიღებას.



ლიბერალი

იკითხეთ

ლიბერალის პორტალზე

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)

## ნიმუშიანი ადამიანის უფლებების დამცვენი ერთ მუშაობაზე გამარჯვებული მენტალიტეტი

„მოდერნიზაცია ნიშნავს გამარჯვებული მენტალიტეტის საქართველოს, სადაც პოლიტიკოსები და საზოგადოება ერთ მუშაობაზე იქნება შეკრული ქვეყნის ინტერესების დასაცავად“ – მიხეილ სააკაშვილმა უკანასკნელი საპარლამენტო გამოსვლისას ასე ახსნა მოდერნიზაციის მნიშვნელობა. მას სწორედ ასე ესმის უცხოური სიტყვის – „მოდერნიზაციის“ არსი. „ერთ მუშაობაზე“ გასაგებია, „გამარჯვებულ მენტალიტეტზე“ რა ვთქვა? ამ სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება და ლოგიკური აზრის გამოტანა შეუძლებელია.



## მულტიმედია რატომ უნდა ჩავდეთ ფული ხელოვნებაში

დისკუსია ლიტერატურის მუზეუმში.

ნიმუშიანი დაყვანილი, მათ შორის, საგანგებო კონკურსის, გასაუბრებისა და სარეკომენდაციო წერილების საფუძველზე შეარჩიეს 13 უფროსი მეგობრის კანდიდატურაც. შემდეგ მათ ამერიკელმა ინსტრუქტორებმა, რომლებიც მსგავს პროგრამაში შტატებში უკვე 30 წელია, მონაწილეობენ, ტრენინგები ჩაუტარეს.

თუმცა, ფსიქოლოგებისთვის მაინც რისკის შემცველად რჩება კითხვები: „რამდენად გულწრფელია და მოტივირებულია უფროსი მეგობარი? რამდენად გაითავისა ტრენინგზე მიღებული ცოდნა? და როგორ მოახერხებს, ეს ცოდნა დაუპირისპიროს უფროსებთან ურთიერთობის საკუთარ არასასიამოვნო გამოცდილებას?

ასევე განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს ეს თემებიც: როგორ უნდა აენციოს ურთიერთობა არასრულწლოვანთან და მის მშობელთან, რა დოზით შეიძლება მათ სოციალურ პრობლემებში ჩართვა და არასრულწლოვანის პირად ცხოვრებაში ჩარევა?

ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ პირველ ეტაპზე, „უფროს მეგობართან“ მიჯაჭვა გარდაუვალი და აუცილებელიცაა. ამის გარეშე უმცროსი არ აღიარებს და ვერ მიიღებს უფროსს, არ ენდობა მის ინიციატივებს. თუმცა, შემდგომ ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია ამ კავშირის თანდათანობით განყვეტა, სხვაგვარად მოზარდი ვერ აიღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას.

„როდესაც ბავშვი დამოუკიდებლად სიარულს იწყებს, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ „ხელი გაუშვან“ და ენდონ – აქაც იმავე საჭიროების წინაშე დგას მოზარდი – მან იცის, რომ აქვს ძალა, რესურსი, მოტივაცია და ეს უნდა აღიაროს უფროსმაც. ამის გათვალისწინების გარეშე, პროექტი ნამდვილად ვერ იქნება წარმატებული“, – აცხადებს ცირამუა.

„მიაღწიე უფრო მეტს და იოცნებე მეტზე. შთააგონე და გაამხნევე სხვა. იქონიე გავლენა და შეცვალე ის. გახდი მისაბაძი. შექმენი კიდევ ერთი წარმატებული ამბავი“, – ასე მოუწოდებენ

შტატებში პოტენციურ „უფროს ძმებს“ პროგრამაში ჩართვას. ქართველი უფროსი მეგობრებიც ხვდებიან, რომ არასრულწლოვანებთან მეგობრობა მათთვისაც არანაკლებ სასარგებლო იქნება. „ჩვენ უფრო ვჭირდებით ამ ბავშვებს, თუ ისინი უფრო გვჭირდებიან ჩვენ?“ – კითხვას სვამს აჩიკო. სავარაუდოდ პასუხი კი ასეთია: „...დარწმუნებული ვარ, ბევრ ისეთ თვისებას აღმოვაჩენ ჩემში ამ ურთიერთობით, რაზეც მანამდე არც კი მიფიქრია და არ გამიცნობიერებია“.

– ყველაზე მეტად რა გაბრაზებს? – ეკითხება აჩიკო ლუკას.

– არასამართლიანობა, აი მაგალითად, ორი ადამიანი რომ „დაბალ ლობეს“ ჩაგრავეს, ვერ ვიტან მაგას, – ამბობს ლუკა და გახარებული თანხმდება აჩიკოს შეთავაზებას, მანქანით ქალაქში იარონ და სადაც უსამართლობას დაინახავენ, მოაგვარონ.

აჩიკო და ლუკა მომავალი ერთი წლის განმავლობაში ერთად წაიკითხავენ წიგნებს, ითამაშებენ სპორტულ თამაშებს, ისაუბრებენ სირთულეებზე, გაკვეთილებსაც ერთად მოამზადებენ, და თუ საჭირო გახდება, აჩიკო ლუკასთან ერთად თავიდან გაივლის იმ გზას, რაც ერთხელ დამოუკიდებლად გაირა. გაცნობიერებული აქვს, რომ ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, მაგრამ მიაჩნია, რომ მეორე მხარეს „იმხელა სიკეთე დგას“, რომ ამ პასუხისმგებლობის აღება არ გაუჭირდება.

„როცა დაეცემი, გეუფლება იმედგაცრუება – სხვებმა გაირბინეს, შენ კი ჩამორჩი, რასაც „წაქცევის სტრესს“ ვეძახი. ამას მოჰყვება ნორმალური საზოგადოებრივი პროცესისგან ადამიანის გარიყვა, რაც შემდგომში უარყოფით წრეს კრავს. ეს ადამიანი მთელი ცხოვრება ამ უარყოფით წრეში რჩება მოქცეული, ის საზოგადოებისთვის დაკარგულია და აღარც საზოგადოებრივ სიკეთეს ქმნის, პირიქით, ხშირად ხელსაც კი უშლის მას. მგონია, რომ ეს პროგრამა სწორედ ამ წრის გარღვევას და შიგნით მოქცეული ადამიანების გარეთ გამოყვანას ეცდება“, – იმედი აქვს აჩიკოს. ■



თბილისის ძველი უბანი, 2011

თვალსაზრისი

# "მანამ, ხატომ ექანთან თბილისს ღამაზ ქანაქს?"

არა მგონია, თბილისზე ვინმემ კიდევ თქვას, ლამაზიაო, მთანმინდის, მახათასა და ლოტიკის ფერდები ნუცუბიდის პლატოს რომ დაემსგავსონ. არადა, „კორპუსების შემოსევა“ ქალაქის ბირთვში დანყებულია.

## ზურაბ ბაქრაძე

საოცრად აქტუალურად ჟღერს „ლიბერალის“ ერთ-ერთი ავტორის, კახა თოლორდავას შვილის ეს შეკითხვა, რომელიც მას „ნუცუბიდის პლატოს“ დანახვისას დაუსვამს (იხ. <http://liberali.ge/damshvidobeba-dinamostan>). მართლაც, ძნელია, ქალაქს ლამაზი დაარქვა, თუ მის სახეს ასეთი დასახლებები ქმნიან. არადა, თბილისში ისინი არც ისე ცოტანი არიან, ჩვენ კი მას მაინც ღამაზ ქალაქს ვეძახით. როდემდე უნდა ვიმეორებდეთ

რადაცას ისე, რომ კონკრეტული, გააზრებული წარმოდგენა არ გვექონდეს მის საფუძველზე?

იციოთ, რას შემოგთავაზებთ? ყველამ, ვისაც თბილისი უყვარს და მას თავის სამშობლოდ მიიჩნევს, ჩამონეროს, რა მოსწონს მასში. სიაში შეიძლება, ყველაფერი მოხვდეს, ღამაზი შენობები ან ხედები, სასიამოვნო განწყობა რომელიმე კონკრეტულ ქუჩაზე ან მოედანზე, რომელიმე უბნის ან მისი ნაწილის ლოკალური

სოციალური ატმოსფერო, უბნური ჟარგონი და რა ვიცი, კიდევ რა. მოკლედ, ყველაფერი – სურნელიც კი. ვფიქრობ, რომ ეს დაგვეხმარება, ჩვენი საარსებო გარემოსადმი ცნობიერი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. მერე კი, შეგვიძლია, ეს ჩვენი სიები „ლიბერალს“ გავუგზავნოთ. „ლიბერალში“ ეს სიები იქნებ, ისე დააჯგუფონ, რომ შეძლებისდაგვარად გამოიკვეთოს პასუხი კითხვაზე, თუ რატომ მოსწონთ თბილისელებს თავისი ქა-



ლაქი. მერე იქნებ გამოაქვეყნონ კიდეც და თუ ასე მოხდა, ამის შესახებ კახა თოლორდავას შვილიც წაიკითხავს და გამოვა კარგი საქმე.

პირველ ნაბიჯს ამ სტატიით მე გადავდამ და თბილისის მშენიერების ერთ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოვჩინებ.

თბილისის მშენიერების ძირითადი საიდუმლო ჩემთვის მის ბუნებრივ ლანდშაფტთან ჰარმონიულ კავშირშია. საკუთრივ თბილისი – ანუ ქალაქი, რომელიც ჩვენს წარმოდგენებსა და განცდებს განსაზღვრავს ამ სახელის ხსენებისას – ხუთ მთას შორისაა ჩანერილი (იხილეთ ჩემი სტატია „ცხელი შოკოლადის“ ვებგვერდზე <http://shokoladi.ge/node/4755>). მათგან, რა თქმა უნდა, მთავარი მთაწმინდაა. მას მტკვრის გაღმიდან ერთგვარ საპირწონეს უქმნიან ლოტიკი და მახათა. ამ სამ მთას, რომლებიც, ძირითადად, განსაზღვრავენ თბილისის სივრცულ სტრუქტურას, ემატება თაბორისა და ვეძის მთებიც, როგორც თბილისის ბირთვის დამატებით შემოსაზღვრავი ელემენტები.

აი, ეს არის ქალაქის ის არეალი, რომელიც ერთ ესთეტიკურ, ინდივიდუალურ მთლიანობად განიცდება და რომელიც ჯერჯერობით, მცირე გამოწვევების გარდა, „ნუცუბიდის პლატოს“ სინდრომს გადაურჩა.

თუ თბილისზე ვინმე ამბობს, ლამაზიაო, როგორც წესი, ქალაქის ამ ბირთვს გულისხმობს. ამ „ნამდვილი ქალაქის“ მრავალ ძირეულ ფასეულობას შორის ერთ-ერთი ისაა, რომ აღნიშნული მთების ფერდების ქვედა ნაწილებზე შედარებით დაბალი განაშენიანებაა, ხოლო ზედა ნაწილები – განაშენიანებისგან საერთოდ თავისუფალია. ეს ქმნის შესაძლებელს, რომ მთები მთელი თავისი სიმძლავრითა და მშენიერებით მონაწილეობდნენ ქალაქის სახის შექმნაში. ქალაქის ბირთვის შიგა სივრცე, მისი ერთგვარი „ინტერიერი“, ამ მთებითაა შემოსაზღვრული, რაც მათ ქალაქისთვის გადამწყვეტ ესთეტიკურ ფასეულობად აქცევს, მათი ფერდების განაშენიანების ხასიათი, მასშტაბი და საზღვრები კი ამაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. მაგალითად, მთაწმინდის, მა-

ხათასა და ლოტიკის ფერდები „ნუცუბიდის პლატოსავით“ რომ იყოს მოშენებული, ალარა მგონია, ვინმემ კიდეც თქვას, თბილისი ლამაზიაო.

ამით უნებურად ისეთ საკითხს შევხვები, რომ თბილისის მშენიერების ამ ასპექტის აღწერა უნდა შევწყვიტო და ერთ საფრთხეზე გავამახვილო თქვენი ყურადღება, რომელიც მას ნაწილობრივ უკვე დაემუქრა და ახლო მომავალში შეიძლება, უმძიმესი შედეგები მოიტანოს. საკითხი ზემოთ ნახსენები მთების ფერდების განაშენიანებას შეეხება.

თუ ეს მთები საბჭოთა წლებში ზემოთ ნახსენებ სინდრომს მეტ-ნაკლებად გადაურჩა, ამის ძირითადი მიზეზი სახლმშენებელი კომბინატების პროდუქციაზე ორიენტირებული სამშენებლო პოლიტიკა და ქალაქმშენებლური ნორმები იყო. ამ ორივეს პირობებში, მასობრივი მშენებლობა, პრაქტიკულად, მხოლოდ გარეუბნებში იყო შესაძლებელი.

პოსტსაბჭოურმა დრომ ეს შეზღუდვა მოხსნა. განზრახ მოუწესრიგებელი (ბოლო წლებში კი განზრახ ცუდად მოწესრიგებული) სამშენებლო კანონმდებლობა დღეს ხელ-ფეხს უხსნის სწრაფ მოგებას გამოდევნებულ მენაშენებს და უფლებას აძლევს როგორც სამთავრობო თუ კერძო ინსტიტუტებს, ასევე ეკლესიას, თვითნებურად, თბილისის თავისებურებების გაუთვალისწინებლად, აშენონ ახლა უკვე ქალაქის ბირთვშიც და ზემოთ ნახსენებ ფერდებზეც.

ამ მხრივ უმძიმესი შეცდომა (ჩემი აზრით, დანაშაულიც) ეგრეთ წოდებული „წმინდა სამების ეკლესიის“ აშენება იყო, თუმცა მამა დავითის მონასტრის ქვემოთ, პირველი სკოლის უკან, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩაზე ბოლო წლებში აგებული შენობებიც მნიშვნელოვნად არღვევენ განაშენიანების თანაზომადობას ბუნებრივ ლანდშაფტთან. ესაა ჩვენი მძიმე სოციო-პოლიტიკური დაავადების სიმპტომთა მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი. თავად დაავადება კი ნელ-ნელა პოსტსაბჭოური ხელისულების ნეოლიბერალურ სამშენებლო პოლიტიკად გამოიკვეთა. ამ პოლიტიკის გამტარებლებისთვის მშენებლობა მხოლოდ ეკონომიკის ნაწილია, რომლისგანაც ისინი მხოლოდ სწრაფ მოგებასა



და თვალისმომჭრელ ეფექტებს ელიან. ისეთი ფასეულობები კი, როგორებიცაა სოციალური და ჰიგიენური სიჯანსაღე, ეკოლოგიური გამართულობა, ან კულტურულ და ბუნებრივ გარემოსთან თავსებადობა, მათ სრულებით არ აინტერესებთ. ასეთ პირობებში თითქმის ერთადერთი ნაგებობის ტიპი, რომლითაც ქალაქი შენდება, ცალკე მდგომი მრავალსართულიანი სახლი, ეგრეთ წოდებული, „კორპუსია“, ანუ სწორედ ის, რითაც „ნუცუბიდის პლატო“ მოშენებული.

ახლა თუ გავიხსენებთ, რომ დიდუბისა და ნავთლულის სადგურებს შორის რკინიგზის გაუქმების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ხელისუფლება ქალაქის „გამთლიანებას“ ასახელებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ აქციის მერე მას რკინიგზის გადაღმა ტერიტორიებზე



თბილისის ძველი უბანი, 2011

ფოტო: თემო პაპინაშვილი

■ განზრახ მოუნესრიგებელი სამშენებლო კანონმდებლობა დღეს ხელ-ფეხს უხსნის სწრაფ მოგებას გამოდევნებულ მენამენებებს.

მშენებლობის გაშლა აქვს განზრახული და ეს ზემოთ ნახსენები პოლიტიკის ფარგლებში, მაქსიმალურ და სწრაფ მოგებაზე გათვლით – ე.ი. „კორპუსების“ მშენებლობით – მოხდება. არადა, აქ ლაპარაკია სწორედ თბილისისთვის ასე მნიშვნელოვან ლოტიკისა და მახათას მთების ფერდებზე, რომლებზეც რკინიგზის გადაღმა უბნები, ლოტიკი, ნაძალადევი, კუკია, სვანეთის უბანი და ელია არიან შეფენილნი. ეს უბნები თბილისის „ოქროს ფონდია“ შესანიშნავი ექსპოზიციით, ჯანმრთელი ჰავით, ქა-

ლაქის ცენტრთან უშუალო სიახლოვით და, რაც მთავარია, თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობით თბილისის ინდივიდუალური სახის შექმნაში. ამ უბნების უფრო მჭიდროდ დასახლება გარკვეულწილად შესაძლებელია და ეს სასურველიცაა. თუმცა ამისთვის სრულეობით არაა საჭირო მშენებლობის იმ ყაიდის გამოყენება, რომელმაც მცხეთის ქუჩა, სპორტის სასახლის უკანა ტერიტორია და კიდევ ბევრი სხვა ადგილი შეინირა ქალაქში. მოკლედ, მათი „კორპუსების“ გარეშე ათვისებაც, ანუ ისეთი ქალაქმშენებლუ-

რი განვითარებაც შეიძლება, რომ ერთი მხრივ მშენებლობა რენტაბელური იყოს და მეორე მხრივ განაშენიანების ხასიათი, მასშტაბი და საზღვრები ამ ფერდებს და, ამდენად, თბილისის ჩამოყალიბებულ სახეს შეეფერებოდეს.

გარდა ამისა, აუცილებლადაა გასათვალისწინებელი ამ უბნების ძირითადი ფუნქციები. პირველი, რასაც ხაზი უნდა გაესვას, მათი საცხოვრებელი ფუნქციაა. ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთეები იმაზეც მიუთითებს, რომ ამ ფუნქციის ძირითადად შენარჩუნება და განვითარება იქნება საჭირო.

სამწუხაროდ, საპირისპიროზე მიუთითებს „არსენალის“ (ტერიტორია სვანეთის უბანსა და ელიას შორის) ათვისების საჯაროდ გაცხადებული განზრახვა, რომელიც ამ ადგილას მრავალსართულიანი საქმიანი ცენტრის მშენებლობას გულისხმობს. ეს ტერიტორია ხელისუფლებამ რამდენიმე წლის წინ გაყიდა და მისი მფლობელი, მერიის არქიტექტურული სამსახურის უფროსის, არისი ბოჭოიძის თქმით, ფეხბურთელ კახი კალაძის ფორმა „კალა კაპიტალი“ და კიდევ რამდენიმე კერძო პირი გახდა. სწორედ „კალა კაპიტალი“ აპირებს აქ საქმიანი ცენტრის აშენებას.

„არსენალზე“ მშენებლობა, მისი გარემოზე გაბატონებული რელიეფის გამო, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ მრავალსართულიანი მშენებლობა ამ ადგილას სრულიად დაუშვებელია, თუ არ გვინდა, რომ აქ „ნუცუბიძის პლატოს“ პრეცედენტი შეიქმნას, რისი შემდგომი გავრცელების შეჩერებაც შეუძლებელი გახდება.

მშენებლობის ბუმი თბილისში შეწყდა. რკინიგზის რეკონსტრუქციის დაგეგმვა და განხორციელება კიდევ რამდენიმე წელს გასტანს. იქნებ, მოხერხდეს და ქალაქის მმართველობამ ეს დრო რკინიგზის გადაღმა უბნების ქალაქმშენებლური განვითარების გონივრული და თბილისის ლანდშაფტისათვის შესაფერი დაგეგმვისთვის გამოიყენოს. იქნებ, ეს უბნები მაინც გადაურჩნენ „კორპუსთა“ შემოსევას. ■

სტატიაზე მუშაობდა მაია ნიკლაური.



# ჯანდაცვა საქართველოში



მარკ მალენი

მართალია, ჯანდაცვა ჩემი სფერო არ არის, მაგრამ ორი რამ ნამდვილად ვიცი: 1. იმისათვის, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა გაუმჯობესდეს, საჭიროა არსებობდეს სერიოზული, გრძელვადიანი გეგმა, რომელიც მხედველობაში მიიღებს მოსახლეობის ყველა ჯგუფს, ქვე-სექტორებს, მონაცემებს და საერთაშორისო გამოცდილებას. 2. საქართველოს ასეთი გეგმა არ აქვს.

საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის სექტორს, როგორც ყველა დანარჩენს, სახელმწიფო მართავდა. მართალია, საბჭოთა კავშირი თავის მოსახლეობას მსოფლიოში საუკეთესო ჯანდაცვას არ სთავაზობდა, მაგრამ მაინც შესანიშნავად ახერხებდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას. ოცი წელია, ამ სისტემის ყველა ნაწილი განადგურდა. ზოგი მაღალი დონის კერძო კლინიკებით ჩანაცვლდა, ზოგ სფეროში კი საქართველოს ძალიან ცოტა კარგი სპეციალისტი ჰყავს. საბოლოო ჯამში, მთელი ეს სექტორი კატასტროფაა. ქვეყნის ხელმძღვანელობა კი ვერ თანხმდება პრობლემის მოგვარების გზაზე.

ნამყვან პოლიტიკად საავადმყოფოების და კლინიკების გაყიდვა იქცა. იბადება კითხვა: ვინ იხდის ფულს ამ კომერციულ დაწესებულებებში ჯანდაცვის სერვისის უზრუნველყოფისთვის? რა თქმა უნდა, სადაზღვევო კომპანიები, რომლებსაც ზოგიერთ შემთხვევაში თავად სახელმწიფო აწვდის ფულს მოსახლეობის დასახლვევად. ეს, დაახლოებით, ის სისტემაა, რაც ამერიკას ჰქონდა. მას რამდენიმე პრობლემა აქვს, მათ შორის ის, რომ





ბევრ ადამიანს არ აქვს ჯანდაცვის მომსახურების მიღების საშუალება და უჭირს სახელმწიფო დახმარების მოპოვება. ყველაზე ღარიბი ამერიკელი, ამასთანავე, ყველაზე არაჯანმრთელიცაა. გარდა ამისა, ეს სისტემა ძალიან ძვირია. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ამერიკის ეკონომიკის ყველაზე დიდი წილი იხარჯება ჯანდაცვაზე, მაგრამ ამერიკას სხვებზე უკეთესი ჯანდაცვის სისტემა მაინც არ აქვს.

საქართველოს სჭირდება გეგმა. მისი შემუშავებისთვის კი საჭიროა კონსულტაციები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, მაგალითად, ისეთი საკითხების მცოდნეებთან, როგორცაა ჯანდაცვის ფინანსირება, საჯარო ჯანდაცვა, საავადმყოფოები და კლინიკები, მთავრობისა და კერძო სექტორის როლი, ლიცენზირება, მოქალაქეების განათლება, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, დაავადებათა გავრცელების პრევენცია, მედიკამენტები, კანონმდებლობა. მსგავსი კონ-

იმსჯელოს კონკრეტულ საკითხებზე. მთავრობას საშუალება ექნება, დაინახოს, თუ გეგმის რა ნაწილი დარჩება ყურადღების მიღმა და როგორ უნდა მოახდინოს მის სხვა პროექტებთან ინტეგრირება.

წარმატების შესაფასებლად შესანიშნავი საერთაშორისო მაგალითები არსებობს, მაგრამ მთავარი კითხვაა, თუ ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები. ოფიციალური პირები ამ სექტორს კარგად არ იცნობენ. თუ მათ ექნებათ რამდენიმე კარგად გაანალიზებული და ჩამოყალიბებული განვითარების გეგმა, ვის მისცემენ ისინი შეფასების და ამორჩევის უფლებას? როგორც ყველა სხვა სფეროში, ისინი, ვინც გადაწყვეტილების მიღებაში მიიღებენ მონაწილეობას, გადაწყვეტილების ხასიათის განსაზღვრაში მთავარ როლს ითამაშებენ.

სადაზღვევო კომპანიების საშუალო რგოლის მოხელეების ბოლოდროინდელი დაჭერები იმაზე მიუთითებს,

მონაცემები, თუ როგორ მოქმედებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე. საჭიროა ამ მონაცემების შეგროვება და გამოყენება.

მნიშვნელოვანია პრიორიტეტების საკითხიც. ყველას უნდა ჰქონდეს ჯანდაცვის მომსახურების მიღების უფლება? რა ხარისხის უნდა იყოს ეს სერვისი? რა უნდა იყოს პრიორიტეტი: საუკეთესო ჯანდაცვა მათთვის, ვინც მეტს იხდის, თუ საუკეთესო ჯანდაცვა ყველასთვის? რამდენი უნდა დაეხარჯოდნენ პრევენციაზე და რამდენი – მკურნალობაზე? საქართველოს მსოფლიოში ფილტვის კიბოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, რადგან საქართველოს მოსახლეობა თამბაქოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხმარებელია. ეს პრობლემა დაკავშირებულია ადამიანების ცხოვრების წესთან, მაგრამ ასევე დაკავშირებულია საჯარო ჯანდაცვასთან და ეკონომიკასთან. როგორ უნდა

**■ ოცი წელია, ამ სისტემის ყველა ნაწილი განადგურდა. ზოგი მაღალი დონის კერძო კლინიკებით ჩანაცვლდა, ზოგ სფეროში კი საქართველოს ძალიან ცოტა კარგი სპეციალისტი ჰყავს. საბოლოო ჯამში, მთელი ეს სექტორი კატასტროფაა. ქვეყნის ხელმძღვანელობა კი ვერ თანხმდება პრობლემის მოგვარების გზაზე.**

სულტაციები ახლანდელი ხელისუფლების პირობებში არ ჩატარებულა.

შემდეგი, რაც გეჭირდება, ხედავს. თუ მთავრობა იტყვის, თუ როგორ სურს ჯანდაცვის სფეროში სიტუაციის გამოსწორება, დაუშვით, 2020 წლისათვის, ყველას გვეცოდინება, თუ რა მიმართულებით მივდივართ: რამდენი საავადმყოფო და კლინიკა გეჭირდება, რამდენი სახელმწიფო დაფინანსება, რა სახის აღჭურვილობა, როგორი დაზღვევის სისტემა, როგორ იმოქმედებს ეს საშუალო სტატისტიკურ ოჯახზე, რამდენი ექიმი და ექთანი, როგორი მომზადებით და სერტიფიცირებით და ა.შ. ამგვარი ხედვის არსებობა საშუალებას მისცემს ყველას,

რომ რაღაც ისე ვერაა, როგორც უნდა იყოს. ამ დაჭერების მიღმა რა ლოგიკაც დგას, მესმის. ამასთანავე, სადაზღვევო კომპანიებისთვის იმის თქმა, რომ მათ უნდა აემოქმედებინათ ღარიბებისთვის გადახდის სისტემა, თანაც სულ რაღაც რამდენიმე კვირაში, ცოტა უსამართლოა.

დარწმუნებული ვარ, ისინი ვინც გავლენიან პოზიციებზე იმყოფებიან, ჯანდაცვის მშენებელ მომსახურებას იღებენ. მათთვის ძნელი გასაგებია, რამდენად რთულია ოჯახისთვის ავადმყოფი მშობლის გადასარჩენად ვალებში ჩაძირვა. ასეთი შემთხვევები საქართველოში ხშირია, ისევე, როგორც ამერიკაში. არ არსებობს

ჩავსვით ეს საკითხი ჯანდაცვის სისტემაში? საერთოდ, საჭიროა კი მისი ჯანდაცვის სისტემის დონეზე დაყენება?

ამ ყველაზე რთულ სექტორში, მთავრობას სჭირდება გეგმა, კონკრეტული იდეა, თუ საით მივდივართ. როდესაც ამგვარი გეგმა გვექნება, გვეცოდინება, თუ რას და როგორ გავუწიოთ მონიტორინგი. ამ სექტორში ყველაფერი სწრაფად იცვლება. იმისათვის, რომ განსჯის მეთოდი შევიმუშაოთ და წარსული გადაწყვეტილებები გავანალიზოთ, უნდა შეგვეძლოს იმის შეფასება, თუ რა მუშაობს და რა – არა. ზოგადი ჩარჩოს გარეშე, ისევე გზააბნეულ ხეტიალს გავგრძელებთ. **■**

# 11/03 მსოფლიოს ხოცაქიხი მესნიქიხაში



იაპონიის მინისტრამ წამოჭრა ფუნდამენტური კითხვები სახელმწიფოს, რელიგიის, ეკოლოგიის, კულტურისა და საზოგადოების როლების შესახებ.

გიორგი ცხადაია

2004 წლის ინდონეზიის მინისტრამ და ცუნამიმ 230 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინარა, 2010 წლის ჰაიტის მინისტრამ – 300 000-ზე მეტი. იაპონიის კატასტროფას, წინასწარი მონაცემებით, 10 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, 16 000 კი დაკარგულია. მიუხედავად შედარებით მცირე მასშტაბისა, იაპონიის მინისტრმა, რომელსაც დამანგრეველი ცუნამი და შემდგომ ფუკუშიმას ბირთვული რეაქტორიდან რადიაციის გაჟონვა მოჰყვა, მსოფლიო ხალხების კოლექტიურ მესხიერებაში თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობით შევა – ეს იყო მსხვილ-მასშტაბიანი ბუნებრივი კატასტროფა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანას დაატყდა თავს და წამოჭრა ფუნდამენტური კითხვები სახელმწიფოს, რელიგიის, ეკოლოგიის, კულტურისა და საზოგადოების როლების შესახებ.

ბუნებრივი კატასტროფების სოციალური ეფექტების მკვლევრები ამბობენ, რომ შესაძლოა, იაპონიის მინისტრას მსოფლიოსთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც 1775 წლის ლისაბონის მინისტრას. ამ უკანასკნელმა განსხვავებული გამოძახილები ჰპოვა იმდროინდელი ევროპის ინტელექტუალურ და რელიგიურ წრეებში. ლისაბონის მინისტრის შესახებ წერდნენ განმანათლებლობის წამყვანი ფიგურები – ვოლტერი, კანტი, რუსო... და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პორტუგალიაში მომხდარმა კატასტროფამ განმანათლებლობის მოღვაწეები დააფიქრა, თუ რა როლი უნდა ჰქონოდა სახელმწიფოს ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად დაზარალებული ადამიანების დახმარებაში.

დღევანდელ მსოფლიოში სახელმწიფოს როლი ბუნებრივი კატასტროფების შედეგების გამოსასწორებლად ბოლომდე ცხადი არ არის. რა თქმა უნდა, ყველა თანხმდება, რომ დაზარალებულებს აუცილებლად უნდა დაეხმაროთ, მაგრამ დეცენტრალიზაციის, მემარჯვენე მთა-

**იაპონურმა მინისტრამ მსოფლიოს კოლექტიურ მესხიერებაზე თავისი კვალი, ალბათ, უკვე დატოვა. ამ ეტაპზე საჭიროა, დავინყოთ მოვლენის პოლიტიკური, ეკოლოგიური და ეკონომიკური ანალიზი.**

ვრობების ფინანსური პოლიტიკის და არა-ეფექტური ბიუროკრატის პირობებში, სახელმწიფოს არაადეკვატური პასუხები ხშირად კრიტიკოსების სამართლიან აღშფოთებას იწვევს. კლასიკური შემთხვევა ამერიკაში 2005 წელს ქარიშხალ კატრინას (და შემდგომ რიტას) მიერ დაზარალებული ლუიზიანის შტატია. ადგილობრივმა და ფედერალურმა მთავრობებმა ვერ უზრუნველყვეს დაზარალებულთა მოთხოვნების ჯეროვანი დაკმაყოფილება, გადარჩენის ოპერაციების, სასმელი წყლის, საკვებისა და თავშესაფრის მიწოდების ჩათვლით.

მართალია, იაპონიის მთავრობა მინისტრას და ცუნამის შედარებით მომზადებული შეხვდა, მაგრამ აქაც თავი

იჩინა სისტემურმა პრობლემებმა: ბირთვული რეაქტორის დაზიანების რისკების გაუთვალისწინებლობამ, საფრთხის შესახებ ინფორმაციის დამალვამ, ბენზინის ნაკლებობამ და ა.შ. იაპონიის მაგალითზე პრობლემა არა მხოლოდ სახელმწიფოს როლი, არამედ საერთაშორისო საზოგადოების ჩარევის ხარისხია. კითხვაც შემდეგნაირად უნდა ჩამოვყალიბოთ: რა როლი უნდა შეასრულოს საერთაშორისო საზოგადოებამ ბუნებრივი კატაკლიზმებით დაზარალებული ქვეყნების დასახმარებლად? უნდა არსებობდეს თუ არა საერთო გლობალური სტანდარტი ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისა და მათზე რეაგირების შესათანხმებლად?

მასობრივი ბუნებრივი კატასტროფების შემდეგ პოლიტიკურ საკითხებთან ერთად, რელიგიური შეფასებებიც მთელ მსოფლიოში აქტუალურია. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო შარშან, ჰაიტის მინისტრის დროს ამერიკელი ტელე-ევანგელისტის პეტ რობერტსონის სიტყვები, რომელმაც ბუნებრივი კატაკლიზმი ჰაიტელების მიერ ეშმაკთან დადებულ კონტრაქტს დააბრალა. იაპონიის მინისტრის შემდეგ ფრაზას – „ღვთის ნება“ სასულიერო პირებისგან ხშირად გაიგონებთ. ჩვეულებრივ ადამიანებს ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული უბედურებების ნახვის შემდეგ ებადებათ კითხვა „რატომ?“ და ცდილობენ, რომ ამ კითხვაზე პასუხი რელიგიურ მოძღვრებებში მოძებნონ. რელიგია ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ინტერპრეტაციას აძლევს ადამიანისთვის აუხსნელ (ან ახსნად, მაგრამ მოულოდნელ) მოვლენას, არამედ ცდილობს მორალური ორიენტირები დასახოს.

სამწუხაროდ, ხშირად იმის ნაცვლად, რომ მსოფლიო საზოგადოების მთელი მორალური ძალისხმევა სასულიერო პირებმა დაზარალებულების გადარჩენისკენ წარმართონ, ისინი ცდილობენ, რომ მომხდარი კატასტროფა დაზარალებულების გარყვნილებას დაუკავშირონ. ეს კი არაერთგვაროვან რეაქციებს იწვევს.

დროა, რომ რელიგიურმა მოძღვრებებმა მეტი ადგილი დაუთმონ მეცნიერებას და მეცნიერულ ახსნას. მაგალითად, იაპონიის მიწისძვრის შემთხვევაში, ცხადია, რომ კატასტროფის მიზეზი ტექტონიკური ფილების მოძრაობა იყო. ამ პროცესის მეშვეობით დედამიწა ცდილობს საკუთარი ტემპერატურის დარეგულირებას, რაც, საბოლოო ჯამში, დედამიწის ზედაპირზე სიცოცხლის შენარჩუნებისთვის არის აუცილებელი. ეს გარდაუვალი ბუნებრივი პროცესია, ისევე, როგორც ტალღების მი-

მინისძვრების შემთხვევაში) – ვეცადოთ მას მობილიზებული და მომზადებული შევხვდეთ.

საზოგადოების მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ კატაკლიზმებზე დამოკიდებულია კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე – კულტურაზე. კულტურები, რომლებიც ძირითად აქცენტს ადამიანების სხვებისგან დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალიზმზე აკეთებენ, კატასტროფების შემთხვევაში შემაფერხებელი ფაქტორები ხდებიან. იაპონური კულტურა კი ამ მხრივ უპირატეს პოზიციაშია, რადგან აქცენტს უფრო მეტად საზოგადოებაზე და არა ინდივიდზე აკეთებს. ზოგიერთ შემთხვევაში, კოლექტივზე ორიენტაცია შემაფერხებელი ფაქტორი ხდება. მაგალითად, იაპონური მედია საკმარისად კრიტიკული არ იყო მთავრობის მიერ დაშვებული ბენზინის მარაგების ნაკლებობის მიმართ, რამაც

რობა იმპლიციტურ/ქვეცნობიერ რასიზმს დააბრალა. მონოეთნიკურ იაპონიაში კი, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ნორმებს დიდ პატივს სცემენ, სოციალური სოლიდარობის ხარისხი გაცილებით მაღალი იყო.

და ბოლოს, ჩვენს პოლიტიკურ, რელიგიურ, ეკოლოგიურ და კულტურულ წარმოდგენებთან ერთად, გლობალური კატასტროფები ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია, გვაფიქრებს მსოფლიო ფინანსური ბაზრების არასტაბილურობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე ფინანსური ბაზრები რისკების გაანგარიშებას ეფუძნება, ბუნებრივი კატაკლიზმები წარმოუდგენლად სწევს ადგილობრივი კომპანიების აქციების ღირებულებებს. თავის მხრივ, გლობალიზებულ ეკონომიკაში ერთ ქვეყანაში მომხდარი ეკონომიკური დარტყმები მო-



მოქცევა, ღრუბლების წარმოქმნა და ა.შ. ადამიანი ბუნების ნაწილია და მისი არსებობა დიდად არის დამოკიდებული ბუნებრივი პროცესების მთლიანობაზე.

ბუნებრივი კატასტროფების ახსნამ არა რელიგიური, არამედ, უმთავრესად, სწორედ ეკოლოგიური საკითხები უნდა წამოსწიოს წინა პლანზე. იაპონიის მიწისძვრის მსგავსმა მასშტაბურმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ფუნდამენტურად უნდა დაგვაფიქროს ჩვენს დამოკიდებულებაზე გარემომცველ ბუნებასთან. საკუთარი თავის ბუნების განუყოფელ ნაწილად აღქმა დაგვეხმარება იმაში, რომ სადაც შესაძლებელია, შევძლოთ ბუნებრივი კატასტროფის თავიდან აცილება, ხოლო სადაც შეუძლებელია (მაგალითად,

ჩრდილოეთის რეგიონების მოსახლეობას გარკვეული პრობლემები შეუქმნა.

საუკეთესო კულტურული გარემო ის არის, რომელშიც ინდივიდუალიზმი სამოქალაქო პასუხისმგებლობა ერწყმის. ამავე დროს, ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ იმ რეგიონებში, სადაც კრიზისის დროს სახელმწიფო დახმარება არაადეკვატურია, ადგილობრივი კულტურის როლი კრიზისის გადაჭრის საკითხში მცირდება.

კულტურული ფაქტორი გადამწყვეტ როლს ასრულებს მაშინ, როდესაც საქმე მრავალეთნიკურ და მულტირასობრივ ქვეყნებს ეხება. მაგალითად, ამერიკაში ბევრმა კრიტიკოსმა აფროამერიკელებით დასახლებული ლუიზიანას გადარჩენის საქმეში ფედერალური მთავრობის პასიუ-

ქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკებზეც. ამიტომ, საბოლოო ჯამში, სიტუაციის დამშვიდება ბევრი გავლენიანი და მდიდარი ქვეყნის ეროვნული ინტერესი ხდება. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პოლიტიკური თანამშრომლობის აუცილებლობას.

იაპონურმა მიწისძვრამ მსოფლიოს კოლექტიურ მეხსიერებაზე თავისი კვალი, ალბათ, უკვე დატოვა. ამ ეტაპზე საჭიროა, დავინყოთ მოვლენის პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, ეკოლოგიური და ეკონომიკური მნიშვნელობების ანალიზი. გლობალურ კატასტროფებს ხომ უამრავ უბედურებასთან ერთად, საზოგადოების და ადამიანის ცხოვრების წესის ცვლილება შეუძლიათ. ■



# ედიზაბეტი, ანუ ხატა ბავახვახეზი სახურავზე



დავით ბუხრიკიძე

ლამაზი საპანაშვიდე ტელესიუჟეტები-სა და უხერხულობამდე მაღალფარდოვანი ბლოგებისა თუ სტატიების შემდეგ აზრი არა აქვს ელიზაბეტ ტეილორზე მელოდრამატულ ტონალობაში წერას. არადა, ჰოლივუდის ლეგენდები იმდენად ცოტანი დარჩნენ, რომ ძნელია, ხელი არ წაგიცდეს. მხოლოდ ერთ კონკრეტულ როლსა და ფილმს გავიხსენებ, რომელიც ელიზაბეტ ტეილორს, როგორც ნამდვილ კინოვარსკვლავს, ყველაზე ზუსტად წარმოაჩენს. ეს არის მეოცე საუკუნის პოპულარული ამერიკელი დრამატურგის, ტენესი უილიამსის პიესის – „კატა თუნუქის გავარვარებულ სახურავზე“ ეკრანიზაცია.

ფილმი ამერიკაში 1958 წელს გამოვიდა და კინოგაქირავების ყველა რეკორდი მოხსნა. მომდევნო წლის გაზაფხულზე კინოაკადემიამ იგი „ოსკარის“ ექვს ნომინაციაზე წარადგინა, თუმცა ბედის ირონიით, ვერცერთი მიიღო! ახალგაზრდა და ამბიციურმა რეჟისორმა რიჩარდ ბრუქსმა ყველაფერი ზუსტად გათვალა: 26 წლის ლიზ ტეილორის გამოჩენას ეკრანზე მაყურებელი მოუთმენლად ელოდა (მილიონური ქმარი ის-ის იყო გარდაეცვალა); ტენესი უილიამსი იმხანად ძალიან პოპულარული იყო და მაყურებელს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა „ტრამვაი-სურვილის“ წარმატებული ეკრანიზაცია; „ტექნიკოლორის“ ფერად ფირზე ლიზ ტეილორის იისფერ და პოლ ნიუმენის ცისფერ თვალებს მაყურებელი მსხვილი ხედით ნახავდა...

ამერიკული ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი ბრიკ პოლიტი (პოლ ნიუმენი) დეპრესიის გამო ყოველდღე სვამს, რადგან ტრავმის გამო კარიერა დაემსხვრა. მომ-



კლარი ფილმიდან „კატა თუნუქის გავარვარებულ სახურავზე“

## ელიზაბეტ ტეილორის – მეგის „კატა“ უფრო 50-იანი წლების

### ამერიკულ კინოში გავრცელებული „ჰიპერტროფირებული

ქალურობის“ სიმბოლოა, რომელიც აქტუალობას დღესაც არ კარგავს.

ხიბველი, მაგრამ ოდნავ აგრესიული და მგძნობიარე მეგი (ელიზაბეტ ტეილორი) ჯიუტად ცდილობს, წარმატებით განებივრებული მეუღლე ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოიყვანოს. ბრიკის მამა – ჰარვი პოლიტი, რომელიც უკურნებელი სენითაა ავად (ბერლ აივზის შესანიშნავი როლი) შვილის მამაკაცურ თავმოყვარეობას რამდენჯერმე შელახავს. მეგის და ბრიკს შვილები არ ჰყავთ, რაც მემკვიდრეობის საკითხის გამო პრობლემებს უქმნით. მით

უმეტეს, რომ ბრიკს ძმაც ჰყავს, რომლის ოჯახიც ასევე აცხადებს პრეტენზიას მამის ქონებაზე.

„კატა თუნუქის გავარვარებულ სახურავზე“ 50-იანი წლების ამერიკული „ოქროს“ დრამების ტიპური, მაგრამ ბრწყინვალე ფსიქოლოგიური ნიუანსებით გამორჩეული ფილმია. მაგალითად, ბრიკის დეპრესიაში საგრძნობია ფარული ჰომოსექსუალური მოტივიც (ტრავმამდე მას მეგობარი-ფეხბურთელი გარდაეცვალა, რომელთანაც

„ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა“), რაც მნიშვნელოვანია მეგის აგრესიის გასაგებად. მეგი ქალური ინტუიციით ხვდება, რომ ბრიკის ხსნა მხოლოდ გულწრფელი „აღსარების“ გაზიარებით შეიძლება, თუმცა ფილმის ბოლომდე ამას მაინც ვერ აღწევს. ბრიკის მამა („ბიგ-პაპა“, როგორც მას ფილმში უწოდებენ) კი „ზედმეტი“ სიმპათიითაა მეგის მიმართ განწყობილი. ფინალში მამის სიკვდილი ბრიკს საბოლოოდ გამოაფხიზლებს და სიცოცხლის ხალისს უბრუნებს. ეს არის ზუსტი ფსიქოანალიტიკური მიგნება, როცა მამის სიკვდილი შვილს თითქოს სივრცეს და ადგილს უთავისუფლებს.

დღევანდელ მაცურებელს, რომელიც „ექშენს“ ავადმყოფურად მიეჩნევა, ფილმი დიალოგებით ზედმეტად გადატვირთული მოეჩვენება, ხოლო ოჯახური კონფლიქტი, მამა-შვილის დრამატული ურთიერთობა და მეგის ჰიპერტროფირებული ქალურობა – ოდნავ ძველმოდურად. ელიზაბეტ ტელიორის ბრწყინვალე, „ლია“ და ვენზიანი თამაში, მისი სინაზუნარევი აგრესია, ცხადია, განსხვავდება მოდური სკარლეტ იოჰანსონის ანემიური სექსუალობისგან, ისევე, როგორც, ქვით ბლანშეტის ძუნწი, ოდნავ მამაკაცური სტილის თამაშისგან. მეგის „კატა“ უფრო 50-იანი წლების ამერიკულ კინოში გავრცელებული „ჰიპერტროფირებული ქალურობის“ სიმბოლოა, რომელიც აქტუალობას დღესაც არ კარგავს.

თუ გინახავთ, ან წარმოგიდგენიათ კატა თუნუქის უმონყალო მზით გავარგარებულ სახურავზე? ან მისი განწირული თამაში და რეაქცია, როდესაც თათები ეწვის და ცდილობს, ოდნავი სიგრილე სადღაც მაინც იპოვოს... და როცა ვერ პოულობს, როგორ გადაეშევა სახურავიდან ქვევით, უფსკრულში, გაცნობიერებული შიშის დასაძლევად თუ აუცილებელი თავისუფლების მოსაპოვებლად.

სწორედ ასეთია ელიზაბეტ ტელიორის მეგი – კატა, რომელიც მზადაა, ბოლოდღე იბრძოდოს და აიტანოს გავარგარებული სახურავი. მაგრამ გადახტეს, როცა ხვდება, რომ განწირულია. ახალგაზრდებისადმი გულწრფელი რჩევაა, ნახონ სწორედ ეს ფილმი. ვარსკვლავები მარტო გვინეტ პელტროუ ან პენელოპა კრუზი რომ არ ეგონათ. **■**



## ბახიხახუხები ქახთვეც მნახიებზე

### დავით ბუხრიკიძე

ამ დღეებში ლიტერატურულ მუზეუმში იშვიათი გამოფენა შეგიძლიათ ნახოთ: როგორ ხატავდნენ ქართველი მწერლები კარიკატურებს და რა ვიზუალური ფორმით „ერჩოდნენ“ ერთმანეთს. შეგიძლიათ იმაშიც დარწმუნდეთ, ჰქონდათ თუ არა მათ ხარისხიანი იუმორი და რაც უფრო დასაფასებელია, თვითირონია. ამაში კი გამოფენა სახელწოდებით „კარიკატურები და შარუები ქართველ მწერლებზე“ დაგეხმარებათ.

კარიკატურების გამოფენის პარალელურად, ლიტერატურულ მუზეუმში გაიმართა „ფუნაგორების“ პრეზენტაცია. ეს არის 1940 წელს ნიკა აგიაშვილის რედაქციით გამოცემული პატარა ნიგნის თითქმის ანალოგიური მეორე გამოცემა, რომელშიც მკითხველი ლადო ასათიანის, კარლო კალაძის, გალაკტიონის და სხვათა ფუნაგორებს, ანუ ავსიტყვაობებს გაეცნობა. თავის დროზე, ეს სიტყვა ქართულ ლიტერატურაში კოლაუ ნადირაძემ შემოიტანა.

სტაჟთან მკითხველსა და ლიტერატორებს ახსოვთ ლიტერატურულ ჟურნალებსა და „ნიანგში“ მიმობნეული კარიკატურები ქართველ მწერლებზე. მაგრამ ასეთი რაოდენობით და ერთ სივრცეში თავმოყრილი ალბათ, არასდროს უნახავთ. მაგალითად, რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის ცნობილი ფერადი კარიკატურა „შალვა დადიანი“, ან პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის „კარლო

კალაძისა და ვიქტორ გაბესკირიას მოგზაურობა“; ასევე, „ბზიკის“ ფსევდონიმით წარმოდგენილი ივანე მაჩაბლის და გიორგის ნერეთლის შესანიშნავი კარიკატურები.

გამოფენაზე წარმოდგენილია ყოველკვირული იუმორისტული ჟურნალი „ემშაკის მახე“. კერძოდ, 1911 წლის ნომერი, რომელიც ლიტერატურულ ტენდენციებსა და გემოვნებაზე გარკვეულ წარმოდგენებს შეგიქმნით. გამოფენილია გალაკტიონის უცნაური მეგობრის, ფედია ჩუდეციკის გრაფიკული მეგობრული შარჟი, რომელსაც პოეტი ნავში მჯდომ მეთევზედ ჰყავს წარმოდგენილი. თევზებს კი პოეტისთვის არცთუ მაგიური სიტყვა „რითმები“ აწერიათ. არანაკლებ საინტერესოა თენგიზ გოგოლაძისა და გიგლა ფირცხალავას ურიცხვი კარიკატურა: ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, კარლო კალაძე, იოსებ ნონეშვილი...

ავანგარდული ლიტერატურული ტრადიციებით ნაკვები შარუები შედარებით იშვიათად გვხვდება 40-50-იან წლებში, როცა იდეოლოგია თითქმის ახშობდა თავისუფალ სიტყვას და აზრს. პარადოქსია, რომ ის ასევე იშვიათია გასული საუკუნის 80-90-იან წლებში. მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე ამბობს, რომ „კარიკატურა არის ჟანრი, რომელიც დიდი ხანია აღარ გვაქვს. ამიტომ ეს გამოფენა უფრო მისი გაცოცხლების მცდელობაა“. **■**

## MOTOROLA XOOM IPAD-ს კონკურენციას ვერ უწევს

პლანშეტური კომპიუტერი Motorola Xoom, რომელსაც ბევრი Apple iPad 2-ის მთავარ კონკურენტად მოიაზრებდა, მოსალოდნელზე ცუდად იყიდება. მიზეზად ექსპერტები ფასს ასახელებენ. პლანშეტის Wi-Fi ვერსია 599 დოლარი ღირს, GSM და CDMA




ქსელებით მხარდაჭერილი ვერსია – 799 დოლარი, iPad 2-ის ყველაზე იაფფასიანი ვერსია კი – 488 დოლარი. ექსპერტები თვლიან, რომ Motorola-მ iPad 2-სთვის კონკურენციის გასაწევად მტკიცეული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და Xoom-ის ღირებულება შეამციროს.

## ევროკავშირი ინტარნეტ- კომპანიებს პირადი მონაცემების დაცვას სთხოვს

Google-სა და Facebook-ს ევროკავშირი იმ წესების გათვალისწინებას სთხოვს, რომელიც ორგანიზაციის მიერ მომხმარებელთა პირადი მონაცემების დაცვას უკავშირდება. ევროკავშირის კომისიის ვივიენ რედინგის განცხადებით, ევროპის მოქალაქეების უფლებები, პირადი ინფორმაციის დაცვასთან მიმართებაში, ყველა კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს, მათ შორის, ამერიკულმაც.

სოციალურ ქსელს კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირე-



ბისთვის, მათ შორის, სარეკლამო კომპანიებისთვის, გადაცემისთვის აკრიტიკებენ. Google-ის შემთხვევაში კი ყველაზე დიდ უკმაყოფილებას მისი სერვისი Google Street View იწვევს. რამდენიმე დღის წინ ინტერნეტ-გიგანტი საფრანგეთის ინფორმაციის თავისუფლების ნაციონალურმა კომისიამ კომპანია 100 ათასი ევროთი დააჯარიმა. მარეგულირებლის განცხადებით, Google-მა საფრანგეთის ქალაქების გადაღებისას ადამიანები ფოტოებზე მათი თანხმობის გარეშე აღბეჭდა.

Google Street View კომპანიამ 2007 წელს გაუშვა. კამერები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის პანორამულ ხედებს იღებდა, ხშირად ფოტო თუ ვიდეო მასალაზე მოქალაქეების სახეებს, მისამართებს ან კერძო საკუთრებასაც აღბეჭდავდა. ამის გამო ინტერნეტ-გიგანტს სერვისის ხელახალი დამუშავება და მისთვის გამოსახულების წაშლის შესაძლებლობის დამატება მოუწია.

## კომპიუტერული ვირუსი 40 წლისაა

პროგრამა Creeper, რომელიც მსოფლიოში პირველ კომპიუტერულ ვირუსად ითვლება, 40 წლის გახდა. Creeper 1971 წელს იმ კომპანიის თანამშრომელმა დაწერა, რომელიც ამერიკის თავდაცვის სამინისტროს სააგენტოს ქსელის მომსახურებას ახორციელებდა.

Creeper-ს თავდაპირველად კომპიუტერული ვირუსის დატვირთვა არ

ჰქონდა. უფრო მეტიც, სიტყვა ვირუსი კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით იმ დროს საერთოდ არ გამოიყენებოდა.

ინჟინერ ბობ ტომასს, უბრალოდ, სურდა დაენერა პროგრამა, რომელიც თვითონ შეძლებდა კომპიუტერებს შორის გადაადგილებას.

ტერმინი კომპიუტერული ვირუსი მოგვიანებით, 1983 წელს, გაჩნდა. კალიფორნიელი სტუდენტი ფრედ კოენი კომპიუტერული უსაფრთხოების ლექციებზე წერდა პროგრამას, რომელსაც თავად შეეძლო გამრავლება და ქსელებში გავრცელება. საკუთარი შრომის შედეგი კოენმა მასწავლებელსა და კომპიუტერების „გურუს“ – ლეონარდ ელმანს წარუდგინა, თავად კი ტერმინ კომპიუტერული ვირუსის ავტორად იქცა.

ერთ-ერთი პირველი ვირუსი, რომელიც მომხმარებლების წინააღმდეგ იყო მიმართული, Elk Cloner იყო. პროგრამა 1982 წელს Apple-ს კომპიუტერებისთვის დაინერა და დავირუ-



სებული დისკებით ვრცელდებოდა, თუმცა ნაკლებად საზიანო იყო: ყოველი ორმოცდამეათე ჩატვირთვისას კომპიუტერის ეკრანზე პატარა ლექსი ჩნდებოდა.

ამჟამად სახიფათო პროგრამები, ძირითადად, ინტერნეტით ვრცელდება. ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი ვირუსი ILOVEYOU იყო. ის 2000 წელს ელექტრონული ფოსტით ვრცელდებოდა.



**ჯონ ზონ ჯოჰი APPLE-ის წინააღმდეგ**

ცნობილი მუსიკოსი ჯონ ზონ ჯოჰი სტივ ჯობსს მუსიკალური ინდუსტრიის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებში ადანაშაულებს. მისი თქმით, Apple-ს iTunes-ის გამო ახალგაზრდებმა მუსიკალური დისკების შექმნა და მოსმენა შეწყვიტეს, რაც პირადად სტივ ჯობსის დამსახურებაა:

„ახლანდელმა ბავშვებმა გამოტოვეს ყურსასმენების გაკეთების, ხმის ბოლომდე აწევის, პლერის ხმაურის და ხუროვისა და მუსიკალურ ალბომში თავდახუჭული მოგზაურობის



რომანტიკული პროცესი. არ მინდა ვილაპარაკო, როგორც მოხუცმა, მაგრამ მუსიკალური ბიზნესის მოკვლის პასუხისმგებლობა სტივ ჯობსს ეკისრება“, – აცხადებს ზონ ჯოჰი.

Apple-მა მუსიკის გაყიდვა ონლაინ-მაღაზია iTunes-თ 2003 წელს დაიწყო. ამჟამად მაღაზია 14 მილიონზე მეტ ტრეკს აერთიანებს. მომხმარებელს, როგორც მთლიანი ალბომის, ისე ცალკეული სიმღერების შექმნა შეუძლია.

**FACEBOOK-ი ფასდაკლების სარკინის ამზადებს**

სოციალური ქსელი Facebook-ი უახლოეს მომავალში ახალი სერვისი

სის ტესტირებას დაიწყებს. სერვისი ამერიკელ მომხმარებლებს ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა ფასდაკლებებისა და აქციების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის.



ტესტირება დალასში, ოსტინში, ატლანტაში, სან-ფრანცისკოსა და სან-დიეგოში დაიწყება. აქციებისა და ფასდაკლებების შესახებ მომხმარებლები სპეციალური გვერდის დახმარებით შეიტყობენ.

ამერიკულ ორგანიზაციებს ამ გვერდზე მოსახვედრად რეგისტრაციის გავლა და საკუთარი შეთავაზებების წარდგენა უახლოეს მომავალში შეეძლებათ. სოციალური ქსელი მომხმარებლებისთვის პარტნიორი პროექტების კუპონების შეთავაზებასაც აპირებს. Facebook-ში იმედოვნებენ, რომ სერვისი წარმატებული აღმოჩნდება.

ანალიტიკოსების განცხადებით, ონლაინ-ფასდაკლებების ბაზარი საკმაოდ იზრდება: გასულ წელს მან 873 მილიონი დოლარი შეადგინა, 2015 წელს კი ეს რიცხვი 3,93 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

**.XXX – დომენი ოფიციალურად დამტკიცდა**

პორნოგრაფიულ საიტებს ამერიიდან საკუთარი დომენური ზონა .xxx ექნებათ. დომენური სახელების მართვის ინტერნეტ-კორპორაცია ICANN-მა პორნოგრაფიული კონტენტისთვის ცალკე სივრცის გამოყოფას მხარი საბოლოოდ დაუჭირა. .xxx -ის ამოქმედებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო და მაშინვე დიდი ხმაური გამოიწვია.

ახალი დომენური ზონის მართვას ამერიკული კომპანია ICM Registry განხორციელებს. მისი აღმასრულებელი დირექტორი სტიუარტ ლოული აცხადებს, რომ ახალ დომენურ ზონაში მკაცრად განსაზღვრულ წესებს ამოქმედებს, არასრულწლოვნებს რესურსებზე არ დაუშვებს და .xxx-ის საიტებზე საბავშვო პორნოგრაფიას არ განათავსებს.

.xxx -ს მონიშნაღმდეგეები ინტერნეტ-ცენზურის შემოღებად აღიქვამენ, თუმცა მომხრები თვლიან, რომ ეს ცივილური ნაბიჯია, რომელიც სფეროს დაარეგულირებს, პორნო ინდუსტრიის კომპანიებს კი ერთიანი წესებით თამაშს აიძულებს. .xxx -ზე დომენის დარეგისტრირება წე-



ლინადში 60 დოლარი ეღირება, რაც რამდენჯერმე აღემატება, სხვა პოპულარული დომენური ზონების ღირებულებას. სამაგიეროდ, ICM Registry მზადაა ყველა ის ხარჯი დაფაროს, რომელიც დომენის გაშვებასთანა დაკავშირებულია.

კომპანიამ წინასწარი განაცხადების მიღება დაიწყო და თითქმის 300 ათასი დომენი უკვე დაჯავშნა. პორნო-საიტების დომენური ზონის ოფიციალური გაშვება მიმდინარე წლის ზაფხულში იგეგმება. ლოული რეგისტრაციის გახსნისთანავე დაახლოებით, 500 ათასი დომენის გაყიდვას ვარაუდობს. [R]

მასალა მოამზადა ნანა საჯაიამ

# მოუხედიები



გიორგი ახვლედიანი



აი, ახლა აქვს გემო სტადიონზე წასვლას, ვინაიდან მოვიდა გაზაფხული.

განსაკუთრებით უქმეებზე. იმიტომ, რომ უქმეებზე თამაშები დღისითაა და მინდვრებს მზე დაჰნათის. რომც წამოწვიოს, მაინც მზეა, მაინც რალაცნაირი რბილი სითბოა და უქმე დროის გემოც ხომ თავისთავად დააჩნევს თავის კეთილკვალს ამ ამბავს. არც მეტროში შეკვეთებას ჩქრობ და პაბებშიც სულ სხვანაირი ხალხმრავლობაა.

ინგლისში ფეხბურთი გრძელდება. და მგონი, არასდროს დამთავრდება. იმის მიუხედავად, რომ დღევანდელი ფეხბურთიდან სრულიად განდევნილია ყოველგვარი იდეალიზმი და მასში საბანკო საქმე მეტია, ვიდრე სპორტის ოდინდელი გულუბრყვილობა და სიკეთე, ინგლისში ფეხბურთს მაინც შერჩენია რალაც ისეთი, რაც მის დიდებულ წარსულზე მეტყველებს. და არა მხოლოდ მეტყველებს, არამედ ამ წარსულის გამოღვიძების ყოველნაირ შანსსაც აცოცხლებს.

ეს შერჩენილი რამ, ამოუცნობი და

მოუხელთებელია. ხედავ, რომ არის, ხოლო რა არის, ვერ იტყვი.

ალბათ, ოცი წლის წინ უფრო ჩანდა. იმის მერე კი კიდევ მეტი პირბადე მოჰხვევია.

შეიძლება, ეს მხოლოდ მოედნის და საკუთრივ თამაშის ამბავი არც იყოს, ანუ მხოლოდ თამაშისა, არამედ ყველაფრის ერთად: გაზეთის ბოლო გვერდის, საიდანაც საფეხბურთო თავგადასავლი იწყება, ლუდის კათხის, რომელზეც იტყვიან ხოლმე, I had my good pint-ო, გასახვევი თამბაქოსი, ფერფლისფერთმიანი ბებიებისა, რომლებიც თამაშზე მიკუსკუსებენ, სიმღერის, რომელიც რალაც ძალიან ძველისკენ მიგაბრუნებთ, იუმორის, რომელიც ტრიბუნების აუცილებელი თანამდევია, ფანური დინასტიების და რალაცნაირი ერთგულებისა თვითონ თამაშის მიმართ. ცხენოსანი პოლიცის, მეტროს გადაძეძგილი ვაგონის, უცნობი ადამიანების გულგია საუბრების, ჩქარი ნაბიჯის, სტადიონისკენ მიმავალ ბრბოს რომ აუკრეფია. რა ვიცი, ათასი რამის.

ადგილობრივი იერის გათვალისწინე-

ბით, ეს ყველაფერი, ალბათ, ყველგან არის, მაგრამ ინგლისში სწორედ ის მოუხელთებელი რალაც არსებობს, რასაც სხვაგან ძნელად შეიგრძნობ.

დღეს ინგლისური ფეხბურთი სავესუცხოელებით. თამაშის ინგლისურმა სტილმა დიდი ცვლილება განიცადა. ინგლისის ნაკრების მწვრთნელიც კი უცხოელია. ოღონდაც, ის მოუხელთებელი რამ მაინც ყველგან იგრძნობა.

ეგებ ეს ის იყოს, რომ ინგლისელებმა ფეხბურთი მოიგონეს. ერთმა ჭკვიანმა კაცმა, როცა ინგლისის ნაკრების ცუდ თამაშზე საუბრობდა, თქვა, ყოველივე იმის მიზეზი, რომ ნაკრებს თამაში არ გამოუდის, წარსულშიაო. რახან ინგლისელებმა ფეხბურთი მოიგონეს, მათი თამაში ისეთ ელემენტებს შეიცავს, რაც სხვა ქვეყნებში არ არსებობს, რახანლა სხვებმა ფეხბურთი მხოლოდ ისწავლეს და თავის ჭკუისა და ნიჭის მიხედვით განავითრესო.

საინტერესო ნათქვამია. მაგრამ უფრო სხვა მხრით და არა მაინცდამაინც ინგლისის ნაკრების უხეირო თამაშის გამო.

სიძველე აუცილებლად შედის ამ მოუხელთებელში. ისიც, რომ ინგლისი კუნძულია და ისიც, რომ ფეხბურთი ყოველთვის უბრალო ხალხის, მუშათა კლასის თამაში იყო. ინგლისში კი ეს მუშათა კლასი დღესაც კლასად მოიხსენიება და უამრავი თავისებურება ახასიათებს.

დიდი ხანია, რაც სტადიონებზე მხოლოდ მუშათა კლასისა და მოსახლეობის დაბალხელფასიანი ფენის წარმომადგენლები არ დადიან, მაგრამ დიდი ფეხბურთელები ინგლისში ყოველთვის მუშა კლასიდან მოდიოდნენ.

დღეს, როცა უცხოეთი ასე მოვიდა ინგლისში, გადაშენებას დაადგა აქაურ ფეხბურთელთა ერთი განთქმული მუშური თვისებაც – სმა და დათრობა....

კიდევ რა ქრება და მიდის ინგლისური ფეხბურთიდან, ძნელი ჩამოსათვლელი არ არის, მაგრამ ადგილს კი ბევრს წაიღებს...

მოკლედ, ყველაფერი იცვლება.

ის მოუხელთებელი კი რჩება. როდემდე. აი, ეს არის საქმე.

მაგრამ ახლა გაზაფხულია და სტადიონზე სიარულს ბევრი არაფერი სჯობს.

# ხილავ ხიტი თბილისური ისტორია



კახა თოლორდავა

დღეს, უბრალოდ, ვერთობით, კარგი? მე რალაცას მოგიყვებით, თქვენ გაიცინებთ, ესაა და ეს. რა-დროს-გართობაა-ქვეყანა-თავზე-გვენგრევა ტიპებს შეგიძლიათ, ეს ტექსტი გამოტოვოთ, თქვენი გულის მოსაგებს ვერაფერს ვიტყვი.

იმ მზიან და თბილ დღეს, აეროპორტის მოსაცდელში ვიჯექი და Weekend-ის ახალ ნომერში ტელეკომპანია „იმედის“ მიერ თბილისის ქუჩებში ჩატარებულ „სკანდალურ“ გამოკითხვებს ვათვალისწინებდი. ტექსტის ბოლოს ავტორი გასაგები ირონიულობით გვთავაზობდა რამდენიმე „დამაბნეველ“ შეკითხვას და მათ შორის, ამას, – „რა ფერისაა თვითმფრინავის შავი ყუთი?“ ამ შეკითხვამ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანების დასაწყისში „მომისროლა“ და აი, ეს ამბავი გამახსენა:

1991 წლის ივლისის ერთ ძალიან ცხელ შუადღეს მე, მეტი სოლიდურობისთვის შალის კოსტუმში გამონყობილი, თბილისის აეროპორტის დირექტორის კაბინეტში ვიდექი და ლენინგრადში გასაფრენ ერთ ბილეთს ვთხოვდი. წარუმატებლად. მითხრა, ბილეთები აღარაა, აეროპორტში კი მაგარი სიმკაცრე გვაქვს და მეც კი ვერ მოვახერხებ ლენინგრადში შენს გაშვებასო. სრულიად იმედდაკარგული ვიდექი აეროპორტის მოსაცდელში, როდესაც ვილაც მაღალი, გამხდარი ტიპი მომიახლოვდა და მკითხა, რითი დაგეხმაროო. მოვუყევი ჩემს გასაჭირი. ამხედ-დამხედა და შემომთავაზა, „ზაიჩიკად“ თუ წახვალო. „ზაიჩიკად“ კი არა, რა ცხოველადაც გინდა მაქციე, ოღონდ გამაფრინე-მე-

თქი. რამდენიმე წუთში აეროპორტის შენობის გვერდზე მშენებარე, ჯერ კიდევ შემოღობილი, ძველი „ახალი“ აეროპორტის ტერიტორიაზე მდგარ ცარიელ ვაგონში ვიყავი ჩაცუცქული და იმ კაცის დაბრუნებას ველოდებოდი. აქ მოსახვედრად ორივეს მაღალ ლობეზე გადაძრომა მოგვინია, მაღულად, რა თქმა უნდა.

დაახლოებით, ნახევარ საათს ველოდი ასე ჩაცუცქული. მახსოვდა, რომ გამაფრთხილა, აეროპორტში სიმკაცრეა და თავი არ ამოყოო. ცოტა ხნის შემდეგ უცნაური ხმა რომ მომესმა, ფრთხილად გავიხედე ვაგონის ფანჯრიდან და ის კაცი დავინახე. ტ რ ა პ ი ს საჭესთან იჯდა და ვაგონისკენ მოგორავდა. დამინახა და მა-

ნიშნა, სასწრაფოდ გამოდიო. ჩანთას დაწვდი და გარეთ გავვარდი. აი, აქ ჩაჯექიო, თავის უკან მიმითითა. ისე მოვიქეცი, როგორც მითხრა და ზემოდან ბრეზენტის გადაფარვაზეც ვერ ვთქვი უარი.

ასე გრიხინ-გრიხინით მიმიყვანა გასაფრენად მომზადებულ, ჯერ კიდევ ცარიელ თვითმფრინავთან, საჩქაროდ გადმომავლო ტრაპიდან და თვითმფრინავში ამავდო. იქ უკვე პირველი პილოტი გველოდებოდა. შემომხედა, სველს, გაუბედურებულს, შეშინებულს და მკითხა: „ძალიან გინდა, შვილო, გაფრენა?“ ჰო, მეთქი, თავი დავუქნიე. მაშინ აი, აქ უნდა ჩახვიდე და პირობას გაძლევ, საფრენ ბილიკზე გავალთ თუ არა, გამოგიშვებო, –





მითხრა, – მერე კი პილოტების კაბინის შესასვლელთან იატაკზე დაგებული ნოხი ფეხით გასწია გვერდზე, დაიხარა, რალაცას დასწვდა, მოქაჩა და ჩვენს შუაში საკმაოდ მოზრდილი ბნელი ღრმულს გაჩნდა. ფრთხილად მივუახლოვდი ორმოს და შიგ ჩავიხედე. იქ ბნელოდა, მხოლოდ სუსტი, კანტი-კუნტი, ფერად-ფერადი შუქები ციმციმებდა კედლების გაყოლებაზე. „სინათლეს აგინებ!“ – დამაიმედა პილოტმა და თვალი თვალში გამიყარა. – ჰა, ჩადიხარ?“ „ჰო!“ – ამოვილულულე ჩუმად. „ვინმე გარდაგეცვალა?“ – ისევ მკითხა. თავი გავაქნიე. „აბა, ნამა გყავს?“ „შეყვარებული!“ – შევუსწორე. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ის ქალი ჩემი მეუღლე რომ გახდებოდა. „СВЯТОЕ ДЕЛО!“ – წამოიძახა და თვალები მოუღბა. „რა ვქნა, ძმაო, მაგარი სიმკაცრეა აეროპორტში და...“ – მომიბოდიშა. სინათლე მართლა ამინთო, მაგრამ მაინც ძნელი იყო იმის ბოლომდე გაცნობიერება, რომ თბილისი-ლენინგრადი რეისის „ცხვირში“ მომიწევდა რალაც დროის გატარება. ფრთხილად დავეშვი კიბეებზე. „აი, იმ მრგვალ რალაცაზე დაჯექი – ხასხასა ფორთოხლისფერ, მრგვალ საგანზე მიმითითა, – და, თუ ძმა ხარ, ხელი არაფერს ახლო, თორემ ჩამოვვარდებით, კარგი?“ მე დავემორჩილე, ცოტა ვინჩიალე, სანამ კარგად მოვეწყობოდი, მერე კი პატარა ფინიასავით ავხედე ქვემოდან. „მაგრა იქნები!“ – გამიღიმა, მჭიდროდ დაახურა სახურავი „ლუკს“, და დავრჩი მარტო.

თხუთმეტიოდე წუთში მოტორიც ჩაირთო. თვითმფრინავი აგუგუნდა და „ცხვირში“ ტემპერატურის ანევატ დაინყო. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ ისევ ის შალის კოსტუმი მეცვა, ახლა უკვე ჩემივე ოფლით გაჟღენთილი, მაგრამ გახდის თავიც კი არ მქონდა. სიცხე მატულობდა, თვითმფრინავი ადგილიდან არ იძვროდა, მე კი მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, გული რომ წამივიდეს რაიმე ისეთს არ დავეცე, რაც რომელიმე ხელსაწყო მწყობრიდან გამოიყვანს-მეთქი. ასე ვიჯექი, ალბათ, ერთი საათის განმავ-

ლობაში (მოგვიანებით გავიგე, რომ ფრენა ტრაპთან მომხდარმა ჩხუბმა შეაფერხა), მერე კი, ერთ დიდებულ წამს, ზემოდან ხმა მომესმა და რამდენიმე წამში ლუქს სახურავიც აეხადა. არასდროს ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ. ფეხზე წამოვდექი და კიბეს მოვეჭიდე. მერე კი ლუქის მრგვალ ჩარჩოში პილოტის სახე შემოეჩარა: „სტუმარს მიიღებ!“ – მკითხა პირქუშად, წელში გასწორდა და ისე, რომ ჩემ პასუხს არ დაელოდა, ვილაცას მიმართა: „ჩადი!“ იმ ვილაცამ კიბეზე ჩამოდგა ფეხი.

**■ როდესაც პილოტმა ლუქიდან ამოგვიშვა, ორივე ისევ იმ ტრუსებში და წინდებში ვიყავით, ამოიღლიავეებული ტანსაცმლით და ჩანთებით ხელში. უსიტყვოდ გადავჭერით ხალხით გაჭედილი თვითმფრინავი ტუალეტების მიმართულლებით. არასდროს დამავინწყდება მგზავრების სახეები. არასდროს!**

„სტუმარს“ ბატონი გურამი ერქვა და ისიც აეროპორტის თანამშრომელი იყო. ასეთ მხიარულ ადამიანს იშვიათად შეხვედრივარ. ჩემს წინ ჩამოჯდა, ერთმანეთის მუხლები ხვანჯრებში გვეკონდა გაჩრილი, სხვანაირად ვერ ვეტყვოდით. სულ რამდენიმე წამში ისე შემიღამაზა მარტოობა, რომ ყველაფერი დანარჩენი დამავინწყა. „რომ იცოდე, როგორი გამოსხივებაა აქ! – მითხრა ზუსტად იმის შემდეგ, რაც გამეცნო, მერე კი შემათვალისწინებ და გაკვრით მომიგდო: „ისე, შავ ყუთზე ჯდომა როგორია, ჰა?“ „რა შავ ყუთ-

ზე?“ – ვკითხე შეშინებულმა. „აი ეგ, რაზეც ზიხარ, შავი ყუთია, – მითხრა, – ყოველთვის ეგეთ ლამაზ-ლამაზ ფერებში ლეზავენ ხოლმე, ადვილად რომ იპოვონ, თორემ მართლა შავი რომ იყოს, თვითმფრინავი რომ ლანანს გაიღებს, ვერასდროს იპოვიან“. „ასწორებს!“ – ამოვილულულე და შევეცადე თავი ლაჯებს შორის გამეჩარა, კიდევ ერთხელ რომ შემეთვალისწინებინა საგანი, რომელზეც ვიჯექი. ასე ვიჯექით კარგა ხანს და საშინელი ხმაურის მიუხედავად, როგორც კარგად აღზრდილი ქართველები, ვცდილობდით გვესაუბრა. მერე კი მოხდა ის, რომ ბატონი გურამი „გაფუჭდა“, ანუ მოეშვა, ცუდად გახდა სიცხისგან, და მთხოვა კაცები ვართ, იქნებ წელს ზემოთ გავიხადოთო. ცუდი აზრი არ იყო, რადგანაც იმ დროისათვის უკვე მთელი ტანსაცმელი სველი მქონდა. ვიჯექით ასე წელზევით შიშვლები და ვუყურებდით ერთმანეთს, ლაპარაკის თავი არცერთს აღარ გვეკონდა. ოციოდე წუთში მითხრა, ცუდად ვარ სიცხისგან, შარვალიც უნდა გავიხადო, მაპატიეო. აბა რა-მეთქი და გავიხადეთ. თვითმფრინავის ძრავა ღრიალებდა, ჩვენ კი ვისხედით ასე, ნახევრად შიშვლები, ტრუსების, შავი წინდების და გაპრიანებული ფეხსაცმელების ამარა და ვუყურებდით ერთმანეთს. მერე კი, კიდევ ერთი ოცი წუთის შემდეგ, თვითმფრინავი ადგილიდან დაიძრა და გაგორდა. როდესაც პილოტმა ლუქიდან ამოგვიშვა, ორივე ისევ იმ ტრუსებში და წინდებში ვიყავით, ამოიღლიავეებული ტანსაცმლით და ჩანთებით ხელში. უსიტყვოდ გადავჭერით ხალხით გაჭედილი თვითმფრინავი ტუალეტების მიმართულლებით. არასდროს დამავინწყდება მგზავრების სახეები. არასდროს! ლენინგრადში რომ ჩავფრინდით პილოტის ნახვა მოვიწოდომე მაღლობის სათქმელად, ის კაბინიდან გამოვიდა, დამინახა, დამნაშავედ გამიღიმა და მითხრა: „რა ვქნა, ძმა, მაგარი სიმკაცრეა თბილისის აეროპორტში, ხომ იცი!“



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი  
გორი, ქარელი, საშუსრი  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი  
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**

**FM 103.0**

**FM 104.5**

**FM 101.0**

**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

